

ლიტერატურული გაზეთი

№33 3 - 16 სექტემბერი 2010

ბამოღის ორ კვირაში ერთხელ, პარასკოვით

ფასი 50 თეთრი



ბესიკ ხარანაული

ატახილობაა დიდი ქვეყანაზე

ერთადერთი, რასაც წყალი არ გაუვა, სიკვდილია, დანარჩენი ყველაფერი აპარებს... წერტილი აკლია ყველაფერს, მოკლედ... შენ სიკვდილის სიმღერა არ მოგისმენია?

სამაგიეროდ შევიძინე ახალი თვისება: ვემსგავსო ყველაფერს.

არა ვინმეს, არა ჩემს თავს, არამედ — როლებს... რადგანაც არც არსადაა ისეთი ცოცხალი, რომ მას ემსგავსო, მით უფრო შენს თავს...

ბევრი ლექსი დამინერია, დამინერია და დამიძინია მხარსა და თეძოზე და დამვიწყებია, რომ დამინერია და გამხსენებია, ხანი რომ გასულა, მე კი არა, ტანს გახსენებია, რომ რაღაცა გავიდა მისგან. — ნეტა რა იყო? მე კი არა, ტანს უკითხავს თავისი თავისთვის...

დიდი ხანია ჩემი ხელნაწერები აღარ დამინვაავს. ახლა კი ქლიავების ბოლოს, დილაუთენია და ყველას ფარულად, მშვენიერი კოცონი დაეხეთ.

იხილეთ დღევანდელი „ლიტერატურული გაზეთის“ ჩანართი

პროზა

„ერთი მოთხრობის კონკურსის“ ჟიურის მიერ მოწონებული მოთხრობები

ლევან სეზისკვერაძე II-III
ზვიად კვარაცხელია XII

პოეზია

ნიკა ჯორჯანელი IV-V
ლელა მეტრეველი X
მერაბ ბაბუხაძია XI
ნელიკო გოგუაძე XI
მარიამ გვიმრაძე XI

მსბე

ნიგინიდან „ისევ ბალაკტიონი“ VI-VIII

მოსაზრება

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი სტროფის დაზუსტებისთვის IX

ინტერვიუ

ბექა ქურხული: „არ ვიცი, რატომ ერიდებიან ერთმანეთის შემოქმედებაზე ლაპარაკს“ XIII

დათო დოიაშვილი: „მწერლობისადმი ტრფობა, მისი პატივისცემა ოჯახიდან მომდევს“ XIV

გუხსენებუ

გიორგი ლაონიძე XV

„ერთი მოთხრობის კონსერვაცია“
ჟიურის მიერ მოწოდებული
მოთხრობა



ლევან სეზისკვერაძე

ჩუქურთმა

„ვინც დავიჭერნით, გამოვრჩით,
კიდევ ცოცხლები დავრჩითა...“
ვაჟა

წითელყვინან ნიგნში, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპული ადამიანების უგრძესი ჩამონათვალია, 577-ე გვერდზე ნახავთ ვინმე გიორგი ქასაევს, რომელიც ცხინვალელი ყოფილა და ქერჩის სრუტესთან 22 წლისას დაუსრულებია სიცოცხლე. გიორგის, როგორც ჭეშმარიტ ოსს, ცოლი ძალიან ადრე მოუყვანია და სწორედ ამ სულსწრაფობის დამსახურებაა, რომ მისი შვილთაშვილი, 20 წლის გიორგი ქასაევი ისევ იმ სახლში ცხოვრობს, სადაც დიდი ბაბუა გაიზარდა და ბაბუამისივით მასაც საძინებელ ოთახში უკიდია ჯერაც დაუდგენელი წინაპრის ფოტო. დაუდგენელი — იმიტომ, რომ არავინ იცის, ფოტოზე გამოსახული გრძელწვერა და შავწოხიანი კაცი ქასაევებს საიდან ენათესავებოდა და ისიც დაუდგენელია, საერთოდ იყო თუ არა მათი ნათესავი.

ცხინვალის შემოგარენში, სამი ეკლესიისა და მარტოების ლეგენდარული სახლის გარდა, ერთ-ერთი ყველაზე ძველი ნაგებობა, ალბათ, სწორედ ქასაევების სახლია. მთვრალი რუსი ჯარისკაცებითა და შუშინებულთვალელებიანი ქალებით სავსე ქალაქში ძველი შენობებით ბევრი არავინ დაინტერესებულა, მაგრამ სიძველეების მოყვარული ხალხი აუცილებლად დააკვირდებოდა ამ უცნაურ სახლს.

სახლი ერთსართულიანია, მოყავისფრო ფერის აგურითაა აშენებული და სახურავის კრამიტები იმდენად ძველია, ხელის ერთი მოკიდებით იშლება. ფანჯრების ჩარჩოებზე უცნაური ორნამენტებია გამოსახული. ერთ ორნამენტზე ფასკუნჯის მსგავსი მითოსური არსება თავს ჭამს. ორნამენტის გამკეთებელს იმდენად საინტერესო ფანტაზია ჰქონია, რომ დასკუნჯის პირში გაჩრილი თავის ტკივილისაგან დაკლაკნილი კუდიტ გამოუსახავს. მეორე ორნამენტზე მიწაზე ფეხმორთხმით მჯდომ ქალს ნახავთ. ქალს ძალიან გრძელი თმა აქვს და მიწაზე დაგდებულ ოვალურ გორგალს დასცქერის. მესამე ორნამენტი ნაშლილია და მხოლოდ მისი მცირე ნაწილია შემორჩენილი. ორნამენტის შემორჩენილ ნაწილზე მაგიდასთან მჯდომი კაცის ზურგი ჩანს. მთელი სახლი თუნდაც ამ ჩუქურთმ-ორნამენტებზეა ღრმად უმცროსი გიორგი ქასაევს ამეებისა ბევრი არაფერი გაეგება და საფიქრალად ფანჯრის ჩუქურთმებზე მეტად სხვა პრობლემები აქვს.

ნიგმირიდან თბილისში დაბრუნებული ჟურნალისტი ხომ წარმოვიდგენიათ, როგორ რეპორტაჟს დაწერს? აფრიკაში არსებულ სიტუაციას რაღა გამოაფრება უნდა, მაგრამ მაინც გაამძაფრებს. ცოტას იპროვოკატორებს, ცოტას მოიგონ-შეალამაზებს და ისეთ გულსამაჩუყებელ რეპორტაჟს გამოაცხობს, რომ დიასახლისები ტირილით დაოსდებიან. „ქალაქში მშვიდი ბავშვები ყრია“, „პოლიციელები განუკითხვად ყველას უტყაპუნებენ“, „მთავრობას ხალხი ჰკიდა“ და კიდევ ვინ იცის, რამდენ გულსამძვრელი ფრაზას ჩაიქვითინებს ეს ჟურნალისტი.

დაახლოებით ასეთი ტიპის სატირელ-პროვოკაციული რეპორტაჟის დაწერის

იმედით აღსავსე ჩავიდა ოდესელი ჟურნალისტი მიკოლა ნაზარენკო ცხინვალში. ჩავიდა და პირველად ვისაც გადაწყდა, ეს ფაქტობრივად ნანგრევებად ქცეული ავტოსადგურის გვერდით ჯიხურში სიგარეტის საყიდლად მისული გიორგი ქასაევი იყო. გიორგის დედა მოსკოვში, მამა კი ვლადიკავკაზში იყო სამუშაოდ წასული და ნლეების მანძილზე მარტო ცხოვრებას მიჩვეულმა, უკრაინელ ჟურნალისტს იმდენად გულწრფელად შესთავაზა ღამის გასათევად თავისი სახლი, რომ მიკოლა სტუმრობაზე თავპატიჟდაუდებლად დასთანხმდა.

თხლად დაჭრილი ქერის პურით, ოდნავ სიტკბოშეპარული თავკვერით, ვარდისფერი გორული პომიდვრით, ნივრის მწნილითა და სამიოდე კიტრანა ვაშლით დამშვენებულ სუფრაზე გიორგი ქასაევი და მისი სტუმარი გვიანობამდე ისხდნენ. უკრაინელი გამუდმებით იღებდა მწვანე კოლოფიდან მოგროვებულ სიგარეტებს, ხელში უცნაურად სრესდა და ღამის ღერი-ღერზე ეწეოდა.

მიკოლა 28 წლის ახალგაზრდა კაცი იყო, მაგრამ ძნელად თუ გამოიცნობდა ვინმე მის ასაკს. თავისი ქვეყნის პრეზიდენტის სახეზემუშუპებული და მარად დაღლილი მიკოლა ნაზარენკო 40 წლის კაცს ჰგავდა და უკრაინელი ამით ერთგვარად ამაყობდა კიდევ — ხალხი უფრო სერიოზულ კაცად აღმიქვამსო, უფრო მეტი პატივისცემით მექცევიანო... ერთი სიტყვით, მშვენივრად ამართლებდა თავისი გარეგნობის უცნაურ მხარეებს.

მიკოლას განსაკუთრებით გიორგის სადღეგრძელოები მოეწონა. თბილისში ქართულ სუფრაზე არაერთხელ მჯდარი უკრაინელისათვის ახალგაზრდა ოსის სადღეგრძელოები მეტად საინტერესო სიახლე აღმოჩნდა და ერთი ხანობა ისიც იფიქრა, ჩემს ბლოკნოტში ხომ არ ჩავინეროო, მაგრამ მერე მიხვდა, რომ სადღეგრძელოების თქმისას კალმის მომარჯვება ნამეტანი უხერხული იქნებოდა.

გიორგის სადღეგრძელოები მოკლე იყო, მაგრამ მისი ასაკისათვის შეუფერებლად ძალიან აზრიანი. ბარაქას გაუმარჯოსო. სადაც ბარაქა არ არის, იქ არც მშვიდობაა... ღმერთისა ვთქვათო. ერთი ღმერთიდა ისეთი, ყველას რომ გვაერთიანებსო... სიმართლეს გაუმარჯოს — იმ სიმართლეს, ყველას სხვადასხვანაირი რომ აქვსო... კიდევ ბევრი კარგი რამე თქვა გიორგიმ, მაგრამ თანამესუფრის ცუდი მორუსულეობის გამო, მიკოლა ნახევარს ვერ იგებდა.

დილით მიკოლამ საშინლად ნაბახუსევმა გაიღვიძა. გაიღვიძა და გაოგნებისაგან კინაღამ დაიყვირა, როდესაც აღმოაჩინა, რომ ძილის დროს ხელელები ცარიელი ორლიტრიანი ყანწი ჰქონია ჩაბლუჯული. ყანწთან ერთად დაძინება ნამდვილად არაა საამაყო.

იმ ზამთარს დიდი ლიახვი ძალიან ადიდდა. გავეშვებულმა მდინარემ უამრავი ბალ-ვენახი გაანადგურა და უამრავი ადამიანი დატოვა სახლ-კარის გარეშე. ხალხი ამბობდა: ნამდვილად მეორედ მოსვლა დაიწყო; ომს ლიახვის გაგიჟებაც დაემატა და ალბათ ღმერთიც მალე გამოჩნდება ცეცხლიანი მახვილითაო. დრო კი მართლაც საძაგელი იყო. ყველას იარაღი ჰქონდა. ყველა ისროდა. ან მთვრალეები იყვნენ, ან კაიფში. ბავშვები მამების მიერ გამოყენებულ ვაზნებს აგროვებდნენ და მუჟავ ტყლაპით დაშორულ ტუჩებს ილოკავდნენ.

ქართლი შიმშილისაგან სწორედ ტყლაპმა იხსნა. ტყლაპია 90-იანი წლების საქართველოს მხსნელი. ქასაევების სახლის წინ, ყოფილ საბავშვო ბაღში ჩიბირო-

ვის ბიჭებს შტაბი ჰქონდათ. ყოველდღე ჭრელა-ჭრულა ფორმებში გამოწყობილი უამრავი მამაკაცი მიდი-მოდიოდა და რუსულ თუ ოსურ ენებზე გინებათა კორიანტელს აყენებდა. გიორგი ქასაევი მაშინ სულ პატარა ბიჭი იყო და ომი თითქმის არ ახსოვს. ახსოვს მხოლოდ ჭრელფორმიანი წვერმოშვებული კაცები და მუჟავე ტყლაპის გემო. უფრო სწორად კი უგემურობა და ჩიბიროვის შტაბის თანამშრომელი რუსი მაიორი ბორია. ბორია ერთხელ სახლშიც ეწვია ქასაევებს. სახლში მარტო გიორგი და დედამისი იყვნენ. გიორგიმ მაშინ მხოლოდ ოსური იცოდა, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ ბორია დედამისს მათი სახლის ღამაზ ჩუქურთმებზე ელაპარაკებოდა. დედას თავიდან ეცინებოდა რუსის საუბარზე, მაგრამ მერე გაცხარდა. მაიორი ყველაზე ხშირად სიტყვა „იდეოლოგია“ ამბობდა და ყველაზე მეტად სწორედ ეს სიტყვა აცხარებდა გიორგის დედას. მაიორი მეორე დღეს ორ კაცთან ერთად მოვიდა. ერთ-ერთს ხელში დიდი შალაშინი ეჭირა და ეს პატარა გიორგის თავიდანვე ავად ენიშნა. დედას რატომღაც დიდი წინააღმდეგობა აღარ გაუწევია, როდესაც შალაშინიანი მუჟამათი სახლის ფანჯარაზე გამოსახულ ერთ-ერთ ბარელიეფურ ნახატს მიადგა და დიდის წვლებით დაიწყო მისი ათლა ფანჯრის ჩარჩოსაგან. სულ სამიოდე წუთი დასჭირდა მუჟას ამ საქმიანობისათვის. მერე თავისი შალაშინი ტომრის ნაჭრისაგან შეკერილ ჩანთაში ჩადო და რუს მაიორსაც კი არ დაშვიდობებია, ისე წავიდა. რუსი მაიორის თანმხლებ მეორე კაცს დიდი, დაჭყეტილი თვალეები ჰქონდა. მას აშკარად არ მოეწონა მუშის გაკეთებული საქმე, რადგან უკვე ნაშლილი ბარელიეფიდან პატარა ნაგლეჯი მაინც დარჩენილიყო. ამ ორსანტიმეტრიან მონარჩენზე სკამზე ნახევრად ზურგმექცევით მჯდომი მალაქუდიანი კაცი მოჩანდა. ავბედითი, საძაგელი წლებიდან, გიორგის ყველაზე ნათლად მხოლოდ ეს ამბავი დაამახსოვრდა.

„ცხინვალში იმდენად პატარა ქალაქია, რომ მალაზიის გამყიდველები მყიდველებს ფულით გამორთმევის გამო ბოდიშებს უხდიან. ყველა ყველას ნაცნობია, ახლობელია, ნათესავია. ვფიქრობ და დღემდე ვერ მიგმხვდარვარ, ენის გარდა რა განასხვავებს ქართველებსა და ოსებს. ქართველები და ოსები ზუსტად ერთნაირი ხალხია. საქმელებსაც თითქმის ერთნაირს აკეთებენ და გაბრაზებაც კი ერთნაირი იციან. გაბრაზებულები მაგიდაზე მუშტებს აბრაზუნებენ და ისე აბრიალებენ თვალებს, რომ ჩვენი მახნოს თვალის

ბრიალი ამათთან თვალის ჩაკერად მოგეჩვენება. ცხინვალში ახალგაზრდა ოსი ბიჭის სახლში ვცხოვრობ. ბინის ქირის ფული რომ შევთავაზებ, ჯერ გაიციან და მერე ისე შემომიბღვირა, მივხვდი, რომ ამით შეურაცხყოფას ვაყენებდი. როგორც ცხინვალელების უმეტესობა, მისი მშობლებიც რუსეთში არიან სამუშაოდ წასულები და რამდენიმე წელია, გიორგი სულ მარტო ცხოვრობს. ამ ქალაქში გიორგის თანატოლი, 20-25 წლის ახალგაზრდები ნარკოტიკების აქტიური მომხმარებლები არიან, მაგრამ გიორგისათვის ერთხელაც არ შემინიშნავს რაიმე ისეთი... ნარკომანული. ცხინვალს სამი მხრიდან ქართული სოფლები ესაზღვრება და ქართველების ვენახები ღამის ცხინვალშია შესული. ვენახი ოსებსაცა აქვთ, მაგრამ უფრო სხვა მხარეს, აქედან მოშორებით — ზნაურში. ოსებს ომზე ლაპარაკი არ უყვართ. როდესაც ამ თემაზე ველაპარაკებ, უფრო იგინებიან, ვიდრე მსჯელობენ. ყველას აგინებენ — პოლიტიკოსებს, სამხედროებს, პრეზიდენტებს. აქ ქალებიც კი იგინებიან, ოღონდ თავისებურად... ქალურად. საქართველოში ქალების გინებას წყევლას ეძახიან. ღამის ოცი წელი გავიდა ომიდან და ცხინვალში კიდევ დანგრეულია. სახლების დიდი ნაწილი გადამწვარია. გადამწვარ სახლებთან სატვირთო მანქანები და მუშები დგანან. შენობებს აგურებდა შლიან. აქ პრეზიდენტის რეზიდენციაც კი ძველი, საბჭოური და უბადრუკია. ოსები ძალიან პატრიოტი ხალხია, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, ხმას არ იღებენ იმაზე, რომ დღეს მათ მთავარ ქალაქში — ცხინვალში, არც ერთი ოსურენოვანი სკოლა აღარ ფუნქციონირებს. ყველა სკოლა რუსულადაა გადაკეთებული. ჩემი მასპინძელიც დიდი დანანებით მეუბნებოდა, რომ დღეს ოსი ბავშვების დიდმა ნაწილმა მშობლიური ენა აღარ იცის და თითქმის არავინ ფიქრობს ამ მნიშვნელოვან პრობლემაზე. ამ ქალაქში იმის იმედად მოვდიოდი, რომ ცხელ, სკანდალებით გაჯერებულ რეპორტაჟს დავწერდი კავკასიის ერთ-ერთი კონფლიქტის ზონიდან, მაგრამ ომის ქარცეცხლის ნაცვლად, აქ დამხვდა მკვდარი, უიმედობით გატანჯული ქალაქი, სადაც რაღაცით შეშინებული ადამიანები ფეხაკრეფით დადიან და სხვაგან გადახვენა ოცნებად აქვთ ქცეული. ახლა ამ რეპორტაჟს სტალინის მშობლიური ქალაქიდან, გორიდან ვაგზავნი. გორის საუკეთესო ინტერნეტ-კაფეში ვზივარ და თავზე კომპიუტერული თამაშების მომლოდინე ბავშვების გუნდი მადგას. ერთი სული აქვთ, კომპიუტერიდან როდის ავდგები და როდის დაიწყებენ კომპიუტერულ თამაშში ვირტუალური მტრების ხოცვას. საქართველოში ხომ ყოველთვის ეძებენ ვირტუალურ მტრებს“.

მიკოლა ნაზარენკო ოდესა-თბილისი-ცხინვალ-გორი. სპეციალურად ინტერნეტგამოცემა „მლადე უკრაინასათვის“.

ცხინვალის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია იმ დროს აშენდა, როდესაც ერეკლე მეფეს ქართლი კახეთი-



სათვის ახალი მიერთებული ჰქონდა. გამეფებისას ერეკლეს ქართლში ბევრი მონინალმდევე ჰყავდა, რადგან ბევრს არ მოსწონდა მუსულმანოფილი კახელი ბაგრატიონი და სამეფო ტახტზე ქრისტიანი მუხრანბატონები სურდათ. ერეკლეს ეშინოდა არ აკლდა და სწორედ იმისათვის, რომ თავისი ქრისტიანობა დაემტკიცებინა, ცხინვალში ახალი ეკლესია ააშენებინა. პოლიტიკური მიზნებით ეკლესიების მშენებლობა ერეკლეს ერთ-ერთი მთავარი იარაღი იყო და აკი გახდა კიდევ ქართველებისათვის სათაყვანო მიწა.

წმინდა გიორგის ეკლესიაში ვლადიკავაზელი რუსი მღვდელი, მამა იაკობი წირვებს იშვიათად ატარებდა. ბევრი მრევლი თავს არასოდეს ეხვია და არც მამა იაკობი იყო დიდი ენთუზიასტი, რომ ნაკლებად შემოსავლიან ეკლესიაში სამუდამოდ დამდგარიყო. ეკლესიის უკან, ომის დროს ჭურვისაგან ჩამონგრეულ კედელთან დაგდებულ მორებზე სადამოობით არყის დაღვების მოსურნე ბიჭები ისხდნენ და არაყს დედებისთვის ანაპინილ ხაბიზგინებს აყოლებდნენ. ძალიან როცა დათვრებოდნენ და წინაპრებისადმი სიახლოვის განსაკუთრებული სურვილი გაუჩნდებოდათ, იქვე, ეკლესიასთან ახლოს დაგდებულ ძველ საფლავის ქვებთან მიდიოდნენ და მისაგებებულს საფლავებთან ჩაცუცქულები ამბობდნენ. უძველეს ქვებზე წარწერების ამოკითხვა ძალიან ძნელი იყო, მაგრამ ერთ-ერთ ქვაზე გაჭირვებით იკითხებოდა სიტყვები: „უფალო ღმერთო, მიუტევე შეცოდებანი და განუსვენე მონასა შენსა როსტომ გარიშვილს და ცოლსა მისსა ეფროსინეს“. ოს ბიჭებს დიდად არ ანაღვლებდათ, თუ რა ენერა ამ ქვებზე. მათთვის იმ საფლავების ქვეშ დამარხული ყველა ადამიანი მათი წინაპარი იყო და ისე რა დააღვინებდათ, არაყი მათ საფლავებზეც რომ არ მიექც-მოექციათ.

ერთხელაც, ეკლესიასთან დასაღვავად ასულ ბიჭებს, მათ მორებზე ჩამომჯდარი მოხუცი, სათვალისანი კაცი დახვდათ, რომელიც ყველას ქართველ ისტორიკოსად გაეცნო და აუხსნა, რომ ეკლესიის ეზოში გაბნეული საფლავის ქვების ქვეშ მათ სულ ქართველები იყვნენ დამარხულები. თან უბრალო ქართველები კი არა? სულ კაი-კაი, ნარჩევი და გამოჩენილი ქართველები. ამას მოაყოლა ვრცელი მონოლოგი საქართველოს დიად ისტორიაზე. უცნობის საუბრიდან ცოტათი შეცხუნებულმა ბიჭებმა ბევრი ვერაფერი გაიგეს, მაგრამ ამის შემდეგ არც ეკლესიასთან ასულან და არც საფლავებზე დაუღვრიათ არაყი.

ბიორგის მამამისმა დაურეკა. ერთ ჩემს ძმაცაც 300 დოლარი გამოვატანე, ხვალ შენთან სახლში მოვა და მოგცემსო. რაც უკრაინელი სტუმარი გააცილა, იმის შემდეგ გიორგი რაღაც ვერ იყო ხასიათზე. მიკოლას მიერ მოყოლილმა ამბებმა თავგზა აუხსნა, დაბნია და დააფიქრა. გიორგის აქამდე ყველა ეუბნებოდა, რომ დღეს ამერიკა დაახლოებით ისეთივე ქვეყანაა, როგორც ადრე ირანი იყო და ამერიკა ყველას დაპყრობას, გადაგვარებას და აოხრებას უპირებსო. არადა, უკრაინელმა ჟურნალისტმა სულ სხვა რამ უამბო. უამბო წამდვილ ამერიკაზე და ევროპაზე. უამბო ევროკავშირზე, სადაც შესვლაზეც ყველა უკრაინელი და ქართველი ოცნებობს. უამბო რუსეთზე, რომელთაც ათასობით უკრაინელი გაარუსეს და ფაქტობრივად საკუთარი ქვეყნის — უკრაინის მტრებად აქციეს. აუხსნა, რომ ცხინვალში ოსური სკოლის არარსებობა ოსი ხალხის დაღუპვას ნიშნავს და ამას არა ამერიკელები, არამედ სულ სხვა ხალხი — მეგობრის ნიღბით მოსული მტერი აკეთებს. გიორგი ინვაბაზუმიისის გაქეთებულ ხელ ტახტზე, თავქვე მუთაქა ედო და ფიქრობდა. რაზე არ ფიქრობდა... ფიქრობდა მშობლებზე, რომლებიც აგერ, რამდენიმე წელიწადია, მარტო მას კი არა, ერთმანეთსაც კი ვერ ნახულობდნენ საშინელი გაჭირვების

გამო. ფიქრობდა თავისი სახლის ფანჯრის ჩუქურთმებზე და რუსი მათორის მიერ წაშლილ გამოსახულებაზე, რომელზეც მიკოლამ ეჭვი გამოთქვა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი რამ უნდა ყოფილიყო ამოჩუქურთმებული. გიორგის მამას ალბათ კი ეცოდინებოდა, რაც ეხატა იმ ჩუქურთმაზე, მაგრამ ტელეფონში ამაზე ლაპარაკი არც სურდა და სახიფათოც იყო. ფიქრობდა გიორგი და თან უკრაინელი მეგობრის მიერ ნაჩუქარ მწვანეკოლოფიან სიგარეტს აბოლებდა. მაინც რა მაგარი კაცი ყოფილა ეს მიკოლა...

საქართველოში სოფლებში ერთი ძალიან ცუდი წესი აქვთ. თუმცა წესიც არაა. უბრალოდ, ასე ხდება ხოლმე და მორჩა. თუკი ნაკლებად შეძლებულ თანასოფელს თვალთ დააკლდა, დაკოჭლდა



ან რაიმე სხვა უბედურება ეწვია, ჯერ ყველა შეიბრალებს. იტყვიან: ჩვენია, ჩვენი სოფლის კაცია და მოდით, ყველამ ერთად მივხედოთო. დაახლოებით 1-2 წლის განმავლობაში მართლაც ხელის გულზე ატარებენ უბედურ ღვთის გლახას. სისტემატიურად მიდიან სანახავად, მი-აქვთ ხილი, საჭმელი, ტანსაცმელი და ავადმყოფს სულ სიამის ცრემლებს ადენინებენ. მერე გავა დრო. ამ ღარიბი, დაბრმავებულ-დაკოჭლებული ადამიანის უბედურება თანდათან ყველას მიავიწყდება და ერთ დროს ხელიხელსაგომანები მწირი, ნელ-ნელა სოფლის მასხარა ხდება. პირველად სოფელში ოხუნჯობით ცნობილი ვინმე უსაქმური იტყვის რაიმე მაზალოსა და სასაცილოს დაბრმავებულზე. მაგალითად, ასეთს: გუშინ ბრმა ვასილას ხუთი წუთით თვალი ახელია და თავისი ცოლისათვის უთქვამს — შე ოხერო, ძუძუები როგორ ჩამოგჭკნობიაო. მერე სხვებიც რაიმე უნიჭო და ბოროტულ ხუმრობას ნაუმატებენ და ცოტა ხანში, უბედური, ღვთისაგან მივიწყებული ადამიანი სოფლის მასხარის სტატუსს მიიღებს. მეზობლები უკვე პირში დაუნყებენ და ცინივასა და ხითხითს. ორლობეში მიმავალს ბავშვები კენჭებს დაანევენ ზურგში და ნაბახუსევი სოფლის ბიჭები „პახმელიაზე“ გამოხვლას მასზე ქილიკით შეეცდებიან.

სწორედ ასეთ უბედურ დღეში იყო ერთ დროს მთელს ლიხვის ხეობაში საუკეთესო დურგლად ცნობილი კოჭლი ნესტორა, რომელიც ასაკში შესვლასთან ერთად დაკოჭლდა, დაყრუვდა და ფსიქიკაშიც ცოტა არეულობა შეექმნა. ვიღას ახსოვდა, რომ მათი ოჯახებისათვის ესოდენ საამაყო მოჩუქურთმებული კარები, ლამაზი ფიგურებით დამშვენებული აივნის მოაჯირები და სახლების ფასადები სწორედ ნესტორა პაპას დაკოჭრულ ხელს გაეკეთებინა. ეს რომც გეთქვით მავანი მოჩუქურთმებულაივნისათვის, ნესტორას ნახელავობა აუცილებლად იუარებდა და სულ სხვა ვინმეს დაასახელებდა მისი საამაყო აივნის გამლამაზებლად. ადამიანები არასოდეს არ აღიარებენ მასხრად აგებული ადამიანის უპირატესობებს.

მდინარის პირას სიგარეტის მოწვევას თავისი, რაღაც განსაკუთრებული, საამო თინეჯერული ხიბლი აქვს. მეტად თვალსასერიო სანახავია ზაფხულში მდინარეში ბანაობის შემდეგ შლამზე გამოტილი ბიჭ-ბუჭობა ბატონკაცურად რომ აბოლებს უფილტრო სიგარეტს და დიდი კაცებივით ყოველ ნაფაზზე დარდიანად ამოიხრებენ ხოლმე. ეს ამოიხვრაც წმინდა ქართულია.

საქართველოში სიგარეტის მოწვევას სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად ოხრებენ. სამძიმარზე მისული კაცი, განსვენებულის ჭირისუფალს ეზოში ძელსკამზე მჯდარი როცა ესაუბრება, სიტყვებს სიგარეტის კვამლს აყოლებს და ისე ოხრავს. პოლიტიკაზე უბნის ბიჭებთან მოსაუბრე კაცი უცნაურად თავჩაქინდრული ზის, სიგარეტს მუჭში ჩაბლუჯვით



ენევა და მოკლე-მოკლედ ოხრავს. ხოლო თუ კაცი კარგ ხასიათზეა, წინ ერთი ხელადა ღვინო უდგას და მეორის იმედიც აქვს, მაშინ სიგარეტი პირში წვერანეულად უდევს და მაინც რატომ ოხრავს, კაცი ვერ გაიგებს... სიგარეტი და ოხვრა ჩვენთვის ენა და სარწმუნოებასავით განუყოფელია!

სწორედ ასეთ წევასა და ოხვრაში იყო ლიხვის პირას გამოტილი ათამდე ტიტლიკანა ბიჭი, როდესაც თავზე საში მწვანეფორმიანი რუსი ჯარისკაცი დაადგათ. ნიქოზელი, თამარაშენელი ან ცხინვალელი ბიჭი შეიძლება ბევრი რამით გააკვირვო, მაგრამ რუსი ჯარისკაცის ნახვით წამდვილად ვერ გააკვირვებ. ერთი თვალი შეავლეს რუსებს და კვლავ სიგარეტის ქაჩვას უნდა შესდგომოდნენ, მაგრამ ვინ აცალათ?... ჯარისკაცებიდან ერთ-ერთი, წამოწოლილი ბიჭების შუაში ჩადგა, დონჯი მრავალმიშენელოვნად შემოიყარა და ხმამაღლა დაიღრიალა.

— ცხინვალელი რომელი ხართ აქა?!
ახლა კი შეფუცხუნდნენ ბიჭები. სიგარეტები მოისროლეს და არეულად წამოიშალნენ ქვიშიდან. ჯარისკაცმა, რაკი მიხვდა, ბიჭები შევაშინეო, უფრო ხმამაღლა იყვირა — ვერ გაიგეთ, რას გეკითხებით?! რომლები ხართ ცხინვალელები?!
ჯარისკაცს წინ დაბალი, შავგვრემანი ბიჭი დაუდგა — მე ვარ, რა გინდა?

— რა გვარი ხარ?
— გაბაროვი.
ჯარისკაცმა ბიჭს მხრებში ხელი მოჰკიდა და ჯანჯლარი დაუნყო, თან ყვირილს აგრძელებდა — მერე აქ რა გინდა, შე დედამოტყუნლო? ამათმა რამე რომ გიყონ — ხელი ბიჭებისკენ გაიშვირა — შენ იცი, რომ პასუხს ჩვენ მოგვთხოვენ?! ვერ ეტევი ცხინვალში?! წამოდი ახლა და მეორედ თუ აქ დაგინახე, დედას მოგიტყნავ!
მერე ქეჩოში მოჰკიდა ხელი და მუჯლუფუნებით შეავადო ჭალაში.

მდინარის პირად დარჩენილ ბიჭებს გაკვირვებისაგან პირები ღია დარჩათ. ყველაზე ადრე მღვდლის შვილი როსტომა გამოერკვა — გიჟია ეს ჩემისა! რა უნდოდა, ე?!

ბიორგბი ქსავეი მთვრალია! ზის ლენინის ქუჩაზე მდებარე ჩაუამებულ სასადილოში და მამამისის გამოგზავნილი ფულიდან ბოლო ცენტებს ხარჯავს. კავკასიელი კაცისგან სუფრაზე მარტო ჯდომა და სადღეგრძელოების საკუთარი თავისთვის ხმამაღლა თქმა ცოტა უცნაურია, მაგრამ გიორგი ამაზე ფიქრით თავს არ ინუხებს. აიღებს არაყით გავსებულ ღვინის ჭიქას, მაღლა ასწევს, ცოტა ხანი ჩაფიქრდება, ჭერში ჩამოკონინალეულ მბუჭავ ნათურას დააცქერდება და მერე ამბობს — ჰოლანდიას გაუმარჯოს! მაგარი ქვეყანაა ჰოლანდია! მიკოლამ თქვა, ჰოლანდიაში ვისაც როგორ უნდა, ისე ცხოვრობსო. ქუჩაში ისულ რომ თავდაყირა დადგე, მაშინაც კი არავინ დაგცინებს. გინდა იმღერე, გინდა იგინე, გინდა იცეკვე, პლანის მოწვევაც კი შეიძლება.. მაგარი გოგოები ჰყოლიათ. ცოტა თუ შეეხებება, აქეთ დაგდევნ თურმე...

დაღვს ამ ჭიქას, შეაყოლებს გაცივებულ ხინკალს და სხვა სადღეგრძელოს ინყებს — ამერიკას გაუმარჯოს! ამათ ჰგონიათ — ამბობს და ხელს გვერდით სუფრაზე მსხდომ რუსი ოფიცრებისაკენ იმერს — დავიჯერე ის ზღაპრები, რასაც ამერიკაზე გვიყვებიან. მამ მიკოლას არ დავუჯერო და ამათ დავუჯერო?! ამათმა რა იციან, რა აწერია ამერიკის ძეგლზე... ჰო, მართლა, იცით რა აწერია ამერიკის ძეგლზე? — ოფიცრები უკვე ფეხზე წამოდგნენ და გიორგის დაჟინებით მისჩერებიან — აწერია, რომ ამერიკა ყველას შეიფარებს, ვინც ღარიბია, გაჭირვებულია და მშიერია. თქვენ კი, რას შვრებით, თქვე დამპლებო?! ბესლანში ბავშვებს გვიხოცავთ! მასონებზე რაღაც სირულ ზღაპრებს გვიყვებით და მთელს მსოფლიოს გვაზიზღებთ!

ოფიცრები გიორგის წინ დადგნენ. ერთ-ერთი გიორგიზე არანაკლებ მთვრალია. ბარბაცებს, ხენემის და „მაკაროვს“ რის ვაი-ვაგლახით იღებს ქამრიდან. იარაღმომარჯვებული მთვრალი რუსი ოფიცრის დანახვით ჭკუაზე გადასული გიორგი ხმამაღლა ყვირის — იარაღი ამოდე არა?! მეტი რა იცით თქვე დამპლებო! ერთხელაც მაგ იარაღს ტრაკში გაგვთხრით ჩემი ამერიკა, ჩემი ჰოლანდია, ჩემი საქ...

ახსნა-განმარტება

მამ — ნიკოლოზ ევგენის ძე კირილოვი, მცხოვრები ქალაქ ცხინვალში პუშკინის ქუჩა ნომერ 11-ში, სასაუბრე „დარიაში“ შემთხვევით შევესწარი მოქალაქე გიორგი ქსავეის თვითმკვლელობას. აღნიშნული მოქალაქე იმყოფებოდა მთვრალ მდგომარეობაში. გაურკვეველი ადამიანების მისამართით სისტემატიურად იგინებოდა და „მაკაროვის“ ტიპის პისტოლეტს ხელში ატრიალებდა. გიორგი ქსავეის მეტუფეტი და პირადი მეცი, არაერთხელ ვთხოვოდა, იარაღი ჯიბეში შეენახა, რადგან არსებობდა საფრთხე, რომ სასადილოში მყოფი მოქალაქეები ბრმა ტყვიის უნებლიე მსხვერპლი გამხდარიყვნენ. იმ მომენტში გიორგი ქსავეი ზედმეტი დოზით ალკოჰოლის მიღების გამო აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა და კონტაქტზე არ გამოდიოდა. თვითმკვლელობა იმდენად სწრაფად მოხდა, რომ რაიმე ზომების მიღება ვერ მოვასწარი. გიორგი ქსავეი პისტოლეთი შუბლთან მიიტანა და სროლაც გაისმა.

მაბილას ორნი უსხედან. ერთს — გრძელწვერასა და შავბოხობიანს, ხელში ღვინით სავსე ფიალა უჭირავს და მაგიდის კიდეს, სადაც სალუდე ტოლჩა, ღვინის დოქი და ერთმანეთზე დაწყობილი ხაბიზგინები დევს, დაფიქრებით დასცქერის. მისი თანამესუფრე იმერულ ჩოხაში გამოწყობილი, უღვაშებარეხილი ახალგაზრდა კაცია, რომელიც შამფურიდან მწვადს თხელი ლავაშით აცლის. მათ თავსზემთ, ტოტებმეჩხერ პატარა ხეზე, უცნაური, გრძელწვერად ფრინველი ზის და პურადობას კისერდახრილი უყურებს. ღამეა.
მართლაც ოქროს ხელი ჰქონდა ნესტორა პაპას!

კავშირებითი კილო

საბოლოო ჯამში გამოდის, რომ კავშირებითი კილო ყოფილა, რაც ყოფილა! თუ საუბარი არ შემდგარ ბედნიერებაზეა, იგი თავის სტიქიაშია.

თუ აუცდენელ უბედურებაზე — მაშინაც. იგი ჰაერივით მოუხელთებელია და ცეცხლივით საგრძობი. იგი აქვეითებს მოქმედებას და თავგზას უბნევს სუბიექტს.

იგი შინაარსის გზაჯვარედინებს პატრულობს. იგი გულია ენის და საზომი სინამდვილის. მას უმეტესად წყალი არ გაუვა. რა დამაჯერებლად ჟღერს, მაგალითად, შემდეგი: „აფეთქება რამდენიმე წამით ადრე რომ მომხდარიყო, მსხვერპლი არ იქნებოდა“, ან, დავუშვათ, ეს: „ფული რომ გქონოდა, უსათუოდ ერთად ვიქნებოდით“.

კავშირებითი კილო! სასურველობა, ვარაუდი, შესაძლებლობა... კი ბატონო. მაგრამ ერთიც: ჭეშმარიტება! რაც გვინდა და არ ხდება და რაც არ გვინდოდა და მოხდა — ერთსაც და მეორესაც კავშირებითი კილო აკონტროლებს. იგი პირობებს გვიყენებს, მეტისმეტად რთულ პირობებს, იმათ, ვინც ბედნიერებისაკენ მივისწრაფვით. თხრობითი, მისგანაა ნაწარმოები კილო, მითაა განპირობებული, მის თანამოვლენად შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ.

თუ ჩავუკვირდებით თხრობით კილოს, დავინახავთ, რომ ბედნიერების კონსტატირებისას იგი მეტწილად ნაკლებადაა სარწმუნო. რაც კავშირებითის მიერ წაყენებულ პირობათა შეუსრულებლობის შედეგია. ასე რომ, ვუმღეროთ კავშირებით კილოს! მოვალბოთ იგი! მოვადუნოთ მისი სიფხიზლე მდოვრე და მერყევი თხრობითი კილოთი! რამე რომ არ იქცვოს, დროდადრო უბადრუკი ბრძანებითაც გაგახალისოთ!

არ ვანყენინოთ მოვლენების ამ პირკუშტ კონტექსტს. ნუ გამოვიწვევთ მის გულისწყრომას ზედმეტად. თავს ნუ ნავაგებთ.

* * *

იქ ხარ, საღამოს მრუმე კუთხეში. ძილისპირულს უმღერი საბელშემბულ, ნახევრად უკვე თვალდახუჭულ, გველეშაპს. ვარსკვლავები სამყაროს შორისდებულბივით იფანტებიან ცაზე შენ მალა. მონაგონია შენს მიუვალბასთან ცხრაკლიტულთა მიუვალბა, იმათზე შორსაც ხარ გაცილებით, დაუსრულებლად მღელვარე ზღვებს იქით იმყოფები, ქვიშიან ბავშვობას მიღმა, იქ, საითაც შენ მიერ ჩემთვის ანთებული სინათლეც კი დიდხანს ვერ მივა თავისი სიჩქარით და საითაც თბილი ქვეყნებიდან სამშობლოებისათვის გვერდის ავლით მიიწვევენ მიმომგრენი ფრინველები. იქ, სასაფლაოს გასასვლელთან, დგახარ თმაში ქართი ჩემ მოლოდინში და ერთ რამეს ნატრობ მხოლოდ — გამოვადნო.

პირთვული იარაღის იაჰნანა

ის განისვენებს სიბნელეში, დანაღმული ველებითა და მავთულის ღობურებით გარემოცული. მას სძინავს და ძილში ჩურჩულით მღერის:

რა კარგია ძილი, რა კარგია უწყვეტი ძილი. რა კარგია, როცა სულ გძინავს, მაგრამ არსებობს. რა კარგია, არავინ რომ არ გიფრთხობს ძილს და შენც, მოშველებული, არავის უტყევ.

მსოფლიოვ, ნუთუ არ მოგწყინდა შენი ფხიზლობის უთავბოლო ამბავი? ნუთუ საერთოდ არ მოგბეზრდა აქამდე თავი შენი ზედაპირული სწრაფვებითა და გონებაჩლუნგის თავდაჯერებით?



ნიკა ჯორჯანელი

შენი ევოლუციის თეორიებითა და სასაფლაოს მცენარეულობით? შენი გაუპატიურებული მორალითა და ნაპატივები უსამართლობით? შენი ადამიანის უფლებების დეკლარაციებით, როცა ადამიანები ადამიანები აღარ არიან? შენი ნარჩენებით, რომლებშიაც უფრო ვლინდები, ვიდრე იმაში, რაც მათ ტოვებს? შენი ვნებიანი მასობრივი არეულობებითა და იძულებითი საზოგადოებრივი წესრიგებით? შენი ხელიხეჩაკიდებული ომებითა და მშვიდობებით? შენი ტერორიზმისა და მასთან ბრძოლის ტანდემით? შენი არქეოლოგიური ძიებებით ჭეშმარიტების? შენი იმდენივე ნაბიჯით უკან, რამდენითაც წინ? შენი უსიცოცხლო ოფისებითა და მყარალი საროსკიპოებით?

შენი სათამაშო ბიზნესითა და ნარკოვაჭრობით? შენი სისხლზე აშენებული სასახლებით? შენი უსახლკარო ბავშვებითა და უარყოფილი მოხუცებით? შენი სიხარულით იქ, სადაც სიხარულის საფუძველი არაა?

შენი ცხვირმოუხოცავი ბელადებით? შენი სამგლოვიარო მესებითა და საკლუბო მუსიკით? შენი სულელური გამობტომებით უსასრულობაში? შენი ვენერული დაავადებებითა და ვახტიორის სინდრომით?

შენი არარაობის პატივმოყვარეობით? შენი ვერცხლისმოყვარე სასულიერო პირებით? შენი გენიოსსა და ბრბოს შორის გაუგებრობებით? შენი რობინზონადებად ტრანსფორმირებული ოდისეებით?

შენი უქმი ლაბორატორიებითა და ლაბირინთებით? შენი აბლაბუდებიანი საკუჭნაოებითა და სარდაფებით? შენი წრეზე მატარებელი ხიდებითა და ავტოსტრადებით? შენი არსადმიმყვანი გზებითა და გვირაბებით? შენი დაბინძურებული წყლითა და ამტკვერებული ხმელეთით?

შენი შხამიანი გველებითა და მათი მწვრთნელებით? შენი მუზეუმებზე დადაკელებული სასაკლავოებით? შენი ცვალებადი ტრანსპარანტებითა და სარეკლამო აბრებით?

შენი დაგეგმილი და სპონტანური მკვლელობებით? შენი გათეთრებული და გაუთეთრებელი ფულით? შენი სამარცხვინო შეჯიბრებებითა და ტაკიმასხარაობებით? შენი უბადრუკი იერარქიებითა და სუბორდინაციებით? შენი კურორტული კლასიფიკაციებითა და დიფერენცირებებით?

შენი გახუნებული იარაღებითა და ფუყე სიმბოლოებით? შენი იმთავითვე კოტრი ბანკებითა და კომპანიებით? შენი წარმავალი ბრენდებითა და ნოუ-ჰაუებით? შენი მიზნით გამართლებული საშუალებებით?

შენი დამსხვრეული და დაუმსხვრეველი კერპებით? შენი ხსოვნის დღეებითა და სკლეროზით? შენი შავი კვადრატით დასრულებული პარტენონით? შენი კომიკური პროგნოზებითა და საექსპერტო შეფასებებით? შენი უაზრო აღლუმებითა და საპროტესტო აქციებით? შენი ხმაჩახლენილი მიკროფონებითა და მეგაფონებით?

შენი დაზვერვის სამსახურებითა და ჯაშუშობით? შენი კონსპირაციულობითა და სულმოკლეობით? შენი ტატუირებული ბარძაყებითა და კოჭებით? შენი გახვრეტილი ძუძუსთავებითა და გენიტალიებით? შენი პირში კევითა და ცხვირში ჟღვინტით? შენი დროსტარებებითა და დროის ფასის ცოდნით? შენი უმიზნო ლაშქრობებითა და კარვის დადგებით? შენი ყოველ ნაბიჯზე ალკოჰოლითა და თამბაქოთი? შენი ანაშისა და ოპიუმის ტრიუმფით?

შენი შპრიცებიანი და ნარწყევებიანი სადარბაზოებით? შენი სრიალა პოდიუმებითა და გადასაღები მოედნებით? შენი ფოტოკამერებითა და დაყენებულნი გამოსხვებით?

შენი პრიალა ჟურნალებითა და საპნის ოპერებით? შენი კარტოფილი ფრითა და პასტა კარბონარათი? შენი კატლეტებითა და ბიფშტექსებით? შენი ლოკოკინას წვნიანებითა და მამლებით ღვინოში? შენი მოშუშული კალმარებითა და შემწვარი ლანგუსტებით?

შენი ბლანმანჟეთი და რაჰათ-ლუქუმით? შენი კოქტილებით „მარგარიტა“ და „სექსი პლაჟზე“? შენი აბზარი აგიტაციებითა და სტრიპტიზებით? შენი ურთიერთგამომრიცხავი სიბრძნეებით? შენი ფრთიანი გამონათქვამებით, ლამურებით რომ დაგფარფატებენ?..

აი, მე ძმინავს და შენს ფხიზლობას ჩემი ძილი მირჩვენია. არ გამაღვიძო, მსოფლიოვ, არ გატეხო ჩემი ნეტარი ძილი.

მეძინება, დაღლილი ვარ. არსებობა დაღლაა, მაშინაც კი, როცა სულ გძინავს. არ გამაღვიძო, ძალიან გთხოვ, არ გამაღვიძო. მომიწევი. დაიძინე ჩემთან ერთად. ჩამეხუტე და დაიძინე.

სიფლავი დაწყვიტილი სიმახისათვის

მთავრის თქმა თურმე ვერ შევძელი შენთვის, და ბედი გალიზიანდა, გადაფითრდა, გახდა მტარვალი... ძვირფასო, შენთან მინდა-მეთქი... ამაზე მეტი, მართლა არ ვიცი, რაღა მეთქვა, მაგრამ მთავარი

მაინც ვერ მითქვამს, როგორც ვხედავ, და ამჯერადაც ვერ ვაბამ თავს და ვფრუსტრირდები, სრულ ჩიხს მიმხვდარი, რადგან მეგონა, მოვახერხე, გულით მჯეროდა... რა გამოვიდა, მთავარი თუ ველარ გითხარი.

დავცქერი სიტყვებს და ვმკითხაობ მათზე ყოველდღე, როგორც შტერდება პატიმარი და შლის პასიანსს. ნუთუ ყველაზე არსებითი ვერ ამოვლერლე და ჩემს უნრფელეს „შენთან მინდა“-ს ჩალის ფასი აქვს.

ნეტავ ასეთი რა სიტყვები დამრჩა უთქმელი? რომ ნათქვამისთვის ელვა-კრთომა, სმენის მპარავი, ვერ მიმიცია მათ გარეშე. შევიკურთხებდი, რადგან თავს ვიმტვრევ, თავს ზემოთ კი ძალა არ არი.

ალბათ, დროცაა დამნაშავე: ცრიცა ოცნება და თავის საზომ ერთეულებს, როგორც კრაზანებს, ჩანასახშივე ახშობინა, რისი მოსმენაც თურმე ყოველგვარ ჭორს გერჩივნა ამ ქვეყანაზე.

მართალსაც. ჰოდა, ვიმედოვნებ, როცა მოვკვდები, შენს ატმოსფეროს, სადაც ჩემმა ველარ შეასწრო, მოღრუბლულობაც გაუხდება მოსალოდნელი და ნალექების შეექნება მოსვლაც შესაძლო.

მაგრამ უფრთხიან მომდევნოებს წინა ნუთები და, სევდისაგან ის იმედი რაც გინდ მიცადვდეს, დროის უწყვეტელ მსვლელობასთან ერთად ვრწმუნდები, რომ ვქმნი სიმღერებს დაწყვეტილი სიმებისათვის.

კაცი, საავადმყოფო, მთაზა მდებარე, და ცა საავადმყოფოს თავზე

სახლის ფანჯრიდან საავადმყოფო მოჩანდა მთაზე. ეს იყო ძალზე საშიში საავადმყოფო. ქალაქის მცხოვრებთ არ უყვარდათ მისი ხსენება. მასთან დაბლიდან ადიოდნენ კლაკინილი გზები.

როდესაც კაცი ფანჯარაში იხედებოდა, თვალს უნებლიეთ ააყოლებდა ხოლმე იმ მთას და საავადმყოფოს შენობაზე შეაჩერებდა. კაცსაც სხვებივით ეშინოდა მასში მოხვედრის. ოღონდაც ეგ არ მოსწეოდა, ფიქრობდა ხოლმე ქვეცნობიერად, ოღონდაც ეგ არ მოსწეოდა.

ისიც უფიქრია თავის დროზე, რომ მიუხვევ-მოუხვევლად, ანუ ჰაერით ნახევარი საათის სავალიც არ იქნებოდა იქამდე ფეხით მისი ფანჯრიდან, რომლიდანაც ყველაფერზე უფრო მკაფიოდ ის მოჩანდა – საავადმყოფო, მთაზე მდებარე. მომწინდელ დღეს ხომ ჩანდა და ჩანდა და ბურუსშიაც საკმარისად გაიჩრქოდა.

ლამით შორიდან ციმციმებდა ფანჯრების შუქით და უცხოელზე შეიძლებოდა რეზიდენციის შთაბეჭდილება მოეხდინა ან რამე მსგავსის.

ერთხელ მოხვდა კაცი მის ბნელ კედლებში. ჩვეულებრივად მოხვდა — არა ჰაერით. იქ მას კვლევები ჩაუტარეს, დაუდგინეს სათანადო დაავადება და ხელად გაჭრეს, ხოლო შემდეგ ბულონისა და ჟანგის სუნით სავსე პალატაში მოათავსეს, რომლის ჭერზე გაშავებული ნათურა ეკიდა.

კაცი ძალდაძალ შეეგუა ახალ გარემოს, ინვა ზამბარიან სანოლზე, პირველ ხანებში გაზეთებით ცდილობდა გაერთო თავი, კროსვორდიც შეავსო ერთი პირობა, მაგრამ მალე უკვე ტკივილები მოეძალა და მეტად ცუდად გაუხდა საქმე.

და ერთ ღამეს კაცს გაახსენდა, თავისი სახლის ფანჯრიდან როგორ უყურებდა საავადმყოფოს, რომელშიც მაინც მოუნია ბოლოს მოხვედრა. ის ძლივძლივობით წამოდგა სანოლიდან, საგნებზე დაყრდნობით მიატანა პალატის ფანჯარას და გადახედა ღამის ქალაქს, ნაკვერჩხლად მღვივარს. ხოლო ქალაქი მისთვის ახლა ვარსკვლავებით მოჭედნილ ცას წარმოადგენდა. და ამ ცაზე ძებნა დაუწყო თვალებით კაცმა ვარსკვლავს, რომელიც მის სახლს გულისხმობდა. ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვა ამდენ ვარსკვლავში. და როცა ბოლოს მოულოდნელად განერილ იქნა, ის შინ იმავე გზებით დაბრუნდა, რომლებითაც სახლს განეშორა. ის შინ დაბრუნდა და მას შემდეგ უცქეროდა ცას საავადმყოფოს თავზე. ცას, რომელსაც ადრე სულ ვერ ამჩნევდა, ცისქვეშეთით მოტყუებული.

სიცხეში წერა

წერა არ არის საუკეთესო რამ, რაც შეიძლება სიცხეში აკეთო. ეს არსებითად იგივეა, ბარგაკიდებულს და წელში მოხრილს კიდევ არცთუ მსუბუქი ჩანთა გეჭიროს კბილებით.

მაგრამ რა უნდა ქნა, თუ ამ ჩანთაში წყლიანი მათარებია, წყალი გზად არსად არის, გზა შორია, წასვლა კი გაქცევასავით აუცილებელი...

წერე! სანამ ცხოვრება მოსაჩვენებელი ჩაცინებით არ ჩაილაპარაკებს: „ერთი ამას დამიხედეთ“. წერე გონების დაბნელებამდე! გამოთავყვანებამდე! წერე, სანამ არ იგრძნობ, როგორ მიეკრნენ ერთმანეთს რუხი ნივთიერებით განებილი აზრები. სანამ ქალაქზე მცოცავ ჭიებად არ მოგჩვენება ასოები. სანამ მოდრეკილი კითხვის ნიშნები ძახილის ნიშნებად არ გასწორდებიან. სანამ არ აღმოაჩენ, რომ შავით თეთრზე კი არა — თეთრით შავზე გინერია.

წერე, სანამ მალვიდარას ზარის მექანიზმით არ დაიწყებს რხევას ნაწერი.

წამის მარადიულობა

ეს იყო ზაფხულის ღამის ქალაქი. უფრო სწორად — ღამე, რომელმაც პატივი დაგვდო ჩვენ და ქალაქს და იყო ისეთი, როგორც იყო. ქუჩიდან ქუჩაზე ვინაცვლებდით, და ყველგან ანგელოზები იდგნენ და გვიღიმოდნენ. მაგრამ ჩვენ მათ ვერ ვამჩნევდით. (ანმყოს გააჩნია ისეთი მხარე, რომელიც მხოლოდ მომავლიდან ხდება დასანახავი.) შემდეგ ხმაამოუღებლად ვისხედით და ჩემი მკვლავების შიგნით, რომლებითაც ჩახუტებული მყავდი, ტალღებით, ერთიმეორის მიყოლებით, ჩნდებოდნენ ახალ-ახალი მკვლავები, არასოდეს რომ არ გამეშვი. მე ვისუთქავდი შენს თმაში გახლართულ ჰაერს, განცხრომილსა და თავბრუდამსხმელს. შენ თავი ასნიე და შეცბუნებულმა მაკოცე,

და მე ვიგრძენი რაღაცა იმის მსგავსი, რასაც გრძნობს ის, ვინც დიდი სიმაღლიდან წყალში გადაეშვა და მეტად ღრმად აღმოჩნდა წყალქვეშ.

ასე მექცა წამი მარადიულად.

გეტყვი, როგორ უნდა მიხვდე, იგივე ხომ არ დაგემართა: დღეებს დააკვირდი. და თუ აღმოაჩენ, რომ ისინი ნახირივით გაფანტულან, ზოგი სადაა და ზოგი სად, მაშინ შენც იგივე დაგმართვია. უკვდავყოფილი წამი იმდენად დიდი ხდება სივრცეზე, იმდენად ეფარება სივრცეს, რომ კარგავს მას და ერთმანეთთან უბრად მყოფ დღეებად იშლება. მაგრამ ადევნებ ამ დღეებს თვალს და იცი: სინამდვილეში ისინი შენი მარადიულად ქცეული წამია.

ასე ბრუნდება ხარისხი რაოდენობაში და მასში არსებობას აგრძელებს.

ჰაერზე, სანამ კვამლი

ალვის ბუმბული ეცემა გრუხუნით ჩამომდგარ ვაგონებზე. ოთხი ნაგაზიანი მსროლელი თანხლებული ფროლიანი ირმა ნელა მიუყვება ჩამოყვანილთა გრძელ მწკრივს და შემართებით და ხმამაღლა, თითქოს მღერისო, მატარებლის სისინის ფონზე ითვლის დამწკრივებულებს თითოეული მათგანის სახესთან შოლტის ტარის მიტანით.

სხვა ქალი სამხედრო ქუდში და უკან შეკრული თმით დამახინჯებულ პოლონურ ენაზე მოითხოვს რუპორში, რომ ჩამოყვანილებმა დატოვონ ბარგი და ორ ჯგუფად დაიყვენენ, კაცები გაემიჯნონ ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს, დაეწყვენ და ნელი სირბილით მარჯვნივ წავიდნენ, აქეთ-იქით არ იცქირონ და ერთმანეთს არ ჩამორჩნენ, დანარჩენებმა მთლიანად გაიხადონ და ადგილზე დარჩნენ,

სანამ ახალ განკარგულებას არ მიიღებენ. „რა დამთრგუნველია გერმანელ ქალ სამხედროთა პოლონური,

მაგრამ რა გაუგებრად წარმტაციც“, — ფიქრობს გუნებაში ასაკოვანი ნელმოხრილი ებრაელი, ვისი ტვინიც მალე გაიგუდება.

ერთი ჩამოყვანილთაგანი, ფილოსოფიის პროფესორი, ეკითხება გვერდზე მდგომ კიპიან წვეროსანს, რომ ხომ არ იცის იმან, მათ ცოცხლად დანვავენ თუ ვერ გაგუდავენ და მერე, და პასუხად მის ვაცბუნებულ გამოხედვას ღებულობს. ჩვენ აქ არ მოვკვდებით, ჩვენ აქ არ მოვკვდებით, ჩვენ აქ არ მოვკვდებით! — ტუჩების კანკალით გაიძახის თავშალწამოსხმული ცაღფეხა გოგო, რომელსაც იმის გამო, რომ ყავარჯნები წაართვის და მინაზე დაჯდომა დაუშალეს, ჩაცუქცებულ დედასთან ხელგადახვეულს უწევს დგომა. მაგრამ ორი საათიც არ იქნება გასული, რომ მას და დედამის სხვა დაწუნებულებთან ერთად მომაკვდინებელ სამხაპეში შერეკავენ.

ჯარისკაცები სახეშეშლილები გაყვირიან ერთსა და იმავს. განუწყვეტილად ყეფენ ნაგაზები, და ურჩხულებად ეჩვენებათ ისინი მშობლებთან ხელჩაკიდებულ ბავშვებს, რომელთა შორის იმდენად პატარებიც არიან, რომ არათუ წარმოადგენა არა აქეთ, სად, ისიც არ იციან, საიდან ჩამოიყვანეს.

თავზე ხელალებულებიც კი არ ფიქრობენ გაქცევაზე. ყველა თითქოს მოჯადოებულია იმით, რასაც ხედავს და რაც ესმის: მოსისინე მატარებლით, მყეფარი ძაღლებითა და მათი პატრონებით, თავიანთ ძაღლებზე უფრო ავად მყეფარით, მკაცრი და არაბუნებრივი პროფილის მქონე უნიფორმიანი ქალით, კოშკურებიდან ქვემოთ მაცქერალი გუშაგებით, სქელი შავი კვამლით, ამომავლით საიდანღაც დაბალ-დაბალი და გრძელ-გრძელი ნაგებობების უკნიდან, ერთმანეთის თვალებით.

ექიმი მენგელე თავის მყუდროდ მოწყობილ ოთახში თვალების მოჭუტვით ოდეკოლონს ისხურებს, ახალდაუთოებულ ხალათს იცვამს,

ხალათის ჯიბეში მოსინჯვით ფონენდოსკოპს ნახულობს, თან ცალი ყურით ამ ყველაფრამდე დანერილ მუსიკას უსმენს,

გრამოფონიდან გადმოფრქვეულს, რომელსაც ვერ იგებს, უბრალოდ რაღაცნაირად მიეჩვია. შემდეგ კანფეტებით სავსე პარკებს იღებს და გაღიმებული სახით გადის ბავშვებთან.

II

იმ დროისათვის, როცა მზე ჩასვლას იწყებს, ხოლო ფროლიანი ირმა ათავეებს მთვრალ ოფიცერზე შემჯდარი და გრძნობს ოთახში შემოსულ დამწვრის სუნს, ბარაკის წინ ბალახზე სიგარეტის ჩამქრალი ნამწვით პირობი

ზის ახალგაზრდა გერმანელი ჯარისკაცი და ადგენს გაზის კამერაში შეპარვის გეგმას. ის თავდავინწყებამდეა მისული სიყვარულით რამდენიმე კვირის უკან ჩამოყვანილი ქალის მიმართ, ვერ კიდევ მოუკლავის, მაგრამ სასიკვდილოდ განირულის,

რომლის გამოსხნა არანაირად არ შეუძლია და რომელთან ერთად სიკვდილიც გადაწყვიტა. მთელი ღამე მას თვალი არ მოუხუჭავს, დილით კი, სანოლზე გაუხდელად მწოლი, ესროდა საკუთარ ანარეკლს სარკეში. ახლა ის უყურებს მავთულხლართს მიღმა მოჩინარ ტყეს, რომლის იქითაც კიდევ ტყეებია. მან იცის, რომ სულ ახლოს მდინარე მიედინება, რომელშიაც კომენდანტის შვილები ჭყუმპალაობენ ხოლმე და რომელიც სხვა მდინარეს ერთვის, ის კი, თავის მხრივ, სხვას, და რომ არ არსებობს ნაპირი, ბოროტება რომ არ იყოს მასზე.

მან იცის, რომ მდინარის გაღმა სოფლებია და იმ სოფლებს იქით — კიდევ სხვა ქალაქები და სოფლები,

და ხედება, რომ აქაურობა მხოლოდ და მხოლოდ სარკეა, ამრეკლავი იმის, რაც ხდება ირგვლივ, რომ ამ ბანაკს იმიტომ უნდა ერქვას საკონცენტრაციო, რომ მასში ქვეყანაზე გაფანტული ბოროტებაა მოგროვილი, და რომ ცხოვრება ბანაკის ფარგლებს გარეთ მის უფროსობაზე სასტიკია.

ჯაკო პასტორიუსის ხსოვნას

დაუკრა, ჭირი სადაც გაგემეს, არ გაგინყდება სანამდე ქანცი, დაუკრა თუნდაც ერთ-ორ დოლარად, სადაც ნაგავი ხეთქს სანაგვეებს, მასა ცვლის მასას, როგორც კაცს კაცი, და მანქანების მიმოქროლაა.

აფიქრებინო რეგენებს: „გადახრა“, მერე კი, ბარის ბრბოში გაჩრილმა, იგრძნო, რომ დადგა ბედის ბორბალი, მიუჯდე დახლს და ჩუმად გადაკრა შენი დაკრულის ცოცხლად დარჩენა და საკუთარი შესანდობარი.



დასასრული

— იაროსლავ! ახლავე დატოვე ჩემი სახლი! შენ ჩემს სტუმარს შეურაცხყოფა მიაყენე! — განწირული ხმით წამოიყვირა მარად უწყინარმა სვეტილოვმა.

— ამას მე მეუბნები? — ჩუმად ჰკითხა უცებ გამოფხიზლებულმა სმელიაკოვმა. — ნაღი!

სმელიაკოვი წავიდა. ბულატიც წავიდა. ყველანი წავიდნენ.

— ვინ იყო დამნაშავე? სმელიაკოვი? ოკუჯავა? სვეტილოვი? არცერთი! დამნაშავე იყო როდამი, მაგრამ შეიძლება კი სიყვარულის დადანაშაულება?! — იკითხა ვლადიმერ ოგენემა, რომელმაც ეს ამბავი მოგვითხრო და მე ერთხელ კიდევ გამახსენა ჩვენი უკვდავი ვაჟა ფშაველა.

კიდევ ერთი ინციდენტი უნდა გამოვარჩიოთ, რაკი შემთხვევა თბილისის რესტორანში მოხდა და გახმაურდა. სტანისლავ კუნიავენი დაინტერესდა და ბულატიც უამბო:

— სამოციან წლებში თბილისში საბჭოთა ლიტერატურის დეკადა ჩატარდა. ქართველები ღირსეულად გაგვიმასპინძლდნენ. ერთ საღამოს რომ კარგად გვაქეიფეს, მეორე დღეს ნაბახუსევები ხაშზე მიგვიწვიეს. აქსიონოვმა ორიოდე სირჩა არაყი გადაჰკრა და ამიხიდა: შენ შავრაზმელ ანტიემიტებს ეძმაკაცები, თქვენ ხელისუფლების იმედზე ხართ და ცეკაში დაბრძანდებით. მე ვუთხარი: ვასია, თქვენ გეფერებიან, უცხოეთში გაგზავნიან, კარგად იცნობენ თქვენს კავშირებს — ებრაული ინტელიგენცია ხომ მთელს მსოფლიოშია გაფანტული. ხოლო თუ რომელიმე ჩვენთაგანი ცეკაში მივიდა, დარწმუნებული ვარ, როდესაც იგი საპარადო შესასვლელის კიბეებზე ადიოდა, მაშინ შენ, ვოზნესენსკი და ევტუშენკო სათადარიგო ფარულ კიბეზე ჩამობოდით-მეთქი. გაცხარდა და სილა გამანა. მეც ავდექი და ეგრევე ვხიე.

ოკუჯავა — შედარებით იშვიათი გვარია საქართველოში. ოკუჯავები — სამეგრელოდან იმერეთში გადმოსახლებულ მეგრელთა შთამომავლები არიან. ვინაიდან გვარი არც ძეზე მთავრდება და არც შვილზე, რუსულენოვან სამყაროში, ვიდრე ბულატი პოპულარული გახდებოდა, უცხოური წარმოშობისა ეგონათ, ხოლო რაკი ვათი სრულდება, ზოგიერთმა პოეტებსადაც წარმოიდგინა. საბოლოოდ კი მოკლე სამსიტიყვიანი სტატუსი ჩამოუყალიბდა და თვითონაც მოსწონდა — *ბიბი ი ი ნიე ანიე ში ბაღბაა*.

1987 წელს მოსკოვის კინოს სახლში თენგიზ აბულაძის „მონანიების“ ჩვენებას დაესწრო და, როგორც მოსალოდნელი იყო, უცნაურად აღეგზნო: „ახლა ყველაფერი ნათქვამია, ახლა ყველაფერი შეიცვლება“. სხვა დროს კი განაცხადა — ეს ფილმი უსათუოდ ქართველს უნდა გადაეღო.

ანდრეი ტარკოვსკის ფილმებზე მეტად — ოთარ იოსელიანის ფილმები მოსწონდა, უფრო ემპობლიურებოდა: უფრო ჩემია, უფრო მახლობელიაო.

1984 წელს სამოცი წელი შეუსრულდა და იუბილეზე სტალინი გაუსხენეს: ერთმა ქართველმა მეორე ქართველის ტაშების რეკორდი მოხსნაო.

სტალინთან პირადი ანგარიში ჰქონდა (გასასწორებელი?): მამა დაუხვრიტა, მამიდა დაუხვრიტა, ბიძები დაუხვრიტა, დედა ორჯერ გადაუსახლა და თვითონ სამუდამოდ გაასახლა საბჭოთა იმპერიის დედაქალაქიდან.

1977 წელს კალუგაში ჩავიდა ახლობელი ქალბატონის იუბილეზე. სასტუმროს რესტორანში ბანკეტი გაიმართა. ნასვამმა გადამდგარმა პოლკოვნიკმა შეზარხოშებულ სუფრას „ჩვენი ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელისა და უმაღლესი მთავარსარდლის“ სადღეგრძელო შესთავაზა. სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე ბულატიც დაარღვია:

— მე არ შევსვამ სისხლისმსმელისა და სულთამხუთავის სადღეგრძელოს! — დაჯდა და ჭიქა მაგიდაზე დადგა.

ვეტერანმა ოპონენტი ალმაცერად შეათვალა:

— თქვენ რა გესმით, ყმანვილო, თქვენ ხომ დენთიც კი არ დაგიყნოსავთ!

— სამწელიწადნახევარი! — მიახალა ბულატიც და ზურგი შეაქცია ნაპოლკოვნიკარს.

გალაკტიონ ტაბიძის პირადმა არქივმა და ბულატი ოკუჯავას საოჯახო ალბომში შემოინახეს 1926 წელს ნალვერში გა-

დაღებული ერთი თავის დროზე მეტად სახიფათო ფოტო, რომელიც ბულატიც „გაუქმებული თეატრის“ პირველ გამოცემაში გამოაქვეყნა: გალაკტიონის მეუღლესთან და ბულატიც მამასთან ერთად ფოტოსურათიდან შემოგვცქერიან ამ ორის და — მანია, ამ სამის დედის ქმარი — მაქსიმე კიკვაძე, ბულატიც დედის მეუღლე — ვართან მუნტიკოვი და ბულატიც მამიდის მეუღლე — გალაკტიონ ტაბიძე. 35 წლის გალაკტიონს მარჯვენა ხელი ცოლის ბიძისათვის გადაუხვევია მხარზე და საკმაოდ დამძვირებული გამოიყურება — თავისი განაღებულ აქვს: მისი მთავარი ნიგნი — „ზარნიშინი ნიგნი“ — იბეჭდება ან უკვე დაიბეჭდა და ამიერიდან შეუძლია მარცხენა ხელითაც წეროს, რასაც ჩაიდენს კიდევ. გალაკტიონის მეუღლე ანუ ბულატიც მამიდა, როგორც ყოველთვის, დაეჭვებული შემოგვყურებს, მინაზე ზის და ნახევრად წამოწოლილი ბულატიც მამა ისე ჩაუკრავს მკერდში, თითქოს ეშინია — არ მოსტაცონო. არადა, ათიოდე წლის შემდეგ ორივეს შთანთქავს ურჩხული, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა.

1941 წლის სექტემბერში, გერმანელე-



ბი რომ მოსკოვს მოადგენენ, სტალინმა და ბერიამ ქალაქ ორიოლში 157 პოლიტპატიმარი შეკრიბეს და 11 სექტემბრის ღამით სასტიკი დაუნდობლობით დახვრიტეს. მათ შორის ირიცხებოდა ოლია ოკუჯავა. დაწვრილებითი ინფორმაცია ამ ვერაგული აქციის შესახებ უფროაღ „*Е.Г.Григорьев О.Е. NN*“ — ან 1990 წლის მეთვრამეტე ნომერში გამოქვეყნდა. 1994 წელს პუშკინის მუზეუმში — ბელა ახმადულინასა და ბულატი ოკუჯავას ერთობლივ საღამოზე — ამ პუბლიკაციის ქსეროასლი გადასცა ბულატიც საავტორო სიმღერების ბიბლიოფილმა ანდრეი კრილოვმა და დასძინა: აქამდე ბულატიც არ იცოდა, სად, როდის და როგორ დაიღუპა მამიდამისო.

როგორც უკვე მოგახსენეთ, არც სტალინის დაუნდობელ ოპონენტს მოუვიდა თვალში გიტარისანი პოეტი. შემონახულია სტენოგრაფიული ტექსტი ნიკიტა ხრუშჩოვის გამოსვლისა საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე 1963 წლის 25 აპრილს (მოგვიდმეტე საბჭოთა ლიდერის ლექსიკური ანომალიის გამო):

— მიქოიანმა მკითხა: „იცი შენ, ვინაა ოკუჯავა? იგი ძველი ბოლშევიკის ვაჟიშვილია“. ის ძველი ბოლშევიკი ქაქი იყო, მემარცხენე, ნაციონალ-მემარცხენე, მამასადამე, რა თქმა უნდა, ქაქი... ოკუჯავა რომ დახვრიტეს, ეს სტალინის ბრალია. უნდა განვასხვავოთ დროის პერიოდები: ერთია, როცა ოკუჯავამ პოლიტიკური შეცდომა დაუშვა და სხვაა, როცა თავგზა აებნა. სისულელეა ყველაფერი ეს. ეყობა, ყოველივე ამან დალი დააჩნია ვაჟიშვილსაც. ამიტომ ჩვენ ვაჟიშვილს ვერც მხარს დაუჭერთ და ვერც დავეხმარებით. შენ რა (მიქოიანს მიუბრუნდა),

ვინაა მხარი დაუჭირო ამ გიტარისან ბანდურას?

დიახ, დროის პერიოდები ერთმანეთისგან განსხვავდებიან და ერთ დროს მოსკოვიდან გასახლებული ბულატი ოკუჯავას უგიტარო და უშედეგალო ბრინჯაოს ძეგლმა 2002 წლის 8 მაისს არბატზე „შემოაბიჯა“ (ქანდაკების ავტორია გიორგი ფრანგულიანი. ფრანგულიანმა გაიმარჯვა კონკურსში. კონკურსში ზურაბ ნერეთელიც მონაწილეობდა).

* 1945 წლის 20 ოქტომბერს თბილისის სასტუმრო „თბილისის“ ნომერში ოცდაერთი წლის ბულატი ოკუჯავა პირველად და უკანასკნელად შეხვდა ბორის პასტერნაკს და საკუთარი ლექსები წაუკითხა. ოკუჯავას მთავარი ბიოგრაფი ვარაუდობს, რომ ამ ვიზიტის უფლება ახალგაზრდა პოეტმა გალაკტიონ ტაბიძის „პროტექციით“ მოიპოვა. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში, უნდა გავანზილოთ მთავარი ბიოგრაფი: გალაკტიონ ტაბიძე ბორის პასტერნაკს არ იცნობდა. ამ ორი პოეტის ცხოვრების გზები ათეული წლების განმავლობაში პარალელური ხაზებით მი-

ლელობა. ავტორი სამგზის იმეორებს, თითქოს გალაკტიონმა საბედისწერო ნაბიჯი გადადგა იმის გამო, რომ აიძულებდნენ ხელი მოეწერა „თავისი მეგობრის“ ბორის პასტერნაკის დამსჯელ წერილზე. 1958 წლის 29 ოქტომბერს საქართველოს მწერალთა კავშირში გაიმართა კრება, რომელმაც სასტიკად დაგმო რუსი მწერლის საქციელი და მხარი დაუჭირა მის გარიცხვას მწერალთა რიგებიდან. ამ კრებას გალაკტიონი არ ესწრებოდა. მე ვესწრებოდი. შემორჩენილია კრების ოქმის ექვსგვერდიანი სტენოგრაფიული ჩანაწერი და ერთხმად მიღებული დადგენილება — „ერთსულოვანი გულისწერომა“, აგრეთვე — რუსულ ენაზე შედგენილი ოფიციალური წერილი, რომელიც მოსკოვში გაიგზავნა. ეს იყო აბსურდის თეატრი: ქართველი კოლეგები, მათ შორის — პასტერნაკის მეგობრები — ჰგმობდნენ და რისხავდნენ ნაწარმოებს, რომელიც წაკითხული არ ჰქონდათ. ერთადერთმა სიმომ ჩიქოვანმა განაცხადა: პერედელკინოში ავტორმა რამდენიმე ფრაგმენტი წაგვიკითხაო. არავითარი ხელმოწერა არ ჩატარებულა და, რაც მთავარია, გალაკტიონმა თავი მოიკლა ხუთი თვის შემდეგ. ყოველივე ამის შესახებ 2000 წლის 7 აპრილს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნე ვრცელი საპროტესტო წერილი — „დაანებეთ გალაკტიონს თავისი მარტოობა“, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ქართველმა მკითხველებმა წაიკითხეს.

2003 წელს მოსკოვში გამოვიდა მარატი გიზატულინის ნიგნი „მისი უნივერსიტეტი“. ბულატი ოკუჯავას ახალგაზრდობის წლების ამსახველი ეს ნიგნიც იმეორებს გრიგოლ ჩხარტიშვილის მცდარ ვერსიას:

— არსებობს ლეგენდა (ან, იქნებ ნამდვილი ამბავიცაა), რომლის თანახმადაც, 1959 წლის მარტში, როცა გალაკტიონი საავადმყოფოში იწვა, მასთან დაუპატიჟებელი სტუმრები მივიდნენ და ბორის პასტერნაკის, როგორც სამშობლოს მოღალატის, გაკიცხვის წერილზე ხელის მოწერა მოსთხოვეს. ჰყვებიან, მათთვის პასუხის გაცემის ნაცვლად, გალაკტიონმა ხელები ფრთხილად გაშალა და დაიძახა: „შენთან მოვერინავ, ოლია!..“

2004-2008 წლებში გამომცემლობა „ბულატი“ შემოგვთავაზა ხუთი ყოველწლიური სოლიდური მოცულობის ნიგნი-ალმანახი — „*Аи ъи њ и аааааа. I њ аи а I Аааааа*“. მესამე გამოცემაში 2006 წელს გალაკტიონის ერთ-ერთმა მთარგმნელმა ვლადიმერ ლეონოვიჩმა გამოაქვეყნა მოგონება „*Е.Г.Григорьев - библ. и аааааа*“ და საქმეში ბულატიც გაიყვანა:

— გალაკტიონი აღმოჩნდა ერთადერთი, ვინც მორბოს ეროგოთის ჟამს ჯალათებსა და ბიზოს რუსულთაგნების ზეიმი ჩაამწარა. ღირსება რუსი პოეტისა — ბორის პასტერნაკისა — გადაარჩინა ქართველმა... ბულატიც იცოდა ყოველივე ეს და არაფერი მეუბნებოდა. ანკი რა საჭირო იყო?!

2009 წელს „მოლოდია გვარდიამ“ გამოჩენილი ადამიანების ცხოვრების სერიიდან გამოსცა დიმიტრი ბიკოვის შვიდასგვერდიანი ნიგნი „ბულატი ოკუჯავა“. ნიგნში ციტირებულია გალაკტიონის ლექსი „სახლთან გავიდა და აღარ დაბრუნდა“ და:

— გალაკტიონმა ოლიას დაპატიმრებისთანავე დაწერა ეს ლექსი. მან კიდევ თვრამეტი წელი იცოცხლა და ფანჯრიდან გადმოხტა 1959 წლის 17 მარტს, როდესაც საქართველოს კავშირები მიუტანეს პასტერნაკის დაგმობის წერილი, რომელზეც ხელი უნდა მოეწერა.

როდემდე უნდა გავრძელებს ამ შეურაცხყოფილი სიყალბის ტირაჟირება? ეტყობა, უკვე საჭიროა და აუცილებელი — საპროტესტო წერილი რუსულად დაიწეროს და რუსეთში დაიბეჭდოს.

* **თვითმკვლელობა** გახლდათ გაბედული და რაინდული ნახტომი, რომლითაც გალაკტიონ ტაბიძემ საკუთარი მარტოობა დაავიკრავინა.

— სიკვდილშიც გვაჯობაო! — აღიარა პასტერნაკის ერთმა ქართველმა მეგობარმა პოეტმა.

ვეთანხმები!

ვინც არ გვეთანხმება, სამკურნალო კომბინატის მეოთხე სართულზე ავიდეს და ფანჯრიდან გადმოიხედოს!

ლელა მეტრეველი

— ვაი თებერვლის ბრალიო, —
მარტს უკვე გულში უდევს,

ცოტაც და, დედა შოშია
თავს დასტრიალებს, ვხედავ,

ჰო, იმ შორეულ ზღაპარში
მეც ცოცხალი მყავს დედა.

მთელი კვირაა,
მოიწყინეს ჩემმა კაბეებმა.

საყვარელ მნარაღს
ამ თაროებზე, მინის მიღმა
მე დაგასახლეთ,

ოცნება უკუღმა
ისევ ვიქნები სამი წლისა.
სტუმრები მოვლენ.

ახალი კაბა რომ არ ჩამაცვეს,
გაბრაზებული,
საწოლის ქვეშ დავიმალევი.

წვიმს
სულ ამბებურდა ფიქრის ნართები.
წუთებს წიკნიკით ითვლის საათი.

მაისია და რატომღაც ცივა.
შავ-თეთრად ვყოფ წარსულ თარიღებს

ვერა გავანყვე, ბედის წინ
თავი მორჩილად დავხარე,

იქით რა ბევრი ყოფილა,
აქეთ ყოფილა რა ცოტა.

ავღრის წინ
ვინრო ხეობას ჩაჰყურებს კბოდე,

კორპორაციის გვირილები
თითქოს მინაზე ათასობით დავარდა ხომლი,

მწვანე მინდორზე უამრავი სანთლის ნათელი —
ქარს აყოლილი გვირილების თეთრი ფანტელი.

"ხმა არ გავიდეს!" — გული ჩავრაზე.
წერვებს ეხება ტკივილის ხემი.

არც რამ საქმე და არც რამ საუნჯე,
არც სიხარულის ლამაზი ელდა,

რა უნდა იყოს უფრო იოლი
(ღმერთი ხეტიალს ალბათ მადროვებს!) —

ვინც გამშვიდებდით...
თქვენ მამშვიდებდით,

ეს დღეც ხომ გავა,
ეს თვეც ხომ გავა,

ეს ქვეყანა სულ ასე ვერ
იარსებებსო.
და მთავრდებოდა —

სატყვის შიმშილს
ძირს — დაჭმუჭნილი, დაფლეთილი
მწვანე ფოთლები,

სურათი
ხის ძირას, ჩრდილში
დგას "მიცუბიში".

პარადოქსი
ჩრდილს ხომ ვერ მოგცემს
ეს ალვის ხე, ტანაშოლტილი

ქსნის ზეცა
აქ ერთი-ორჯერ მართლა წავანყდი
სალამოსპირზე სეზანის ფერებს

მიტოვებული სოფელი
ძალიან არა ჰყვებს ამ სოფელში.
გადის დღეები.

ფარდობითობა
"შორს" — როცა ვამბობ,
გააჩნია,

კონტრასტი სიბნელეში
ხე ფანჯარასთან —
ნახშირის ჩონჩხი

ამ წრეს, სახელად "მარტოობას"
(ცენტრში მე ვდგავარ!),

მოსახვევის ეფექტი. ზაფხული

- 1. მოსახვევია. მთა პირდაპირ ასფალტზე განვა.
2. მოსახვევიდან, ხეებს შორის, მთები ისე ჩანს,
3. წინ — არაფერი, არც სახლები და არც ანძები.



დაბოთი

მერაბ ბაბუხაძია

ციკლიდან „სიყვარულის ასი ლექსი“

რომ არ მჭირდება...

რომ არ მჭირდება, ეჭვიც არ გქონდეს, არ გავიჭირებდი, საჭიროებსაა ჩივი ახლავს, სიყვარულს – ჭორი, მთელი ცხოვრება ღვინით ხელში დავჭრიტინებდი, და ყველა ჭორი ვეგვლებოდი ქვევრით და ჭურით. სიჭარბაგეში თუ მომიწევს ჭურის დათმობა, არ დაიჯერო, ჭორი იქნება და პირფერობა.

რის ქარავანი და რა სარაი?

ზორობაბელის რა ვთქვა სიუზის? ბრონეულისფრად ღუის ფარავი, არც სპარსული და არც ფარსიული. არ კი მომბეზრდა შენი პარავი და ხანაც წყენა აგრესიული.



ჰაი, ჰა...

მთელი სამყარო კიაფობს მაგ წამნამების ხვამლიდან, ცხოვრება ძვირს, არ იაფობს, ჰაი, ჰა, მიდის მალეგითა. თუ შენ არ შემოგენიო, ვიდრემდე ვიყო ალითა? ნაკიდებული ვარ შენის სასიყვარულო ალითა. ჟამმა მინია მე ცოდვილს ყველაფრის ზიდვის ამისა, თვალს რომ ჩაგხედავ, სანუთროვ, გული გამისკდეს ლამისა. თითქოს ანათებ, ეღვარებ, გული მოგიჩანს ლამისა... ერთი სანთელი ანათებს მაგ ბნელს ქვესკნელის ხალვითა, სატრფოს ღიმილი დაგზული სიყვარულისა წყალითა.

რატომ და რატომ

რატომ და რატომ, ვიარო მარტომ? მარტია, მაგრამ გნატრობ და გნატრობ. მარტია პაპამ ხეხილი დარგო, გაზაფხულია და უფრო გნატრობ. თუ მართობს რამე, ეგ ფიქრი მართობს, რადგან უშენოდ მარტოც ვერ მარტობს. წვენი შეუდგა დიდგორს და მარტოფოს, მარტია პაპა ვაჟკაცებს დარდობს... რატომ და რატომ? გნატრობ და გნატრობ.

განცხრომით ოდეს ვეძლევი ფიქრებს

განცხრომით ოდეს ვეძლევი ფიქრებს, ლაყვარდფერადით ტატნობზე ჰქრისხარ, სენ შაპელისას მაგონებს ტიხრებს, ვაგნერის „ვალკირს“, ლაყვარდის რიჰარდს. შენს ნატერფალებს და სტოკატოებს, თმათა ხვეულებს, მოხვრას და მიხვრას, ზმანება შენი ახლაც მატოკებს, ჰანგებით შენით და ჩვილის მიჩქმას. კინილა გონების დაცემის ჩემის, მფოთებით ოდეს ვეძლევი სიზმარს, ლაყვარდფერადით ტატნობზე რჩები, განჯელო ალვაგ, ზეცათა ნიზამ. თმათა ხვეულთა სიმფონიად გადამიქციეს ტყეთა შრიალი, ვალტორნების აგუგუნება, ვერცა ჰუნებმა, ყიფჩალებმაც ვერ დამაქციეს, ფერთა გამები არასოდეს გაგიხუნდება.

ნელიკო გოგუაძე

ნინ...

ნინო ქოქოსაძეს

იცი ნინ? ძალიან ბევრი ვიფიქრე დღეებზე, განშორებად რომ ჩადგა ჩვენს შორის.. ანუ ის და მე /არა მე და შენ/. იცი, ნინ მადლობა შეგწირე უფალს, ჩემი გულის მკურნალად რომ გაგაჩინა და ამაყად გინოდებ მეგობარს. სასწორის პინაზე დავდე ჩემი გული, შენ იცი, რომელი გადანონის და მშვიდად მეუბნები: "დაბრუნდი სიჩუმეში". ალბათ ფიქრობ, რომ სიჩუმეს მაგნიტის ძალა აქვს და სასწორის პინაზე აღარ დამჭირდება გულის დადება. იცი, ნინ მეშინია, რომ დანაპირებს ვერ შეგისრულებ. და კიდევ ერთხელ ზურგზე მათრახივით გადამენვენება მეგობრის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, რომლის მოშუშებასაც ცდილობდი. შენ კარგი ადამიანი ხარ, ნინ, ნეტავი მეც შენსავით მჯეროდეს დაბრუნების და მოლოდინად აღარ ვძერწავდე წამებს. იცი, ნინ... გიჯერებ და ველოდები, რომ დაბრუნდება.

დაგვიანებული ლექსი ქათის

შენ უკვე დიდი ხარ, ქეთ... და მაინც გინდა, ისევ მოგწმინდო თვალზე ცრემლი, როგორც მაშინ, დიდი ხნის უკან, როცა ხელეზრავილები დავდიოდით ქვიშის სანაპიროზე და ბავშვობა გყავდა დარაჯად... საღამოობით, როცა ჩემს კალთაში დებ თავს, ბავშვობას ისიზმრებ ციციანთელების ქვეყნიდან, მოგონებების ყელსაბამზე კინძავ დაუბრუნებელ დღეებს და გულზე მკიდებ... გინდა წლებით დამძიმებული ტკივილები დამიყურო და მეც ბავშვობაში დამაბრუნო, თუნდაც ცოტა ხნით.. შენს თვალბეჭდებში ბავშვობის სიზმრების მონატრება და ჩემი დაკარგვის შიშია, ქეთ... როგორ გაპარულა წლები, მოდი, ჩამკიდე ხელი და შემოუდექ ყავარჯნად ჩემს სიბერეს, რომ ისევ დააჩნდეს ქვიშას ჩვენი ნაფეხურები... შენ ხომ ჩემში ხარ, მე - შენში... დაბადებიდან დასასრულამდე.

როგორ მჭირდები... და მინდა ტკივილმოყრილი და დამარლებული დღეები გავატანო იმ წელს, რომელმაც შენი თავი მაპოვნინა... ვფიქრობ 365 შენით სავსე დღეზე და უშენობით გაჯერებულ 365 ღამეზე... მჭირდები... სადა ხარ?...

შენთვის ნასაპითხი...

შენ მპირდებოდი არასოდეს დავშორდებოდი, ახლა კი უშენობით სავსე დღეები სცვივა, ხმელი ფოთლებივით, ჩვენი ნატვრის ხეს. ნუთუ ასე ძნელი იყო გეთქვა: -მივივიარ... მე ვამბობ შენს ნაცვლად და ღამეს შეფარებულ თვალებს მთვარე წმენდს ცრემლებს, როგორ მინდოდა შენს ხელისგულს აეკრიფა ჩემს სხეულზე დაფოთლილი და ვნებად დაყრილი შენი მონატრება. სადა ხარ...

მარიამ გვიმრაძე

ენკენისთვის სუნთქვა თავანყვეტილ ქარში, დააქანებს ფერადოვან ჰერბარიუმს ღვარში: ხეებს ზამთრის მოლოდინი შეაფრქოლებს ტანში, და გაისმის ფოთოლცვენის ნალვლიანი მარში!

მთიდან მომყვება არაგვი, მხარს დამიმშვენებს ბარამდის, მართობს და მესალბუნება, ზედ გულის წვერზე გადამდის, ახლა რომ თავზე მეველება, ნეტავ, სად იყო აქამდის?!

უბრად მივყვები დღეებს კომარულს, პატივყრილი მათი მხლებელი და ერთი სიტყვაც ვერ მოვიძიე, ამ დროსთან ჩემი შემრიგებელი!

ბოგინობს დღეებს მინამლავს, წელიწადები წყეული — ვცდილობ — ვერ გადავივინყე, გულშია გადამწყვედიული!..

ცისარტყელა

უფლის ფუნჯით დახატულო, ვრცელ ზეგანთა ზედა, მხრები რკალად გაგიშლია, ტურფა ცისარტყელა — უცაბედად გაგვახარე მოგვინუსხე მზერა — გვედრებით: აგვისრულე სურვილები ზენა, სასიკეთოდ შეგვიცვალე ქვეყნის ბედისწერა!..



ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მოქმედებენ. თუმცა, ქალბატონი მანანა ანთაძე, თანამედროვე პიესების თარგმანების კონკურსს ყოველწლიურად ატარებს და შედეგად, დაახლოებით 30-40 ახალი პიესის ქართულენოვანი ტექსტები გვაქვს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია თეატრალისთვის, ასევე, ლიტერატორებისთვისაც, ისინი ამ ჟანრის თანამედროვე ტენდენციებს ეცნობიან.

დღევანდელი უცხოელი დრამატურგებიდან ბევრი მომწონს, ბევრიც – არა. მგონია, რომ მათ ტექსტებში დასმული პრობლემები უცხო ქართველი საზოგადოებისთვის, ხშირ შემთხვევაში, გაუგებარიც კია. თუმცა არის პიესები, რომელიც საზოგადო, საყოველთაო თემებს „გვთავაზობს“. ასეთი პიესების განხორციელება, ვფიქრობ საინტერესო იქნება ჩვენი მკითხველებისთვის.

— **თქვენს შემოქმედებით ბიოგრაფიას გადავხედვით. სტუდენტობისას ფლობდით „მადამ ბოვარი“ დადგით, თეატრალური აკადემიის დამთავრებისთანავე კი, კინომსახიობთა თეატრის სცენაზე აკუთავადას „ცხოვრება იდიოტისა“ წარმოადგინეთ. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სცენაზე თქვენ დგამდით შექსპირს, ჩეხოვს, მილერს... რატომ ირჩევთ ყოველთვის კლასიკას?**

— თანამედროვე ქართველი დრამატურგები მომწონს, საინტერესო არიან. შეძლებისდაგვარად ვეხმარები კიდევ მათ. როცა ჩვენი თეატრის რეჟისორებს ახალგაზრდა ავტორის პიესა მოაქვთ და მისი დადგმა სურთ, ვცდილობ უარი არ ვუთხრა. ზოგჯერ, თვითონაც ვდგამ. მაგალითად, აგვისტოს ომის თემაზე ახლახან ათი პატარა პიესა დაინერა. ზოგი საინტერესოა, ზოგიც – ნაკლებად. პიესები ათმა რეჟისორმა დაინახა და ახლა ვმუშაობთ. როცა ახალგაზრდა ავტორი საკუთარ პიესას სცენაზე გაცოცხლებულს ნახავს, წარმოიდგინეთ, რამხელა სტიმული მიეცემა! ეცდება მეტი იმუშაოს, უფრო დაიხვეწოს... ვიღაცას გამოუვა, ვიღაცას – არა, მაგრამ მთავარი ხომ პროცესია! მთავარი ისაა, რომ ეს სფერო ვითარდება, სულ უფრო წინ მიდის.

რაც შეეხება კლასიკურ დრამატურგიასთან ჩემს დამოკიდებულებას, ყოველთვის მეგონა და ახლაც იმავე აზრის ვარ – უმჯობესია, რეჟისორი გაიზარდოს კლასიკაზე და შეცდომებიც კლასიკაზე მუშაობისას დაუშვას. როგორც კი ვიგრძნობ, რომ ვიპოვე ის, რასაც ვეძებდი, როგორც კი დავეინახავ, რომ გამოვიმუშავე ხელნერა, მაშინ ახალგაზრდა ავტორებთან უფრო თამამი ვიქნები.

წარმოებებს ავტორის სახელისა და გვარის მიხედვით არასოდეს ვირჩევ. პიესაში მთავარი სათქმელია. შესაძლოა, ის ძალიან აქტუალური იყოს, მაგრამ იმ ეტაპზე ჩემს შინაგან განწყობას არ ეხმიანებოდეს. წარმოები საშუალებას უნდა აძლევდეს რეჟისორს, მკითხველის წინაშე თავისი სათქმელი გამოიტანოს. თუ მივაგნებ მასალას, რომელიც ჩემს შინაგანს ეხმიანება, ძალიან ბედნიერი ვარ ხოლმე. ჩემი ყოველი არჩევანიც აქედან გამომდინარეა. საზოგადოებას სპექტაკლის საშუალებით ველაპარაკებ და მგონია, რომ ვთავისუფლდები იმისგან, რაც მანუხებდა. შემდეგ ისევ თავიდან იწყება...

— **დრამატურგიის გარდა, როგორც მკითხველი, უპირატესობას რომელ ლიტერატურულ ჟანრს ანიჭებთ?**

— რა ვიცი, თითქმის ყველაფერს ვკითხულობ.

— **დრო თუ გრჩებათ „ყველაფრისთვის“?**

— ნიგნებს მამაჩემი მანვდის. ის მირჩევს: „ეს ნახე, ის ნაკითხე“... მის ლიტერატურულ გემოვნებას ბოლომდე ვენდობი.

— **ახალ სპექტაკლზე ვმუშაობო, მითხარი...**

— როსტანის „სირანო დე ბერჟერაკს“ ვდგამ. არაჩვეულებრივი პიესაა. დღეს პოლიტიკისგან ყველანი დავიღალეთ, ამიტომ ჩავთვალე, რომ დროა მეგობრობაზე, სიყვარულზე, ვაჟკაცობაზე და იმ გმირებზე ვილაპარაკოთ, სადაც რომ გაუჩინარდნენ. ვფიქრობ, საქართველოს დე ბერჟერაკებისთანა გმირები სჭირდება, პიესა ამიტომაც ავირჩიე.

ესაუბრა თამარ ჟურნალი

გიგი ხორნაული

გიორგი ლეონიძე

მოგონებათა ნიგნიდან

დირექტორმა დამიძახა. შევედი. გიორგი ლეონიძე მოსულიყო. თავშეუკაცბელი სიხარულით მივესალმე: ჯერ ორივე ხელით ჩამოვართვი ხელი, მერე გადავხვიე ნაჯდომს და ვაკოცე. რაც მისი წყალობით მიღებულ ბინაში შევსახლდი, ლამის საფიცარი ხატივით მყავდა, მართო მე კი არა, ყველა ხევსურს. თავადაც ძალიან დაგვიახლოვა, მე და დავითი განსაკუთრებით. თელავში გამართულ საიუბილეო საღამოზე თავისი მანქანით წაგვიყვანა. მერე ხევსურეთში მივიწვიეთ, ბარისახოში მოვუწყვეთ დიდი შეხვედრა. მახსოვს, ფული შევავაროვეთ მისთვის საჩუქრები ხევსურული პერანგის საყიდლად. მისი ზომისა არავის აღმოაჩნდა. შედარებით დიდი პერანგი ვიღაცისგან იყიდეს, იღლივში ჩაჭრეს და ისე ჩააცვეს ქალებმა.

— ბინით კმაყოფილი ხართ, ხორნაული?

— ძალიან, ბატონო გიორგი, სამოთხეში მგონია თავი.

— სამოთხე, ხო იცი, როდის არის კარგი? როცა შიგ ანგელოზები დაგოგავენ!

— ჯერჯერობით ორი ანგელოზი გვყავს, მერე ვნახოთ...

— ვნახოთ არ უნდა მაგას, არ გაჩერდეთ! - მერე ხუტას მიუბრუნდა, - შენ ხო იცი ამათ ბინები რომ მივაღებინე, ხევსურებს?

— კი, ბატონო გიორგი, ახალმოსახლებულ მთელი „ნაკადული“ ვიყავით, ნანადირევს მწვადებთან და ხინკლით წვებოდა სუფრა.

— ხედავ?! ყველა დაპატიჟა და მე არ დამპატიჟა!

— როგორ არ დაგპატიჟეთ, ბატონო გიორგი, მაგრამ თქვენ არ გეცალათ!

მართლა დაგპატიჟე, რაკი ხუტა ბერულავა, რევაზ იხანიშვილი, გიორგი კაჭახიძე, ელიზბარ უბილაძე, ჯანსუღ ნიჭაბაძე - ნაკადულის თანამშრომლები და კიდევ ერთი ორი სხვა მწერალიც იქნებოდა. თვით „ნაკადულის“ სხვა თანამშრომლებიც პირადად იცნობდნენ მისი ნიგნების გამოცემასთან ურთიერთობის გამო. იცნობდა მამაჩემსაც და იცნობდა ჩემ ცოლურებსაც - მეზობლები იყვნენ მოპირდაპირე ბინებით. ნანას მამას, ლადო კოტეტიშვილს ძალიან აფასებდა, როგორც ერთხელ გვითხრა კიდევ.

— გიგი, ბატონმა გიორგიმ თვითონ აგირჩია რედაქტორად, - საქმეზე გადავიდა ბატონი ხუტა, - „სამგორი“ უნდა გამოვცეთ გეგმის გარეშე.

მე, რა თქმა უნდა, სიხარულით გამოეთქვი თანხმობა, დედნის მომზადება თუ არის საჭირო, იმასაც მოვამზადებ-მეთქი. „ხვალ მოდი ჩემთან ინსტიტუტში და ერთ ეგზემპლარს გამოგატანო“, - მითხრა ბატონმა გიორგიმ. მეორე ცალს მე მოგიტანო, მითხრა ბატონმა ხუტამ.

ეს ყველაფერი კარგი და სასიამოვნო, მაგრამ ცუდად მენიშნა ბატონი გიორგის ფულზე გასაჭირი. ესლა მივაქციე ყურადღება: ბუკლეს თბილი „კეპკა“ ედო წინ, მაგიდაზე და ოფლს ხშირ ხშირად იწმენდა. უკვე მქონდა გამოცდილება, რომელიმე მწერალს თუ რაიმე უბედურება დაატყდებოდა თავს, ან საექიმოდ სჭირდებოდა ფული, ბატონი ხუტა მზად იყო მათთვის დახმარება აღმოეჩინა. ეს დახმარების აღმოჩენა კი ის იყო, რომ ან წიგნს გამოუცემდა რიგგარეშე, ან რომელიმე, უკვე სასტამბოდ გამზადებულ წიგნს დაანერდა გარეშე რედაქტორად. წიგნის ჰონორარი სულ რამდენიმე მწერალს თუ ჰყოფნიდა საარსებოდ. გალაკტიონი რომ იყო, ისიც კი მშიერი კვდებოდა, რადგან არსად მუშაობდა.

— ბატონი გიორგი, - მიმართა ხუტამ, - თქვენ რომ იცით, ერთი ისეთი გემრიელი რამე დაგვიწერეთ წინასიტყვაობის მაგიერ, მხოლოდ ძალიან არ დაგვიგვიანოთ მაშინდელივით.

— ერთი „ნატვრის ხე“ ხომ დამანერინე, მეტი რაღა დავწერო.

— ვგრძნობ, ბატონო გიორგი, თქვენ კიდევ ბევრი „ნატვრის ხის“ დანერა შეგიძლიათ.

— ეეჰ, ჩემო ხუტა, მაშინ თავად ვიყავი ელიოზი... ვგრძნობ, რომ ხის კენწეროდან ძიძის ჩამოვედი, მინაზე. ცოტალა და...

ეს შეხვედრა 1966 წლის მაისის დასაწყისში იყო, ისე აღარა ციოდა და ის ბუკლეს თბილი ქუდი, ალბათ, იმიტომ მომხვდა თვალში.

დედანი მალე მოვამზადე და, როგორც პირობა იყო, ათი დღის შემდეგ მივაკითხე წინასიტყვაობისათვის. ბატონი ხუტა გვაკლებდა, ავტორები არ მოგვესვენებინა, იმის ნახევარ დროში მოგვეთხოვა დედნისა თუ მხატვრობის წარმოდგენა, ვიდრე ის საჭირო იყო - სულერთია გააჯანჯლებენ და იმ დროისათვის მაინც მოიტანს, როცა საჭიროაო.

მთხოვა ბატონმა გიორგიმ, ნუ დამაჩქარებთ, მართლა რაღაც კარგი მენერებაო. თავისივე დათქმულ ვადაზე მივედი, კიდევ გადამიდო, კიდევ და ერთხელაც რომ მივედი, მითხრა: ბარემ გოგია ორიაურიც მოიყვანე, მინდა ჩემი ჩანაფიქრი ვუთხრა წიგნის მხატვრობისთვისო. წინასიტყვაობის მაგიერაც მზად მექნებო.

გოგი ორიაური მოქანდაქეა, მაგრამ იმ დროს გრაფიკაშიც დიდი წარმატებით მუშაობდა. მის მიერ გაფორმებული, ილუსტრირებული ნიგნები დიდი მონონებით სარგებლობდა. იცოდნენ, ჩემი ნათესავი რო იყო და ბევრი ჩემი თუ სხვისი ავტორი შუამდგომლობასაც მთხოვდა. ჩემი პირველი ნიგნი „ახალყოფილი“ გოგიმ დახატა.

წინააღმდეგ მივედი გოგისთან, შევეუთანხმდი, მეორე დღეს სამსახურიდან გავუარე და ნავედი. მივედი რიგის ქუჩაზე. კარი ნესტანმა გაგვიღო, ლეონიძის უმცროსმა ქალმა. ვუთხარი, ვინც ვიყავით.

— მამა შეუძლოდ არის, სხვა დროს მო-



ბრძანდით, - გამოგვიცხადა.

— თუ შეიძლება, უთხარით მაინც, რომ მოვედით, ამ დროისათვის თვითონ დაგვიბარა და...

— მე გოგინი გასაგებად ვითხარით! რალას ვიზამდით. წამოვედით. შემდეგ იმაზე მწყდებოდა გული, ასე მორჩილად რატომ გამოვბრუნდით, რატომ არ დავაჭირე ზარის ლილაკს თითი უფრო ხანგრძლივად და რატომ არ მოვთხოვე ჩვენი მიღება-არმიღების საკითხი თვითონ ბატონ გიორგის გადაწყვეტიდა. რა ვიცოდი, თუ ის უკვე სასიკვდილო სარეცელზე იწვა, თორემ კარსაც შევამტვრევდი. მოგვიანებით ხუტასთვის დაერეკა — ხევსურებმა როგორ მილატეს, ველოდებოდი და არ მოვიდნენო. კიდევ კარგი, ხუტამ ყველაფერი იცოდა და ეთქვა, არ შემოუშვასო. დაეთქვათ, როგორც კი გამოჯანმრთელდებოდა, მაშინვე დარეკავდა და მივიდოდით. ისე ჩვენი მტერი გამოჯანმრთელდეს, როგორც ის გამოჯანმრთელდა — თურმე უკურნებელი სენი სჭირდა. ისე უცებ დარია ხელი ამ დევივით კაცს, აღარც მკურნალობა აცალა და აგვისტოს დასაწყისში მოკლა. თან ჩაიყოლა ჩვენითვის გასამხილი ჩანაფიქრიც იმ უამრავ სასიკეთო ჩანაფიქრთან ერთად, რაც მას ჰქონდა.

ლიტერატურული კონკურსი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს კონკურსს პოეზიაში.

საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: (ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა და დევიზი, მეორე კონვერტით – ავტორის გვარი, სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი და დევიზი): კონვერტზე დაუშვებელია მიეთითოს ავტორის გვარი. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ თანამშრომლებისა და სარედაქციო საბჭოს წევრებისა.

დაწესებული პრემიები:


- ერთი სპეციალური პრემია – საქართველოს პირველი ლედის – სანდრა-ელისაბედ რულოვისაგან;
- პირველი პრემია – 800 ლარი – ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობისაგან;
- მეორე პრემია – 500 ლარი – ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტისაგან;
- მესამე პრემია – 300 ლარი – სსიპ ახალქალაქის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება-კოლეჯისაგან
- გამარჯვებულებს პრემიები გადაეცემათ 2010 წლის ოქტომბერში – საქართველოს პირველი ლედის სანდრა-ელისაბედ რულოვის პატრონაჟით ჩატარებულ „პოეზიის დღის - შოთაობის“ ტრადიციულ სახალხო დღესასწაულზე.
- საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ დაბეჭდილი ფორმით.
- ხელნაწერი არ მიიღება.

კონკურსში გამარჯვებულთა ლექსები დაიბეჭდება გაზეთ „ლიტერატურული მესხეთში“.

საკონკურსო მასალა, არაუმეტეს 5 გამოუქვეყნებელი ლექსისა, უნდა გამოიგზავნოს 2010 წლის 25 სექტემბრამდე შემდეგ მისამართზე:

ასპინძის რაიონი, დ. ასპინძა 0500, თამარის ქ. №3
 გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია
 ტელ.: 899 97 95 24

ლიტერატურული გაზეთი



ბესიკ ხარანაული ატეხილობაა დიდი ქვეყანაზე

თქვა: როგორც კი აღარ მოვა მამაჩემი
თქვენთან და ჩემთან,
როგორც კი აღარ მოხვალთ თქვენ ჩემთან,
ეს იქნება ნიშანი.
ყოველ ხეს გამოარჩევს ნაყოფი.
რადგანაც, აჰა, იციან უბრალოებმა ჩემი სიტყვა,
ბრალიანებმა კი არ იციან.
აღარ დავეკითხები ჩემს თავს: ამ კაცში თუ დგას ის ჟამი,
როცა მას შეუძლია სიკეთე ჩაიღინოს.

უთხრეს: ნუთუ უნდა გადაგვაგლო,
როგორც ფურთხი, გარეთ.

სოციალური პირობების გარდა, ტვინის სიმსივნეს იწვევს
კიდევ დარტყმა — დაცემის შედეგად მიღებული. ტვინის
უკანა ნაწილში იმყოფება მეტაბოლური სარკმელები, —
ერთი და ორი, საიდანაც ადამიანი იყურება კიდევაც.
დარტყმის შედეგად მათ შორის ნაწიბურზე შეიძლება
წარმოიქმნას(....) რის შედეგადაც 3-2 მეტაბოლა
გარდაიქმნეს 3-1 მეტაბოლად, რასაც ამტკიცებს
ავადმყოფის ეხლანდელი მდგომარეობა ანუ
თავბრუსხვევა და აბდაუბდა ლაპარაკი.

ძლივსგამოტანილი სიზმრიდან

„ატეხილობაა დიდი ქვეყანაზე...“
შეიძლება — „უღვთობაა დიდი ქვეყანაზე“,
„უზნეობაც“ შეიძლება, მაგრამ ძველია ეს სიტყვები,
ლანჩებგაცვეთილი, ახლა კი

დიდი ხურაობაა ქვეყნიერებაზე,
სწრაფია ტემპი და არა დამდგარი,

როგორც უღვთობაა და უზნეობაა.
თვითმფრინავებია, ინტერნეტი, ავტობანები...

დედამინა, თავის ადამიანებიანად, თუმცა ძარღვებად
დაქსელილია ათასგვარი ინფორმაციით,
ადამიანის ნერვებს მაინც ჩამორჩება.

ატეხილობაა დიდი ქვეყანაზე.

წინ ნერვებია და უკან — მისი ადამიანი.

საპირუფყრულ ჰაერისა და იმის მოყვინა, ურთიერთგაცნობა, სვა და ხალისი

ამდგარს, დამჯდარს, მოსიარულეს — ჩემს თავს თვალს
ვაყოლებ და ვამბობ სევდით: — აი, ცოცხალი!

რა ჯოჯოხეთია ეს სათნოება, რომ კაცის ინსტინქტებს
ვერ გაუხარია და მავთულ-ბადეებიდანა იოკებს
ვნებებს, რა ქვეყანაა, რომ ხელით აჭმევს დარჩეულ ქერს,
ვისთვისაც ძეძვიც უწყინარია, უნიჭოებს განძივით ინ-
ახავს, და ნიჭს კი ჯოხსაც არ მიანვდის, რომ იარგანოს.
გადაყაროს ფრთები იმანაც!

დილიდანვე, გულზე ძალი მაინც რომ დამახტებოდეს,
დავეტაკებოდი, ხოლმე, სიგარეტს?

შიგნიდან ხალისი რომ ამომქროდეს, დავეტაკებოდი,
ხოლმე, სიგარეტს?

ფორთოხლის წვენი რომ მედგას თავით, ან თიხის ჯამი
— ნუშითა და ნიგვზითა და კენკრის ჩირით, დავეტაკე-
ბოდი, ხოლმე, სიგარეტს? — თანდათან უფრო იაფფა-
სიანს, რომელიც, ეტყობა, განწირულებისთვისაა, რად-
განაც არ ანერია „სიგარეტი კლავს!“ და ის კი დამალუ-
ლი არის, რა ანადგურებს და სპობს ადამიანს... რადგან
სიკვდილის წარმოდგენა ძალზე არასასურველია იმათ-
თვის, ვისაც თვალისგახელისთანავე გულზე დაახტება
ძალი, ანდა მოსვამს ფორთოხლის სუფთა წვენს, ანდა
ნიგოზს ჩაახრამუნებს... დავეტაკება დილიდანვე იგი სი-
გარეტს?

როცა მინდა რაიმე კადნიერის ქმნა, მე არ ვეკითხები
ქვეყანას, არამედ ჩემს თავს. ჩემს რწმენას ვეკითხები და
არა ქვეყნისას. გინახავთ ჩამოკითხული რწმენით ამაღ-
ლებული? არამედ მხოლოდ საკუთარით. ადამიანის
საკუთრება მხოლოდ მისი სიცოცხლეა, რომელიც მოიღ-
რიცება თუ მასში არ არის ადამიანი, რომელიც არ ეკითხ-
ება ქვეყანას, არამედ თავის თავს. სხვანაირად ჰაერით
სავსე ქინთი* არის ადამიანი.

როგორ სულ მკვდრებით იკვებება ადამიანი: მოგონებე-
ბი, სახეები, სურათები — ყველაფერი მკვდარი.

საზიზღრობებით იკვებება, საძაგლობებით, ბოროტი
ოცნებით, ამპარტავნებით, სხვაზე აღმატებით, სხვისი
დამცირებით — ფუჭებადი, აყროლებული საკვებებით
იკვებება ადამიანი... შვილიც მამაძალი, მამაც მამაძ-

* ქინთი — ტიკი

აღლი, წინაპრებიც მამაძაღლები ვართ... ბევრნი ვართ ჩვენ, მამაძაღლები, დავდივართ, დავდივართ, მაგრამ სიცოცხლე გვიყვარს ნათელისთვის.

— მოდი, ეს შენ გაგიმარჯოს!
ვინც არც იხვებდა და არც ითესებდა, ვინც არც ცოტაა და არც ბევრია,

ვინც არ ინერება და არც იკითხება,
ვისაც ვერავინ ააფსამს,
ღვინოს ვერ დააქცევს,
ვისაც ჩრდილი არა აქვს, ვინც სარკე არ არის,
ერთნაირია მეტიჩარა, ბრძენი, სულელი,
ვინც თხრობა არ არის,

ვინც წიგნი არ არის,
ვინც არც მატყლისაა და არც აბრეშუმის,
და ვინც უბეჭდოდ არის დაბეჭდილი.

— მოდი, მაშინ შენც გაგიმარჯოს!
ვინც მიწა დაძლიე, დაძლიე სურვილი,
ნაბიჯს მოერიე, ალსდექ დაცემული,
მაგრამ მაინც ოცნებობ თვალებდახუჭული, —
„ნეტავი კი ვინმე ფიქრებს წამართმევდეს.“
ვინც თხრობა არის,
ვინც წიგნი არის,
ვისაც დააფსეს,
ღვინო დააქციეს,
ვინც მატყლისაა და აბრეშუმის,
ვინც უბეჭდოა და გადაშლილი,
რომ ტყუილით დაიცვას თავის საიდუმლო.

ახლა კი ვიძინოთ... გავახილოთ ზღვისხელა თვალები და კონტინენტებისხელა ყურები შევიბათ. ძირს ევფემიზმი და პოეტის თავმოთნეობა!

ნარატივს რა ვუყო, თორემ ადამიანში ყველაფერი დალაგებულად როდია. როგორც კი ფიქრს შეეხები, ცხენივით გაჭენდება, სულის პატივსაცემად გამართული დოლი ჰგონია.

ამიტომაც გავეურუე არეულს ღვარივით, რიყეზე ვარ გაზრდილი, განა სასახლეში... გავიხსენე, ძალივით რომ მომდევნა ღვარცოფი, მაგრამ რომ ვაჯობე და ვაკალაპოტე.

არეული რომ არ იყოს, რა დალაგებოდა? იქნებოდნენ უმუშევრები... ნარატივიც არ იქნებოდა.

სამყაროს მსტოვარი

არა, ეს „სულელების დევნის ლამეს“ არ მომხდარა, როგორც შენ ჩემს ციხეში ჩასმაზე დანერე. ცხოვრებამ მე დილით შემიპყრო, გარიჟრაჟზე, — სიხარულისას, როცა სამყაროს შევხაროდი და პასუხიც მომეგებოდა. ამით განსხვავდება დილის სიხარული დღის სხვა დროის სიხარულებისგან.

უანგარო სამსახურის მისამართი სულ ცდებოდა დასაბამიდან. მუდამ სხვაგან მიდიოდა უანგარო სიყვარულის გზა.

და, გახსოვდეთ, განცდას ვერასდროს აღწერს ნარატივი.

მე, საბედისწეროდ, საკუთარი ეზოს გარეთ ვიდექი, სამიოდ ნაბიჯით წინ ჩემი ტერიტორიიდან და აღარ ვეკუთვნოდი საკუთრივს არაფერს.

აი, რა მიყო სიხარულმა. ერთი ნაბიჯი არ მაპატივა.

სიცრუე იყო, რომ დანერეს, თითქოს სახლიდან გაპარვისას დამაპატიმრეს.

სანყალ ბავშვებს კი უნერგავენ, რომ არ თქვან ტყუილი. არა, ბავშვებო, არ დაიჯეროთ! უფროსები თავის ეზოს ვაშლებს იცავენ და არა სიმართლეს, შეესიეთ, არ დაინდოთ მაგათ ბალები და ქარს დააბრალებთ...

ან კი, ჩემო გონებაგახსნილებო, რატომ უნდა თქვას მართალი კაცმა, როცა შეუძლია, რომ თქვას ტყუილი.

სწორედ ასე მომექცნენ, ჩემო ძმობილებო, როცა დამაპატიმრეს „სამყაროს ტყვის, მოენეს,“ ბრალდებით, თითქოს დედამიწას ვაბეზლებდი სამყაროს წინაშე ცოდვებისა და მამაძაღლობისთვის და ამ საქმეში გადამცემად თითქოს ვხმარობდი სიმთვარაღეში გატეხილ და ცუდად შეძვალეზულ ლავინის ანტენას, მიმღებად კი ძაბრივით ყურებს.

დამაბნია ამ ბრალდებამ: ადამიანისთვის ძნელი არის საკუთარ ნაკლთან თავის გაიგივება. მე, უბრალოდ, ჰაერში ვიყავი, არც მიწას ვტკეპნიდი, არც ზეცას ვჩხვრდი... ამიტომაც გადამასახლეს. — სააად? — ჰაერში! (ვიცინის... ვიმღერის...)

სინამდვილეში, მე სამყაროს ყური ვარ და არა „მსტოვარი.“ დედამიწაზე მე მხოლოდ ცრემლს ვღვრი... ადამიანებს კი ცხოვრება უნდათ სხვის ჩაურევლად.

სიცოცხლის მომდურავენი ცას აბერდებიან, სიცოცხლის მოყვარენი კი მალევე კვდებიან (მოვიწყენს, გაახსენ-გამახსენდებას, რომ ადამიანი ჰაერის ქინთია, ერთს ჩაჩვრეტ და დაცარიელდება). მაგრამ ზოგი რომ თავგადასავლების გარეშე ბატიბუტივით?..

პოეტო, ნუ იკლავ ხელოვნების შიმშილს ცხოვრებით!

ადამიანი, მოსაზრებული რომ არ იყოს, რა ეშველებოდა! ყველაფერი იმას შურობს და უძალიანდება: ხან ჩრჩილების მკვლეელი ტაშით უწევს ოთახში სირბილი, ხან ვაშლის ყუნწი ლურსმანივით უძალიანდება, დილის უზ-მოზე შეიძლება ცხვირი წაიტეხოს გაცქრიალებულ ხოჭოზე ან უნაგირშექცეულ ფლოსტზე.

ღმერთო, როდის იქნება მშვიდობა შენში, ღმერთო, როდის იქნება სიკეთე შენში, ღმერთო, როდის აღუთქვამ ადამიანს მომავალს!

ერთადერთი უფლება აქვს ადამიანს, რომ საკუთარი თავი დასაჯოს. ერთადერთი მოეთხოვება, რომ სხვას არ შეეხოს...

ფოთლებიდან მოცქირალი ცა, სამყარო თუ მამა ღმერთი, თუ სულელები ამ მიწის ძველი პატრონებისა, თვალს გაყოლებენ:

— გაამართლე შენი პროფილი!

რას იზამ, დილიდანვე უნდა მოამზადო შენი თავი, — ძალი კი თავის კუდში ჩაძვრება... სიცოცხლისთვის ყველაზე ანთებული მებრძოლი — ღორია, დილიდანვე, არც გაიზმორება, რომ უკვე ეძებს. დაეძებს იმას, რასაც აზრი აქვს.

მამალი, ჯერ უნდა გაიბლინძოს და მერე იყვილოს, ძალშია ყვეფით უნდა ამცნოს ქვეყანას თავი, ადამიანმა კი ჯერ უაზრობა უნდა მოიწყინოს.

ნუ გააღებინარსულის ზარს

ჩემს გარშემო, ყველა ვილაცას ურეკავს, იცის, რომ ურეკავს და ისიც კი იცის, თუ რატომ ურეკავს. მარტო მე ვარ, რომ არავის ვურეკავ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მაშინვე გაიტყლარჭებიან, მეორეც იმიტომ, რომ, უბრალოდ, არავის ვურეკავ. მაგრამ თუ ძალიან მომადგება წარსულის ნერწყვი, რადგან განუწყვეტელი წარსულს ვიცოხნი და, გამოგიტყდებით, მალწობს კიდევაც და ამ დროს, ვერაფერი ვერ შემაჩერებს, რომ რაიმე არ გავიხსენო, რადგან თვითონ ჩემს თავს ვურეკავ.

— აა, გამარჯვებათ, ვიქტორ ნესტორის ძევ! თქვენი სული სად იმყოფება? თქვენ ჩემთან ხართ, მე გირეკავთ, რადგან თქვენ მე ვერ დამირეკავთ. ფოკუსია, დიახ, ასეთი, მკვდრები ღუმან, ცოცხლები კი ლაპარაკობენ. როგორა ხართ? ისევ ისე მორაული კომპივითა ხართ? ისევ ჭყლეტენ ჭიანჭველებს თქვენი ტერფები და ნორჩ ბალახს ისევ ისეთ ტკობითა ჩქლეთავენ? გახსოვთ, როგორ გაგიტყდათ გული, როცა მიხვდით, რომ გადარჩენის საიდუმლო ხერხი ვიცოდი? რომ ტერფებსა და ქუსლებს შორის ჩრდილს ვეფარვოდი, რასაც ვერც ჭიანჭველა ხვდებოდა და ვერც ბალახი და ჩლიქებიან მორაულ კოშკს ეწირებოდნენ. დიახ, მე ყოველთვის ტერფებსა და ქუსლებს შორის გემალებოდი

და ასე გადავრჩი, ვიქტორ ნესტორის ძევ! როგორი რისხვა იყავ, მეფის ნაცვალისგან, დიდი ხნის წინ წაღებულ კარით ნაცარო! დღესაც ტერფებსა და ქუსლებს შორის ბალახი და ჭიანჭველა ვარ.

აბა სცადე, შენ თუ შეძლებ წელის გამართვას, ჭიანჭველასავით, ბალახისგან, პატარა ბავშვისგან, მორაული კოშკის საფრთხობელავ, ყველა, ვინც თქვენს ფეხქვეშ მოყვა და გაგიდიდგულდათ, გააფუჭეთ, ამოალპეთ ციხეებში, დააშინეთ, შეიკარით, გადაიბირეთ. მე ბალახი ვიყავ, ჭიანჭველა ვიყავ, მე ვიცოდი, რომ სულ ვიქნებოდი, ჩემო ვიქტორ ნესტორის ძევ, ყარაულის კოშკის საფრთხობელავ, ჯოჯოხეთში ვიცი რომ ვრეკავ, რომელიც გეოგრაფიულად წარსულში არის, ანუ ჩემს გზაზე, მაპატიე, ზარივით კიდიხარ და ხანდახან მხრით გაგედები.

ერთი ქალი გავიცანი, წარუდგინე თავი მგოსნად, ქალმა კუდი ამოიკრა, წარბი შეკრა პატიოსნად.

ადრე ქალები მკიდნენ ყანას, ჰქონდათ ჩვენზე მსხვილი მაჯები და ეცხობო მხოლოდ მზის ფერუმარილი.

— ერთი წუთით! — აწყვეტინებს ადამიანი ძველი დროის ეპიკოსს თხრობას და თვითონ აგრძელებს...

— იცით, რატომ უყვარს ადამიანს საკუთარი თავი?

იმიტომ, რომ არასრულყოფილია!

ის, ამგვარი, თქვენ დაგვიტოვებთ, რადგან წერდით სრულყოფილ მხეცებზე.

ამიტომაც, დიდი ხნის წინ რომ გამოიცნო ხალხმა თავის თავი, როცა გმირებად აქცია შარაგზის ყაჩაღები, როცა მეფე ინდომა და ჩასვა ოქროში, როცა ქალისთვის ატეხა ომი, როცა მოიგონა ლაბირინთი, მინოტავრი და გამოსავალი...

დიდი ხნის წინ გამოიცნო ხალხმა თავის თავი.

დიდი ხნის წინ გამოიცნო ხალხმა ადამიანი და კარგი რომ ხარ, მარტო ამიტომ უნდა იფრთხილო.

ჩემი თავი რომ დავივინყე, მაშინ დავმშვიდდი: ეს რამსიმძიმე ოხრობა ვყოფილვარ! დავმსუბუქდი, ამოვისუნთქე... ჭიანჭველაც ალბათ ასეა.

არ მიყვარს მარტობა, თავის ქებას ჰგავს, თან ძალიან ძველმოდურია. მე კი არც ძველმოდური ტანსაცმელი მიყვარს, არც ახალმოდური, — ძველი რომ გახდება. მე მიყვარს ზემოდური, მე მიყვარს ზედროული, მიყვარს ცხოვრება მე — სათამაშო და ადამიანის ოცნებას განვასახიერებ და არა იმას, — ადამიანს, ვისაც ხელპირის დაბანაც კი მობეზრებული აქვს.

მე მიყვარს ხალხში, მე მიყვარს მათი ოცნების მსგავსება, მე ამ ქვეყანას სილალთ ავანგრევ!

ჯერ აღვიკაზმო!

გამოვენყობი ელეგანტურად: გარეგანი იმიტომაცა, რომ შიგნით არ ჩანდე. კლდეებიც კი ემზადებიან საამინდებოდ... თმას დიდს არ გაფუშებ, ძირს ევფემიზმი და ნვერ-ულვაში! შუბლი, ცხვირი და ქალამნისხელა ყურები, როგორსაც უკვე ველარ გაიზრდიან ამ საუკუნეში, გინდაც ბავშვობიდან გირები დაჰკიდონ, რადგან, მორჩა, დამთავრდა ჩემს მერე — ძაბრივით ყურები, იმას, რაც ესმით, ლოკოკინასხელაც ეყოფა.

თმა, შუბლი, ცხვირი და ნიკაპი! — ამეებით მივაპობ ჰაერს. გრძელი თმა კი უკან გამზიდავს, რა მინდა უკან! ჩემს გარდაცვლილ მეგობარს ხომ წინიდანაც შემოძლია, რომ მივუხედო, არ უყვარდა თმას მოკლედ რომ შევიჭრიდი, რაკი თვითონ მელოტი იყო, ბრაზდებოდა ამდენ თმას რომ მუქთად ვფლანგავდი, — ფუიო! — მეტყოდა.

დაბადებით ჩემპიონი იყო, სხვა როლს ვერ გუობდა, სკოლაში, ცოდნაში, ჩოგბურთში, წერაში... მარტო ჭადრაკი მიაჩნდა დედლობად, თუმცა მწვრთნელები სახლში აკითხავდნენ.



ის იყო ერთადერთი ნამდვილი ექიმი,
რომელსაც სოფლის დედაკაცების შელოცვისა
უფრო სჯეროდა.

მე ამ ქვეყანას სილალით ავანგრევე!

სცადე და თუ ბიჭი ხარ, იყავი კეთილი,
სცადე და თუ ბიჭი ხარ, ქება არ გინდოდეს,
სცადე და თუ ბიჭი ხარ, გიყვარდეს თავი შენი,
რომელიც არასოდეს ედრება სინამდვილეს.
სცადე და გიყვარდეს საკუთარი სხეული,
აყოლე ცდომილივით სამყაროს წესრიგებს,
სცადე, შეიყვარო საკუთარი ნაქნარი,
რომელიც გაგისვრის საკუთარ სხეულიდან
და შიგ არა გტოვებს.
სცადე დამდაბლება, რომელიც გამაღლებს,
სცადე ქალის ხვევნა მათულებლართებიდან,
სცადე იგრძნო ქალი დაბამბულ საცვლებში,
როს ყინვით გაქვავებულ მძღნერებზე დგახარ
და ეხვევი წარსულს, მომავალს, აწმყოს,
იასამნების ქვეშ, ვარდების წრეში,
ორმოც გრადუს ყინვაში, ციმბირში, ზამთარში,
— როგორც რომ ედემში...

სცადე, რომ მუდამ იყო განწირული,
არათუ ნებიერი, შიშველი სხეული,
გრძნობას რომ ბაძავს და ვარჯიში გამოსდის...

სცადე, რომ ყველაფერს დაუდგა ქანდაკება —
და ატარო შენში, თავის ზადიანად!
სცადე, იყო ველური,
სცადე, იყო კენტავრი,
ადამიანმა არსებობა ტყვით და კვლით დაიწყო,
ადამიანი ყოველდღე იწყება ველურიდან,
ესაა ერთადერთი, რაც არ უსწავლია,
ერთადერთი, რითიც არ მოაქვს თავი.
ესაა, რაც ვერ წაართვა მას ვერც ერთმა ცოდნამ,
ვერც ერთმა ადათმა, ვერც ერთმა სწავლებამ,
რომ, როგორც ყოველდღე, მთებიდან იწყება მდინარე,
ადამიანი ყოველდღე იწყება ველურიდან.

ბალახის ალი

ერთმა ჩემმა წინაპარმა ცვრიან ბალახზე, როგორც
ცეცხლის ალზე, ისე გაიარა. მთელი სხეული უცაცცა-
ებდა ამ სიჩქარეში და მაშინაც კანკალებდა, როცა მიხ-
ვდა, რომ გადარჩა, და მაშინაც, ფეხსაცმელებს როცა
იცვამდა... მას ძალიან ენატრებოდა ადამიანობა, მაგრამ
ერთი დღეც კი ვერ დაცალა ადამიანობის, რადგან ერთი
ყლუპი თავის თავის უკვე ათრობდა... ის ამბობდა —
პოეზია, უპირველესად!.. და გულისხმობდა ადამიანურ
არსებობას — რომელსაც ვერ ეღირსა. დიდხანს ანად-
გურა თავის თავი და დაიმსხვრა.

უფრო ადრინდელი ჩემი წინაპრები, ვინც ადამიანობის
არსსა ჰქმნიდნენ შუა საუკუნეებში — ადამიანობას ვერ
ეზიარნენ, მშვენიერებამ აბუჩად აიგდო, როგორც კი
მათი კალმით აღორძინდა. ახლა მათზე იმ დაცინვის
მიხედვით წერენ... თითქოს ისინი მშვენიერების სარე-
ცელზე აღესრულნენ და არა ფეხსაცმელებში ჩაოხე-
ბულები.

ფეხბურთის საუკუნე

შეცდომა რომ არ იყოს, არ დასრულდებოდა
არასდროს თამაში, არ დასრულდებოდა გზა.

ადრე, სხვა საუკუნეები პოეტებით იწყებოდა.
შემოცვივდებოდნენ ცეტებივით და
აყირავებდნენ ხოლმე ქვეყანას,
აყრიდნენ ძველ სცენას და
თავიდან აგებდნენ ფიცარნაგს,
გეგონება ჟამიანობას აუწყებდნენ
საყვიერებით ქვეყნიერებას.

ახლა ფეხბურთის საუკუნეა.
დედამინაზე დაშვებულა დიდი ჩრდილი სეკვიიისა,
რომლის ქვეშაც ყველა ეტევა —
განცხრომას ენევიან, ომობენ, შიმშილობენ,
სიღარიბეს გაიხსენებენ,
როგორც წარსულ თავგადასავალს,
რომ არ დაავინყდეთ.

ატეხილობაა დიდი ქვეყანაზე.

სამხრეთ ამერიკის კონტინენტი
ეფებურთება
აფრიკის კონტინენტს
და მთელი დედამიწის ფერცხებული საზოგადოება
იქიმყოფება.

ამათგან დედამიწა სამიანზე ვიცი,
ზეცაზეც, თუ არავინ მიკარნახა, არ ვიცი
რა ვიცი...
ჰაერი კი ბევრჯერ გადამიფურცლია,
კურსი ცხოვრებისა ასე დავასრულე.

ამ დღეს ზეიმობენ კავკასიის სამხრეთ კალთებზეც —
რომ არ ჩამორჩენენ,
ლუდით ზეიმობენ..
აქ, ამ მიწაზე, ადრე ძალიან მაგრა ხარობდა ქერი
და ლუდის დუღებაც სახლებში იცოდნენ,
მაგრამ დაავიწყდათ მონობათაშორის მშვიდობიანობაში,
როცა ჯავრს ხრავდნენ ქერის მარცვლებივით.

კაცმა თუ თავის საფეხური იცის,
ნაკლი აღარ დაეყვედრება.

მაგრამ ყველა ხალხმა მთელ დედამიწაზე
მხარი მხარს გააბა გრძელი ლოზუნგით
და გადმოიყარა ჩვენშიც ბევრი ქერი
და ლუდი ადუღეს დიდ ლუდსახარშებში,
სპილენძის ქვაბები კი ჯართად ჩააბარეს.

მინას რაც შეეხება, ასეთი წესია:
ვილაცა ცხოვრობს — ნაქარგში,
ვილაცა — ნაჩხლართში.
და ორგანვე თანახმა არიან, რომ ასე იცხოვრონ,
ამიტომაც სხვის ნაქარგზე ნაჩხლართს ამბობენ,
თავის ნაჩხლართზე იტვიან — ნაქარგს...

ატეხილობაა დიდი ქვეყანაზე.

დედამიწაა. ვილაცა ცხოვრობს — ნაქარგში,
მაგრამ მარტოა.
ვილაცას სკამი მოუწყია ეზოს გარეთ და
გზას გაჰყურებს ნათხარს და ნაჩხლართს.
გაივლიან — კაცი ან ძაღლი, მარტო არ იქნება.

დამარცხებულმა ტრიუმფატორებმა ლუდი მოხარშეს —
ახალგაზრდები დაათვრეს უფასოდ.

ეს ორივენი კონტინენტზე არიან
ხურჯინით გადაკიდებულნი
და ერთმანეთს ესაუბრებიან,
რადგან სტატიკური მდგომარეობა, ვთქვათ —
ჯდომით სიმარტოვე,

ძნელია ფხიზელმა ირწმუნო ფეხბურთის საუკუნე.

კაცს ხალხში აბეზღებს,
საქმე კი მაგრა ინახავს სიმარტოვეს.

**ლუდის დღესასწაულზე
დაღუპული ბიჭის ხსოვნას**

ბიჭები ეძებენ მშრალ ადგილს მიწაზე
და ვერ პოულობენ და უფსკრულში ცვივიან.
გარეთაც წარღვანაა და შიგნითაც წარღვანაა,
ეძებენ სახლის გზას და ვერ პოულობენ.
იგინებიან, ილანძლებიან, არ უნდათ სინამდვილე.

ამოტომაცაა კარგი ფიზიკური შრომა,
ანუ მიწა-ბალახთან ბრძოლა-თამაში,
რომ იმ წამსვე რეალურია და
მომავლის ძალასაცა გრძნობ.

როგორღა ვიცხოვროთ, თუ ტყუილი
ჩავთვალეთ სიმართლედ,
თვალეხს რომ ვხუჭავთ, ვხედავთ ნესტოებით.

მტრებიცა გყავს
(უმტეროდ არსებობას ვერ გაუძლებს ადამიანი),
— სარეველები,
და, მოყვრებიც — მწვანის კვლები...

დაგვიხმეთ სახედველნი, როგორც სული დაგვიხმეთ.

ამ დროს სიხარულიც შეგიძლია და გამარჯვებაც, შეგი-
ძლია, დროს გაასწრო ან დაენიო, რაც არ მიიღწევა სხვა
სამი პოზით: ჯდომით ფიქრით, ძილით და სიკვდილით.

პრიმიტივიზმია პური და გართობა,
პრიმიტივიზმია ლუდი და ფეხბურთი.
დედამიწა არაა ჰაერით გაბერილი,
დედამიწის გულში ქერი არ თესია,
დედამიწაზე ცვივიან ბიჭები,
ლუდით მთვრალ გოგოებს კაბები ეშლებათ,
თან კატასტროფაა, თან ლამაზებია,
ვარსკვლავებივით რომ ბიჭები ცვივიან,
გოგოებს რომ კაბები ეშლებათ,
რომ ეძებენ მშრალ ადგილს და ციდან ცვივიან.

— ვიაროთ, გული გადავაცოლოთ, მეტი რაღა ვქნათ...
ვითომ ვიყოთ ჰაერიშვილები...

„მოდი, ნუ გავჩნდებით“, ამბობენ ისინი,
„ტყუილი ყოფილა, ფრთები რომ გვეგონა,
ვყოფილვართ თურმე ძაღლის დაყრილები“.

ზღაპარშერეული არის ცხოვრება,
სიზმარშერეულია ადამიანი.

ფიქრი ჩვენი გაქცევაა მასხრობებს შორის,
ნუ დანერთ, რომ შევეწირეთ მასხრობას.
ბოზებო!
დანერეთ, რომ ვარსკვლავებად დავიხატეთ მიწაზე,
გამხმარი რომ იყო და სისხლი სწყუროდა.

2. შვილი კი არა, უბრალოდ შეურაცხყოფელი

**ეპიზოდები
1. საქანელაზე ცას და მინას შორის**

დაბლა მინაა და მაღლა ზეცა,
შუაში — ჰაერი.

— ბადეში? — ჰა? რა ბადეში?
— პარკში-მეთქი, ამ პარკში დადიხარ? დამინახიხარ...
იარე, გული გადააყოლე, მეტი რა უნდა ქნა...
— ჰა?
— როგორა ხარ-მეთქი, აღარა ტაქსაობ?
— როგორა ვარ და, ბიჭმა დამინძრია.
— შენმა ბიჭმა?
— ჰო, რა, თავის ნებაზე იყო, მარტო ფული უნდოდა
ჩემი, ისე ვერა მცნობდა... გამორიდებული ვარ, სულ
გარეთა ვარ, გულს ვაყოლებ, რო არ გამაგიჟოს... ერთხ-
ელ ისე მომანვა ფულზე, რო შემეშინდა, რო დამარტყას,
მერე რაღა ვქნა-მეთქი... ამოვიბრუნე ჯიბეები, გამ-
ჩხრიკე-მეთქი და ამოვვარდი... ახლა დედამისისთვის
დაუწყია გინება... სულ ლუდი და არაყი, ვითომ შენ რო
ჩაფსმამდე სვამდიო!.. ველოდები რა, როდის გავს-
წორდებით.

თან მეცოდებებიან, ჩემი შვილიცა და იმის ამხანაგებიც, სუ ინსტიტუტებში სწავლობენ, მაგრამ სწავლობენ რამეს? — სმასა და ჩხერვას... მარაზში მაგრა ჩამძარე-ბული ხალხი ასწავლის... — ჭეშმარიტებას, წარმოადგენია! ხელობას კი არა, — ჭეშმარიტებას... რო ამონურავენ ამ თემას, — იოლად, რა თქმა უნდა, მერე ბებია-ბაბუებზე გადადიან... მერე ბოზებს გაიხსენებენ: ინტიმური ამბებიც ხომ უნდა გაანდო სტუდენტებს, ისე რილის პროფესორი ხარ... ერთი ეგ არის, რომ არ იჩხირავს, ჩვენც გვიხარია, უბედურებს და ისიც გვაშენათებს... სანყალი ნუკრია, იმის ბიჭს წამალი რომ მოუნდება და ყმუილს დაინყებს... მთელ უბანს ეღვიძება. ერთ დღესაც დაიკარგა. ბაქოში დაეჭირათ ბინის გატეხვაზე. ბევრი წამოედოთ სანყლებს... დოლარები, ოქრო, ძან ბევრი ძვირფასეულობა. მაგრამ ძან მდიდარი და გავლენიანი კაცის ბინა აღმოჩნდა და გაჩხერილებს დაადგნენ თავზე, ხელი ვერ გაატოკეს, ნაქურდალიც თან ჰქონიათ, სულელებს, კი არ გადაუმაღავთ, ჯერ მალარიჩში გაუჩხირიათ...

— ნეტა მოკლაო... თქვა ნუკრია. გამიკვირდა. არ გამეგო, რომ ეგეთი რამე ეთქვა შვილზე მამას... ეხლა ისე აღარ მიკვირს ვინც მომავალი მოიგონა, ვინც ოცნება შემოიღო, ძალ-ღონე უნდა დააკლა იმ ნაცარქექიას, რომ „მომავალსა“ და „ოცნებას“ ადამიანი საბოლოოდ გადააჩვიო. რაც საქმე არ არის, არაფერი არ ვარგა! მოეშვი მომავალს, ოცნებას, ნუ იმეგობრებ ქალთან, სასმელთან, ბიოლოგიასა და ქიმიასთან... იმეგობრე საქმესთან, იმეგობრე შენს თავთან, სწორედ იმასთან, ვისი სწორიცა ხარ და ვინც შენა ხარ. მოკლედ, ახალგაზრდობა დანაშაულია

ერთადერთი, რასაც წყალი არ გაუვა, სიკვდილია, დანარჩენი ყველაფერი აპარებს... ნერტილი აკლია ყველაფერს, მოკლედ...

შენ სიკვდილის სიმღერა არ მოგისმენია? რა ტკბილია, იცი? ახალგაზრდები სულ იმის ჰანგზე დაირხვევიან. ზოგი რომ არ ვარგა და ვითომ ვიღაცაა, ხო გინახავს, ვითომ შენ რომ არ იყო ხელის შემშლელი, — მამა, — სულ კარგად იქნებოდა, მაგრამ არ იცის, სიკვდილის სიმღერა როა, როცა კაცი თავის ნებაზე იქცევა, როცა უფროს-უმცროსი რომ არ იცის, როცა პურის ფასი რომ არ იცის და გემო კი, როცა ატრაკებს და ტკბილად არის... „ — მე ესეთი ვარო!“ — რომ გამოგიცხადებს...

— ჯერ „მე“ მოაშორე, მერე „ასეთი“ და იყავ, რაცა ხარ. უნიჭოები კი არა, ნიჭიერებიც არიან ეგრე. ნიჭი განა სულ მართალს ეუბნება კაცს, ბევრს ატყუებს, ძან მეგობრობს ნიჭთან ეშმაკი, კაცმა ჭკუა თუ არ დაატანა... მაგრამ, ეტყობა ჩვენ სხვა რამეს ვეძახით ნიჭს, თორემ ნიჭი ბუღდოზერივით აწვევა ადამიანს, — მიდი, მიანე-ქო! არ ეშვება... მაგრამ ჩვენ მოჩვენებითი ხალხი ვართ, ერთმანეთსაც ვატყუებთ და თავსაც, გვინდა რომ ვუყვარდეთ. რატომ უნდა უყვარდე, შე მამაცხონებულო!.. ეეჰ, ტვინიტკეპნია ხალხია, რაც თავში აქვთ, ის მხრებზე აწევთ.

ეს ტაქსაობა გულისგადასაყოლებლად ვარგა, მაგრამ თუ ნერვიული ხარ, ძნელია... ზოგი ვერ ჩერდება ერთ ადგილზე, დილით რომ გაავსებს ბაკს, სანამ არ გაუთავდება, დადის, ეძებს კლიენტს. მე ვდგევარ ხოლმე ვაზართან და ველოდები... ჩამისხდნენ, ერთხელაც, რო ველოდებოდი, ჩვენი უზნელი ბიჭები, ჩემი შვილის ამხანაგები... ვითომ სანამ კლიენტი გამოგჩინდება, ვისხდებითო, კი, გენაცვალეთ-მეთქი... ერთ ბოზს დაუძახეს და ჩაისვეს და ელადავენ და ელადავენ, თან ვითომ ვეაჭრებიან, თან ზედ აფსამენ... ეს გოგოც ხვდება, რა

ტრაკებიც არიან, მაგრამ ითმენს, ილიმება... ბოლოს გაუშვეს, რო გადავიდა, ტრაკში მიანიეს ნიხლი... გული ამერია კინალამ, ასეთ ბიჭებს ბოზიც ჯობია და მძღნერის ბუზიც... გეფიცები, რა, პატივისცემა გამიჩნდა მაგ გოგოებისადმი, ათი რომ მომაბა, ერთს არ ვიხმარდი მაგათზე. ისე დგანან ხოლმე, გეგონება ხეები ჩაურგავთო. — რა არი, აგრონომმა გადაგიზომათ-მეთქი, მიხუმრია ხოლმე... ჩემი ნდობა აქვთ... კაცები მაგათთვის ადამიანის ჯიშისა არ არიან... მიფიქრია ხოლმე, ნეტა ამათთვის ორმოცდაათ-ორმოცდაათი ლარი დამარიგებინა საახალწლოდ-მეთქი, მაგრამ აღარ დამადგა საშველი...

მოკლედ, ახალგაზრდობა დანაშაულია!

3. ჯართი

— ჯართს ვიბარებ, ჯართს!.. ჯართი... — მეგაფონით... ცუდი შეხსენებაა... ძველი მაცივარი, ძველი აკუმულიატორი, ძველი სარეცხი მანქანა!.. საერთოდ ჯართი... ბოროტი ხუმრობაა. ძალიან მოქმედებს, მე ხომ არ მეძახიან? ყველაფერი ძველი, დაშლილი, დანგრეული, — მოქმედებს. დავიკარგებოდი სამდე, სოფელში წავიდოდი, მაგრამ იქ უარესობაა... ძველი, დანგრეული, მიტოვებული, მკვდარია ყველა, ვისაც ვიცნობდი... სოფლის ბირჟა ჩაკუზულ მამლაყინებს დაუჭერიათ, მოხუცი ქვასაც ვერ იშოვის ჩამოსაჯდომად... ოთხჯერ გატეხეს ჩემი ბინა, მეორე გატეხვაზე სია დავკიდე კარზე, ჩამოვუნერე, რაც სახლში მქონდა, ყველას თვითონაც რომ აქვს და არაფრად არ ღირს... არ მენდვენ... მესამედ, მეოთხედ.. ვინაო? — იკითხავ. — მეზობლებმა, ნათესავებმა... ვის უჩივლებ, იმათ ხელში ხარ, ეწყინებათ და კარ-ფანჯარასაც ჩამოგისხნიან... კიდევ კარგი ალუმი-ნის სახურავი არა მაქვს...

— ჯართი, ჯართი... ბოთლებს ვიბარებ, ბოთლებს... — ბულკი, ბულკი... დილაუთენია იძახოდა ხოლმე ერთი უტანო ბიჭი, რომლისთვისაც ბუნებას მაგიერში ხმა მიეცა მეხისა, იძახდა და მარცხვენდა, რადგან ბავშვობის ნერწყვს მგვრიდა...

— ბულკი, ბულკი... რომ იძახდა, ისიც ვიღაც ნარკომანს მოუკლავს, რალა ვიღაც, ჩვენ უბნელს... — რას მალვიძებო...

მე ქარი მალვიძებს, მაგრა მწენავს... რა ვუყო... ნერვებს რომ ავყვე, — არ მომჭამო! — არ მეტყვის? შეიძლება შიფერის ნატეხიც მესროლოს... არ უნდა ებრძოლო არაფერს. როცა ცივა, უნდა თქვა — ცივა, როცა ცხელა, — ცხელა! არ უნდა ებრძოლო. ბორიას ყლეს ეძახდნენ ერთ ჩვენ თანამშრომელს, ადრე... შეუმჩნეველი ტიპი იყო და თავისი ამხანაგის ცოლს ამეუშვრებოდა. სანყალი ბორია ძალიან კარგი ვინმე იყო, მაგრამ ის ოხერი არ უმუშავებდა და ამ უსახო, შეუმჩნეველმა ტიპმა შეცვალა... თანამშრომლებმა კი პროტესტი იმით გამოხატეს, რომ ბორიას ყლე დაარქვეს... არის ერთი ჩიტი, ქარიტყანია ჰქვია.

მოკლედ:

ვისაც ფული აქვს ის ქმარს იშოვის, ვისაც ფული აქვს ის შვილს იშოვის
ჩაიცვამს შიშველი, გაძლება მშიერი,
მაგრამ არ იქნება მინც ბედნიერი...
ვისაც ფული აქვს, ის გულს იშოვის,
მაძლარი იქნება თუ იქნება მშიერი,
მინც კი, მინც კი იქნება ბედნიერი.
მამ მიდი, ისწრაფე, გაექეც, ილტოლვე,
სხვამ ფული, შენ სული იშოვე,

ნუ აწყვები ცრუ რწმენას სოფლის,
ფულმა ცუდ ადგილებში იცის ოფლი,
გულს კი თავისი გული ყოფნის,
სულს კი თავისი სული ყოფნის.

ადამიანიც ფუჭებადი და ერთჯერადია:
ფუჭებადია მასში სიყვარული
და სიკეთე ერთჯერადია...

4. ტაქსისტის სიკვდილი

დაკვირვებული ვარ, სულ ასეთი უბედურებაა ქვეყნად:
კაცი თავის განწირულებას რომ ველარ ერევა, მაშინა
კვდება. თითქოს გულიც რაღაცას უგრძობს, თითქოს
შენც გრძობ, ახლობელი რომ ხარ თუ მეზობელი...
თვალეში სიკვდილი რომ ჩაუდგება კაცს... მაგრამ ვერც
სარკეში დაინახავს და ვერც გულში. არა სცალია და
იმიტომ. ვალეშია, ოჯახი ჰყავს შესანახი, გული ცუდს
ეუბნება და გულსაც ეჯობება, გაიხედავ და გატახჯუ-
ლი ხარით მიდის საშოვარზე. სიკვდილი კიდეც თავის
საიდუმლოს ინახავს... დილით რომ შემხვდა,
თვალეშიდან ბურუსი გადმოსდიოდა, შორიდან ეტყო-
ბოდა. არც სალამი, არც არაფერი, გავიფიქრე, ვერ დამ-
ინახა-მეთქი, რო გავცდი, გავხედე, სხვა რამეს ხომ არ
უყურებდა-მეთქი...

ისიც ტაქსაობდა. სადამოთი მოსულა, დაუძინია და
დაღამებულში წასულა. ვალეები ჰქონდა. ცოლი ტირო-
და, რატომ არავინ დაუშაღეთო... ისე, კუკურას კი ეთქ-
ვა... გათენებისას მანქანაში დაეხრჩოთ კლიენტებს, მო-
ტორის გამაგრებლის ტროსით... ქურდი იმას არ
დააღრჩობდა, ყველამ იცის, რამდენი შეიძლება ედოს
ტაქსისტს ჯიბეში შუალამისას, ჰა, ჰა ორმოცი ლარი...
ეცტობა შეძინება უფრო უნდოდათ, ნარკომანები იყვნენ,
ეტყობა, და წამლისთვის უნდოდათ, თორემ სხვა ვინ იქნე-
ბოდა... იმასაც, ორმოცი ლარი რომ ჰქონოდა,
სატაქსაოდ წავიდოდა შუალამისას?

გაგიჟებულია ხალხი, ძან გამოიცვალა. მოუთმენლებია,
ყველას რაღაც სურვილი აჟრიალებს, გამჯდარი აქვთ
ტანში კიბოსავით, მოდებული აქვთ სულ... ამ ოცი წლის
წინ ორი-სამი მანქანა ვიდექით უბანში, ეხლა ისეა გატე-
ნილი, ვერ გაივლი... სალამიც აღარ ახსოვთ, მიუახ-
ლოვდები, უნდა მიესალმო და გვერდზე გაიხედავს...
ბულკი-ბულკი მიუძლოდა წინ ტაქსისტის დაკრძალვის
პროცესიას.

ღირსეულად ეჭირა თავი, ამართული იყო მთელი თავი-
სი აგებულებით.

კისერზე ვირის ცალუღივით გვირგვინი წამოეცვა და
იქიდან იყურებოდა..

5. მინა, ჯოხი და ჰაერი

კაცს, უთუოდ, ჯოხი უნდა ჰქონდეს. კენჭს ნაჰკრავს,
ბავშვის წვივებს წაეთამაშება. დაჯდება, ჯოხს ლაჯებში
ჩაიდებს. ჯოხი მტკაველით ექნება გაზომილი, სიგრძე
ეცოდინება. შინ რომ შევა, კარზე მიაყუდებს, გარეთ გამ-
ოვა, აიდებს. ჯოხით სიარული სახლში არ შეიძლება, თუ
გიჭირს, სჯობია, ვინმეს იმედი გქონდეს, ანდა კედელ-
კედელ იარო.

კაცს, უთუოდ, მინა უნდა ჰქონდეს. ერთი დღიური თუ
არა, ერთი ხის ჩრდილისხელა მინი. უკეთესი არც სცე-
ნა არსებობს, არც ფურცელი.
ფიქრები ყველაზე კარგა მინაზე იწერება, რომ ჩააჩერ-
დები, არც კვალს ტოვებს და კაცს არ არცხვენს.
ჯოხით ხარ. იცი, რომ სხივი სწორი უნდა იყოს, მინაში
რომ ჩავიდეს. კაცი არ უნდა მოიხაროს. ეს ძალიან კარ-
გი ამოცანაა. სჯობს დაისახო ამოცანები და ვარსკვლა-

ვიანი ცის ქვეშ სკამი ისე დაიდგა, რომ ხის ტოტები არ
მოგეფაროს. საიდუმლო იცის მინამ. ადამიანი მათ ვერ
აღწუხავს.

თუ მინაზე ხარ და ჯოხი გიპყრია, სხვა რაღა გინდა. მინა
მკვიდრია, მაგარი. ყველაფერი მინაზე ხდება. ჰაერი კი
სცენაა. სცენაზე კი ლაპარაკობენ. ფიქრი ლაპარაკია,
უხმოდ გამოიხატება ჰაერში, ჯოხით. ჰაერი კარგი მო-
ლაპარაკეა, რასაც უნდა გეტყვის. ამიტომაც, ბევრი
კითხვაა ჰაერში. ჰაერში ჯოხი არაფერს ედება და უს-
აზღვროა. მინა კარგია დასაწყისისთვის, როცა ჯოხი
წაგიყვანს. კარგია დასკვნისთვის, გადანყვეტილები-
სთვის, რასაც უარი ეთქმება ან კვერი დაეკვრის. როცა
ყველაფერს მოივლი, წერტილია მინა. მინა კარგი დაფაა
წერტილისთვის. ამიტომაც არ შორდება ჯოხი მინას და
ადამიანს. მინაზე კითხვა არ გამოიხატება, ძახილი კი.
მინა ღმერთმა სახნავ-სათესად კი არ შექმნა, რომ იტყვიან
კარგი მინა ან ცუდი მინა. არც მხენელ-მთესველად შეუ-
ქმნია ადამიანი. მინა და ადამიანი ღმერთმა შექმნა ერთ-
მანეთისთვის, რომ არ ეძებონ.

არ შეიძლება ორი მინის სიყვარული ერთად. არ შეიძლე-
ბა ჩრდილოეთელი და სამხრეთელი ქალის ერთად ყოლა.
შეიტყო ეს იმან, ვისაც ბევრი მინები ჰქონდა და შეიძლო
ბევრი ქალის ალერსი.

კაცისთვის ერთი არის მინაც და ქალიც. არ არსებობს
ორი მინა და ქალზე ქალი დასართებული. როგორც ორ
სოფლელი არ შეიძლება იყოს კაცი, ორქალაქელი და
ორქვეყნელი.

მართალია, თავის თხზულზე და ნაფიქრზე არ დადის
ადამიანი, მაგრამ ორივე სინამდვილეზე უფრო მეტად
უყვარს. რადგან მისი ნაწერი და ნაფიქრი მისივე
ერთიანი ქალაქისა და ერთიანი სასაფლაოს პროექტია.

**6. — ჰა? — 70 წელი ბევრია იმათთვის,
ვინც 70 წლისა არაა**

სამაგიეროდ შევიძინე ახალი თვისება:
ვემსგავსო ყველაფერს.

არა ვინმეს, არა ჩემს თავს, არამედ — როლებს...
რადგანაც არც არსადაა ისეთი ცოცხალი,
რომ მას ვემსგავსო,
მით უფრო შენს თავს...

კაცი, ცხოვრების შესაბამისად, კაცი კი არ უნდა იყოს,
არამედ როლი...
ამან გამომგზავნა მე, ეს წამომიძღვა, ამით დავმშვიდდი.

თვალს ვადევნებ სიტუაციებს, რომ
შესაბამისი როლი გადავიცვა:
როცა მდაბალს ვხედავ,
რიტორობას თავს ვანებებ და მთელი არსებით
ვეგრძობ მაღალის და უხვის სისუსტეს
და ბუნებრივად ვხდები მდაბალი —
ეს თვისება იმდენად ყველასთვის ახლობელი არის,
რომ სხვა მაგალითებს აღარ გავყვები.
ჩემთვის მუდამ სირცხვილი იყო,
კაცს სიღბოსი რომ არ გაეგება
და ბუზად ქცევა არ შეუძლია.
პოეტს ათასი სახე გააჩნია, კაცს კი ერთი თავი აბია.
ძალის ყნოსვაც აღიარებულია,
მაგრამ უკან არავინ დაჰყვება.
სწორია კაცი, ცხოველს რომ ძრახავს,
მაშინ ერთხელ უნდა იხურაოს
(რომ ეძებენ ძალის თავი თუ სად მარხია).

ამიტომაც, როცა რამე არაკორექტორულს ვიტყვი,
ქალებზე ვზრუნავ,
რომ იცოდნენ, რომ სიტყვა ზნეობას კი არ უდრის,
არამედ საგანს.
პოეტსაც, თუ ის არ არის ძალის დაგდებული,
არამედ არქილოქესგანაა ციდან ბოძებული,
თუ ის არ არის ჩართული ნარატიულ ტექნოლოგიაში,
თუ ის არის ე რ თ ი და არა საერთო-ერთფეროვნება,
თავის გადასარჩენად,
მართებს ტანზე სხვა რამ გადაიცვას...

არ გადავიცი და წავაგე კიდეცაც,
როცა ერთი ქალი გავიცანი და
წარვუდგინე თავი მგონად
და ქალმა კუდი ამოიკრა, წარბი შეკრა პატიოსნად...
ეტყობა, რომ ჩემში რეფლექსია იყო მეტი,
იმ ქალში კი აზრი ელაგა.
ეტყობა, რომ იმ წუთში არ ვიდექი მკვიდრად,
წუთში ვინც დგას, იმას ფეხი არ წაუცდება —
ფეხი უდგას ვისაც ორგანვე, —
რადგან მხოლოდ იმ წუთშია
წარსულიცა და მომავალიც,
ის წუთია მინა, ეზო და სახლის კარი.

უნდა მივეჩვიოთ, რომ აქ ყველაფერი კარგად არ იქნება.
ამ აზრით უნდა დავიძინოთ და გავიღვიძოთ
და არა ოცნებით, რომ კარგად იქნება.

რომ ყოფნისთვის ორივე გვჭირდება, —
სილბოც და სიმაგრეც:
რომ როცა გაგვიჭირდება, უნდა მივანვეთ
და როცა კარგა ვართ, უნდა შევირგოთ.
მერწმუნეთ,
ყველაფერი ცოტახანს გრძელდება,
მხოლოდ ჩვენი ნერვებია ხეზე დასაბმელი.

ვნერ,
პირს კი არ ვიპარსავ სარკეში,
და თიბვაც კი ერქმეოდა, კალამი რომ არა.

თქვენ, თვალხილულნი ვინაცა ხართ,
მიტაცებული გაქვთ იგი ბრმებისგან.
თქვენ, ვინც მაძღრები ხართ,
სწორედ ახლა აღექვით მშვიდობის სუფრიდან.
თვალხილულნი — ბრმებია,
მაძღრები — მშვიდრები.

წყალს ნაკლული შეედგმება, სავსე არ ივსება,
ნიჭიც ნაქურდალს ემსგავსება, თუ არ იხარჯება.

7. მათხოვრები

არც ლარიანს უჯერებდა, არც თავის თავს უჯერებდა,
არც სამყაროს უჯერებდა, თავი ეგონა სიზმარში...
ძალის დაყრილები ვართ ჩვენ,
ჩვენ არა ვართ ადამიანები

ტკბილისა ჭამასა ზედა ვბრკოლდები
და ყნოსვად სურნელისა ვარდისა,
ჩვილისა ჭვრეტას ვეკრძალვი
და მოხუცისა, ჯოხდაბჯენილისა,
ვაშორებ ბოროტ და ავთვალს
მათ პირთან მიტანილ ლუკმას,
ასეთი ცხოვრებით ვცხოვრობ,
ასე ვიხარჯები უქმად...

რაც კარგი არის, ღმერთმანი,
სხვებისთვის გამიმეტია,

რაც ცუდი არის, მეყოფა,
ჩემთვის ის კარგზე მეტია.
ისე მიყურებენ ზოგნი,
ჯამში ვიყო თითქოს ლუკმა,
სხვაც მისინჯონ, რაც სახმარად
მკიდია და არსაუქმად...

საგოგმანოდ,
საგანძურად,
ავსაუბრად,
თავსა-უფლად...

სილარიბე ისე მარადიულია,
რომ მდიდრებსაც ესიზმრებათ, რომ ღარიბებია.

წინათ მათხოვრები მაინტერესებდა,
ეტყობა, რომ მეგონა თამაში.
ახლა მაშინებენ — ეტყობა რომ სინამდვილეა.

სინამდვილე კი მომაბეზრებელია,
ყოველი თეთრი რომ უნდა დაითვალო...
უნდა შეგეშალოს, უნდა დაითვალო,
რადგან ესეც დიდი ბედნიერებაა,
ცოცხალი რომ ხარ და თვლა გიდასტურებს...

**8. მე რომ აღარ ვიქნები,
ციგნის მოხუცი ქალის მონაყოლში გავკრთები**

— იმ ქალაქში ციგნების დიდი ლაშქარი ვიყავით. ფერ-
დობებზე გვქონდა სახლები მიკრული, როგორც ქვაბის
პირზე მიმხმარი ფაფები.

ვეშვებოდით ქალაქისკენ, როგორც ნიაღვარი და
მოვედებოდით.

ყველგან ვმათხოვრობდით, ვაგზალში, მეტროში, გზაჯ-
ვარედინებთან,
სადაც კი იყო შეყოვნებები, როცა კაცი ცრურწმენიან-
დება, სადაც კი მართო დარჩებოდა, როგორც კი ნერწ-
ყვს გადაყლაპავდა... როცა კაცი, გრძნობით ძლეული,
ნებდება ხოლმე სხვის აქტიურობას.

მეტროშიც ისე ჯდება ხალხი, თითქოს გარეთ ბარგსა
ტოვებენ და ოცნებას მიეცემიან. ამ დროს მე და ჩემი
უმცროსი ძმა შევწყვეტდით ხოლმე ბაქანზე თამაშს და
ჩამომდგარ მატარებელს თავს დავესხმოდით, ანუ დავ-
ეცემოდით მუხლებზე და... „დეიდებო და ბიძიებო...“
ავყმუვლდებოდით.

იჯდა კაცი, შესასვლელშივე, ჩვენზე ნაკლებ შავი,
როგორც ჩვენ ვიყავით ზანგებზე ნაკლებ შავები, ხალხი
ოდნავ იქით იწყებოდა, მაგრამ ჩვენ ზედ იმ კაციდან
დავიწყეთ: „დეიდებო და ბიძიებო!..“

ჩვენს ხმაზე ეს კაცი ისე დამფრთხალი შეხტა, თითქოს
სკამმა აისროლაო. შეგვემინდა და წინ გავჩრდიით მუხ-
ლების სისწრაფით.

— მგლები ხართო?! (ლეკვები უნდა ეთქვა) — მოგვაძა-
ხა ზურგებში.

ხანშიშესული იყო, ეტყობა, რომ უნდა გვეყმუვლა — „ბე-
ბიებო და ბაბუებო...“

9. ბევრი ლექსი დამინერია...

ბევრი ლექსი დამინერია, დამინერია და დამიძინია მხ-
არსა და თეძოზე და დამვიწყებია, რომ დამინერია და
გამხსენებია, ხანი რომ გასულა, მე კი არა, ტანს გახ-
სენებია, რომ რაღაცა გავიდა მისგან. — ნეტა რა იყო?
მე კი არა, ტანს უკითხავს თავისი თავისთვის... აქიდან
იქამდე მანძილი როა და იქიდან აქამდე როა მანძილი —
ბევრი ლექსი დამინერია და მივსულვარ ისე იქამდე და
იქიდან კი აქამდე, სადაც ახლა ვარ... ბევრი ლექსი დამი-

წერია, რომ ქალაქს არ გაკარებია და შეიშრო გზამ და ჰაერმა... ბევრი ლექსი დამინერია, დამიგდია გზაზე ჯოხივით, სხვა ძაფს გავყოლივარ, სხვა სხივს, სხვა ბილი- იეს, რადგან დაქსელილია სულ ასე ქვეყანა და გადაბ- მულია ყოველი საგანი და არის განუწყვეტელი მიმოსვ- ლა საგანთა და ადამიანთა — ურთიერთ შორის...

10. უზნეო მეზნევე

რა სათნოებაც არ უნდა იქადაგოს, მე სულ ასეთს ვხე- დავ დიდ მორალისტ არისტო-ბატონს, ჩემი წარმოსახ- ვით წინა საუკუნეში გადასროლილს. ასე უკეთ გამოჩნ- დება მისი თანამედროვე სახე და მეც სიტყვები დამე- ზოგება.

დინოზავრები ხომ ჭამამ გადააშენა, ამიტომ ყველას შიოდა ბატონის სახლში. თვითონ მისთვის რჩეული საჭ- მელი ისე მუხანათური წესით მზადდებოდა, რომ არაფერს არ წაეციცქნებოდა, რომ მოსამსახურეებს ყელი დაღებოდათ. გოჭს რას უზამ? ქათამს რას უზამ? კალმახს რას უზამ? პურსაც არ დააჭრევიანებდა არის- ტო-ბატონი, თორემ პურის ხერხი იცოდნენ: გაჭრიდნენ შუაზე და შუა მხრიდან ცოტ-ცოტათი ჩამოაკლებდნენ და ისე მიართმევდნენ. განაჭრები ერთურთს ეწყობო- და... ცდებოდა არისტო-ბატონი ამ ერთადერთში.

საზოგადოების დიდ-დიდ წვეულებებზე იცოდა ჭამისა და სმის გაქიქება, ვითომ ჭამა — ღორბააო, ღორი კი ადამიანი არ არისო... გადაიღეს არისტო-ბატონისგან სხვა ბატონებმაც, ვაჭრებმაც, შეძლებულმა ჩინოვნიკე- ბმაც და აკრძალეს ჭამა — სხვებისთვის, ანუ პირადად მათ გარშემო მყოფთათვის... რამდენიმე სხვაგვარად, ანუ ახლებურად მოზროვნე დაჭლექდა, რადგანაც პა- ტისნად ირწმუნეს მორალი... მომლხენებმა ყბად აიღეს ეს ახალი ფილოსოფია და სუფრად დასხდომისას არის- ტო-ბატონის სულს ასხენებდნენ. — შეგვინდოს, მაგრამ ჭამა მაინც კარგიაო... ხარს ვაჭმევთო, მწევარს ვაჭმევ- თო... ესე იგი არ არის სმა-ჭამა მთლად უაზროო...

ზოგი არისტო-ბატონის ვახშამზეც იყო მოხვედრილი, მაგრამ სიტყვა ღალატობდა, რომ აღენერა. არისტო- ბატონი დემოკრატი იყო, ჭამაში არავის ენახა, მარტო შრომაში.

გადმომდგარიყო ახლაც აივანზე, ვითომ შუბლის გასა- გრილებლად, განა უსაქმოდ, და ეზოს გადაჰყურებდა, რომ ვინმესთვის ექადაგა უქნარობის გამო.

სამზადიდან მეჯინიზე გამოვიდა მის უცოდინრად და ცხენივით გახვიხვიებული პირის დამუწვავ ვედარ მოასწრო, კაცი იყო და გაუჭირდა. შეაფასა არისტო-ბა- ტონმა საქმის ვითარება. — ეს მამაძალი ქალაქში უნდა ჩასულიყო სტუმრების მოსანვევად, უნდა ტანსაცმელი გამოეცვალაო... გადაავლო გონების თვალი არისტო- ბატონმა სტუმრებს და გულში ზოგიერთი მათი ნაკლი აღნიშნა. მაგრამ ფიქრი გაუწყდა:

სამზადიდან მოსამსახურე ქვრივი ქალი, ზემო სოფლ- იდან რომ მოაყვანინა შინამოსამსახურედ, თავშალის სწორებით სამრეცხაოსკენ გაიქცა, ეტყობა უთო ედგა და გაახსენდა.

არისტო-ბატონს კი მეჯინიზე გაახსენდა. გაბრაზდა, გუნება სასტიკად აემღვრა.

— მაგას მოვწყვეტ წელსო, უნდა გავაქროო.

11. სენეკა

სიკვდილის შემდეგ სენეკას არაფერი დაუნერია. არაფერი უთქვამს სულისხდომისასაც... ნეტა სული ხორცს როგორ ეყრება?

რომ გვინტერესებს...

ისე მოკვდა, როგორც ყველა მოკვდავი.

ის კი არა, ცოლის დახმარებით ძლივს გადაიჭრა მთა- ვარი ძარღვი, რომელიც სენეკას მიხრწნილ სხეულში

ყველაზე აქტიურად ემალებოდა სიკვდილს. ასე რომ, სულთხდომისას სენეკა საკუთარი საქმით იყო გართუ- ლი და შთამომავლობის ინტერესებზე არ უფიქრია, მთა- ვარი მისთვის იყო შ ე ს რ უ ლ ე ბ ა, რადგან ამას ასწავ- ლიდნენ აკადემიუმშიც და თეატრის სცენაზეც... შ ე ს რ უ ლ ე ბ ა იყო მთავარი,

თუმცა კაცი კაცობას რომ გაექცეს, რთული როლია.

სიკვდილის შემდეგ სენეკას არაფერი დაუნერია...

დარწმუნებული ვარ, ის სხვა სიტყვები იყო, ილია ჭავ- ჭავაძე რომ ციტირებდა... „როგორც ბრძენი სენეკა ამ- ბობდა...“

თვითონაც ცოლის გვერდით მოკვდა, ოღონდ სხვისი ხელით, თუმცა ჯიბეში ნაგანი ედო — თავის დასაცა- ვად.

სიკვდილის შემდეგ ილიასაც არაფერი დაუნერია, მასაც სიცოცხლეში დანერილი აზრები დარჩა.

ქონება კი სხვებმა წაიღეს.

არადა სენეკასთვის როგორი აუცილებელი იყო ორივე, ქონებაც, სიცოცხლაც, მამ რილისი ბრძენილა იყო?

„დიდს ზრუნვა არ უნდა, იზრუნე მცირესთვის, მცირე კაცს არ აუბედურებს.“ — ეს ნათქვამი სენეკას არ ეკუთვ- ნის. ეს აზრი ფსევდო-სენეკასია...

ამათ შორის კარი რომ გავაჭრიალე, გამკრა თავში, თუ რატომ არ ჭრიალებს ისტორია. შევედივართ და გამოვდი- ვართ და... არ ჭრიალებს.

შესაძლოა სამსხვერპლო სისხლით როა გაპოხილი.

12. ტკბილი ბოლი ხელნაწერებისა

დიდი ხანია ჩემი ხელნაწერები აღარ დამინვაავს. ახლა კი ქლიავეების ბოლოს, დილაუთენია და ყველას ფარულად, მშვენიერი კოცონი დაენთო.

ინვოდნენ ოდესღაც ნალოლიავეები ფურცლები, მზე- თუნახავყოფილი ქალის პირის კანივით.

მე ჯოხით ვედექი თავზე და ცეცხლს ვუჩხრეკდი. თან მინდოდა მალე დამწვარიყო,

თან, როგორც ყველა რიტუალი, მინდოდა, რომ გაგრ- ძელებულიყო. თან თვალს ვარიდებდი მსხვერპლშენი- რვას, თან მინდოდა თვალი მომეკრა.



ფურცლებს შორის არც ერთი არ აღმოჩნდა ცეცხლგამძლე, ვუყურებდი, რომ არ დამენახა. ჩაინვა ნაგავი. მხოლოდ ერთმა ფურცელმა კუზი ამოიგლო და ნაპერწკალივით თვალში მეცა რალაც სიტყვის რალაც ნარჩენი...

13. თვითონ დავიბადე

მე თვითონ გაეჩნდი, თვითონ დავიბადე, თვითონობაა ჩემი მშობელი. მე თვითონ გამოვიარე ცხრაას ოთხმოცდაშვიდი თაობა, მე თვითონ ვემკვიდრე და თვითონ ვიყავი, ვისშიც რომ ვიყავი.

ჩემი ხელთქმნაც ჩემი ნება იყო და ხელთქმნილის ყველა არჩევანიც და ძიებაც და გამოცხადებაც, როცა ვთქვი — თვით მე — რომ დავიბადე.

ტყუილია, არავის არ უთქვამს, მე ვთქვი — დავიბადე! მარჯვენა იყო, მარცხენა იყო, წინ და უკან იყო, მაღლადაბლა იყო, რომ დავიბადე.

იმ წამს, როდესაც მე ცხოვრება პურს მანვდიდა, მოხდა დიდი კატასტროფა, გაიპო ქვესკნელი და მომწოდებელი მიწამ ჩაყლაპა. ასე დამეკარგა მე პურის ქვეყანა: მე ვერ ვჭამე პური ადამიანობისა.

14. სარეცხის საპონი

განა არსებობს საგანი, რომელზეც საუბრის დასრულება შეიძლება, მით უმეტეს, თუ თვითონაც სრიალდა?

დედამინაზე ყოველ წამს ხდება ცვლილებები, ახალი გადამტერებულია ძველს და განუწყვეტილვით ამარცხებს, მაგრამ არის ერთი რამ, რასაც ცვლილებები ვერ ეხება, რაც ყოველთვის უსხლტება დროის მსახვრალ ხელს...

ეს ერთი გახლავთ — სარეცხის საპონი — სოფლის აბანოს იატაკზე რომ იცის ხოლმე გასრიალება.

სიტყვები ძალიან ჰგვანან საპონს, ორივენი ცდილობენ, რომ სუფთად აქციონ რაიმე: „სინამდვილეში ეს ასეთია...“ საპონივით, სიტყვების შეტრიალ-შემოტრიალებაც სრულიად ჩვეულებრივი ამბავია, რომ კრიალა აზრი გამოვიდეს.

ზოგი სიტყვა ზოგ სიტყვაზე ნაპერწკლებს გაყრის, ზოგს ზოგი არ მოსწონს, უსურვილოდაა შეწყვილებული; ზოგი ზოგის გვერდით ჭკნება, ზოგი ყვავის, გაორმაგებულად წარმოჩინებული. ზოგნი ერთ ფრაზაში საუკუნეები გვერდი-გვერდ სხედან და უბედურები.

15. ყარყატი

და შემვიდა ტანში ის ყარყატი, ფრინველი შავი, ტყეთა შინა დამალვით მკვიდრი, თავისად შერაცხილ ბუდეში მოსახლე, წვიმათა შინა ველთ რომ გამოვალს ხშიანობით და რა გადაინვიძებს, მუნვე რომ შევალს... იმ ადგილას, სადაც სხვაც მრავალი სახე და სურათი შემსვლია და დაბინავებულა... ერთხელაც, ბავშვობაში, როცა სოფლის ცა გადამფრენი ფრინველებისა იყო, ჩვენ, რამდენიმე ბიჭი, ივრის ჭალების მუდმივი მკვიდრნი, დაღამება რომ არ ვიცოდით და უკვე კარგა ბნელშილა გვახსენებოდა სახლის გზა, ის-ის იყო დავიძარით სახლისკენ, რომ აგე, კოცონებს ანთებდნენ წეროების ჩამოსატყუებლად და ყარყატიც სადმე ჰყარს არღვევდა ხმაურით... ხალხი სერიოზული საქმეებისთვის ემზადებოდა, ჰორი-ზონტზე მონადირეები ჩანდნენ, ჩვენ კი, ბავშვები, ბავშვებად ვტოვებდით ასპარეზს.

თოფის ხმა არასოდეს გაისმის უაზროდ. ნისლის კოტორივით ბოლს კი მოვკარით თვალი, რომ ზედ ჩვენს წინ, ხუთიოდ ნაბიჯზე, მოზრდილი ფრინველი დაენარცხა. დავარდნილი ქვაც კი გაინძრევა ხოლმე მიწაზე, ამანაც ერთი-ორჯერ ფრთები გაარხია, გაიშალა, თავი წამოსწია და დაეგდო ისევ. მიწა ხომ მისი სამ-

შობლო არ იყო. ყარყატი, თქვეს. სწრაფად გამოვშორდი იქაურობას, ვიცოდი, მოყოლაც კი გამიჭირდებოდა დედაჩემისთვის, ამიტომაც, შინ მისულმა სწრაფად დავიბანე ხელ-პირი, ვივახშმე, გავიშალე ლოგინი და ისეთი ხმაურით დავასკდი ზედ, რომ ბებოჩემმა გაკვირვებულმა გამომხედა ალბათ.

იმ ღამით, თვალდახუჭული, ძილისპირის განცდებში, მე არ ვიყავი არც ძალღი და არც თოფი, არც მონადირე და არც კოცონთან გაგონილი რაიმე სიტყვა.

იმ ღამით, ვიდრე დამეძინებოდა, მე ვიყავ ყარყატი.

16. — პაპა დაბით!..

მთელი სოფელი იმ სახელს ეძახდა, რასაც უამრავი შვილ-შვილიშვილი, სიძეები, რძლები, ძმათაშვილები... ნამდვილი სახელი კი სხვა ერქვა.

სულ ძველად „მასწავლებელსაც“ ეძახდნენ სოფელში, პატივს სცემდნენ გამორჩეულად, მიჩნეული კაცი იყო, კითხული...

მაგრამ ახლა პაპას ეძახდნენ.

ვაჟა — უფროსი ვაჟი, ეხლანდელი პატრონი მამისეულ სახლისა, აივნის ჩრდილში ზის. ირგვლივ ფუსფუსებენ ქალები-კაცები, ეტყობა, რომ დიდი ვახშმის სამზადისია, ეტყობა, რომ სახლიც, კარიც და ეზოც და კაკლის ჩრდილიც შეძლებულს ეკუთვნის, ეტყობა არავინ ეკითხება — საიდანაო? ამიტომაც იყურება ასე დაჟინებით ახლო მომავალში და ცოტა წარსულშიც. მოზილურია.

ვაჟა წამოვარდება, რამდენიმე ნაბიჯით გადაირბენს მზედაჭერილ ეზოს და უკვე კაკლის ჩრდილში როა, ორმაგად კმაყოფილი იკრიჭება.

მერე, ნადილდაკმაყოფილებული, უკანვე ბრუნდება, იბრლიან ადგილზე, სადაც კარგად იყო, აივნის ჩრდილში.

ზის, ფიქრობს, არაფერი არ ეხარჯება...

სწყინდება ფუსფუსის თაიგულში ყოფნა. შეარხევს პაერს:

— ორ საათში აქ იქნებიან! — ანონიმურ სტუმრებზე ამბობს, — ყველაფერი ხომ კარგა ეწნება? ახსენდება, რა კერძებსაც ამზადებენ და ნერწყვი მოსდის. ჩაყლაპავს ნერწყვს. — ხორცი არც ჩახარშონ და არც ისე ქნან, რომ საგლეჯი იყოს (როლში შედის)... გადაიღებ თევშზე დიდის ამბით კარგა შერჩეულს და სანანებელი გაგიხდება, არც იჭრება, არც იდეჭება, ნერწყვი კიდევ მთელ ნაჭერს გაყლაპინებს და უკვე იმას ოცნებობ, არ დაიღრწო. ღმერთო! (ოფლი ასხამს განცდებისაგან, მაგრამ გამოერთვება და ჭკვიანურად აგრძელებს)...

— ესე იგი, ძროხა იხარშება, ცხვარი დაკლულია, ბურვაკის სამწვადე დიდ ქვაბშია ჩაბასტურმებული. გოჭი თონეშია, თევზი ინალება, პური ჩაიკვრება, ლოდინშია ხაჭაპურის ცომი და ყველი... და, რაც მთავარია, ხანჯლით დაკეპილი ხინკლის გული, წინაკით და ბლომად ხახვით... ხინკლის გული ორ-სამ საათს რომ გაჩერდება, უკეთესია, მარილი გაუჯდება, წამოფუყდება... ნასვლის წინ გავსინჯავ, ხინკლისთვის მოდის ხალხი ამოდენ გზაზე. გამგებელი მოვა და წავალთ, პატრულს ნავიყვანთ, გავაჩერებინებთ მთელ შემადგენლობას, ვითომ საბუთებიო... ნავიმიამუნებთ. მე და გამგებელი ვიქნებით, ამაღლა არ გვინდა, მშვიდად წავალთ და მშვიდად მოვალთ, ხალხი არ შეყაროთო, პროტოკოლით არ არის გათვალისწინებული. ცოტა ხანს ტყეში გავგრილდებით, ნავუხეშებთ, ჭაჭასა და ვისკს ნავიღებ, შეიძლება ღვინო არ დალიონ...

ამ განცდებში რომ იყო, იგრძნო, გრძნობები წყალივით გასდიოდა და წაამუხრუჭა, შემოინახა საჭირო დროისთვის.

ზუსტად გამგებელიც გამოჩნდა. ალაღად გადაეხვივნენ. — ახში, ვარიგებთო, მიეალერსნენ ერთმანეთს, ბარაქა ჩვენ, დიდი საქმეო, დაილალა ხალხიო... ოპოზიციამ თქვა, ვალები დაგვაფარინონ, ერთი-ორიც სადმე დაგვნიშნონ და ჩვენთვის ვიქნებითო...

— აქამდე რა, ჩემთვის იყვნენო? — უთხრა გულს ვაჟამ. დუმილი დაუფასდა: — მაგარი ნეიტრალიაო, შენზე თქვესო, ახარა გამგებელმა, ვაჟამაც არ დაუკარგა, თითო გადავკრათ, მოვგულადდებითო. ეგრე იყოსო... ნაატეხეს პურს, ყველს, გადაკრეს არაყი, იფ-იფ-ო, თქვეს...

— აბა, ნავედითო, გასძახა სახლის პატრონმა მოფუს-ფუსე ქალ-კაცებს.

ძმასა და ბიძაშვილებს კი ნაუჩურჩულა:

— პაპა დააბითო!

შეხედა ვითომ გაკვირვებულმა გამგებელმა, ვითომ არ იცოდა, ვაჟა რომ აუხსნიდა: დალანძლავს სტუმრებსაო. გაუგო გამგებელმა. აღარაფერი ჰკითხა, მანქანაში რომ ჩასხდნენ, მერე იწყო თავისთვის გასცენიურება...

ვაჟას ბიძაშვილები ძიუდოისტებია, ე შამამისი კი მოხუცია, ნამასწავლებლარია, არაფერი არ მოსწონს, მწარე ენა აქვს, ნევროზიანია, სწორია ვაჟა, მთელ სუფრას მოუწამლავს, მთელი საუკუნის ბოლმას ამათზე იყრის, ვინ იცის საიდან აღარ მოჰყვება... მოკლედ, ყველას დააფსამს კაცობაზე. ეხლა კიდევ, მიზამენ სახლის უკან, თავის დარგულ კაკალზე, იქვე ცეცხლი ენთება, ქვაბები იდგება ზედადგრებზე, მწვადი შეინეება, მზარეულებიც მაგის კბილებია, იციან მწვადიც და ხაშლამაც ძველ წესზე... იჯდეს კაკალს მიყუდებული, ჯამით ღვინოს მიანვდიან, ხელით მწვადს დააყოლებინებენ...

ილაპარაკებენ...

სუყველა ყბედობაშია და არ კი ვინმე ამბობს — ცყბედობთო, ეტყობა ტელევიზიის ხათრით. ჰიჰიჰი...

ნაღვენ-ნამოვლენ სტუმრები და, აუშვებენ, მორჩება კონცერტი, პირველად ხო არ აბამს.

— ჰიჰიჰი... — ეცინებოდა მოსისინე მანქანაში გრილად მოწყობილ გამგებელს. არც გზას უყურებდა, არც მთას, არც დაუშუშავებელ ველებს. სოფელს რომ გაუვლიდნენ, თვალეზა ხუჭავდა, რომ გუნება არ გაფუჭებოდა და ფიქრები არ გადართვოდა. კარგა უნდოდა ყოფნა.

— ჰიჰიჰი... — პაპა დააბითო!

ანეგდოტი კია, მაგრამ სწორია ვაჟა. წინა არჩვენებზე რომ იყო მთელი ოპოზიციის ჩამოსული — ოცდაჩვიდმეტივე პარტია, — ოცდაგიჯმეტივე ჩამოსულიაო, ხალხი რომ ერთობოდა როგორც იქნა რალაცით, — ნახეთ კაცოო, მთელ ფარაში ერთი არ ურევიათ კოჭლი და გამხდარიო, — რომ ქირქილებდნენ... და ამ ოცდაჩვიდმეტივე პარტიის შვილებმა რომ მოიაგიტაციეს სოფლები და დალანძლეს მდიდრები და მუქთამჭამლები, მაგრამ კუჭი ყველას რომ აღმოაჩნდა და რომ დაინდო ვაჟამაც და სახლში მიიწვია, როგორც ნეიტრალმა... მაშინ მოხდა, რაც მოხდა...

პაპა, ძველი წესით, სუფრის ერთ თავში დაჯდა, მეორეში ვაჟა. ვიჯექ მეც, გამგებელი, გატრუნული. შეიქნა დიდი ჭამა-სმა. როგორც წესი, ცოტა ხანში მაიმუნის იერი დაიდო ხალხმა, გააგრესიულდნენ...

ნამოდგა პაპა, ზღვარს რომ გადავიდნენ. — ერთი წუთითო!..

— მეო, ივანე ჯავახიშვილი მასწავლიდა და კორნელი კეკელიძეო და კიდევ სხვები, იმათ ანათალებიო... სუფრის წესი სოფელში მაქვს ნასწავლი, ამ მიწას არ გავცვილებვიარო... 55 წელი ქართულ ლიტერატურას ვასწავლიდიო... ბატონმა ივანემ რო ბრძანა „უარესი დღეები უნახავს საქართველოს“ განა თავის მდგომარეობაზე დაინუნუნაო, საქართველოს ისტორიის ყველა თავი მაგ სიტყვებით იწყებაო. მაგრამ ბატონი ივანეს სიტყვები იმედიანია, ხვალის დღეს გვპირდება... თქვენ,

ჩვენ, მე, იმედი გვევალება. თქვენ კიდევ ერთ კალაპოტში კი არ აქცევთ ხალხს, ცალცალკე ურუბთ... დაყოფას და უიმედობას არ უნდა ნიჭი და სიბოძნე... მე ლექსებსა ვწერ ბალღობიდან, მაგრამ რუსთაველისა და გურამიშვილის მრცხვენია და არ გამომიტყენებია, თუმცა კი შემეძლო... ბარაქალა თქვენ, რომ დავითისა და ერეკლესი არ გრცხვენიათ და ქვეყნის მართვა გინდათ. სათავეში გინდათ მოსვლა ხვალის იმედის გარეშე და დღევანდელი ხვალე გგონიათ. საქართველოს განირვას ჩვენც კი ვერ შევძლებთ. აბა, მომისმინეთ:

დღეს თუ არა, დღეს თუ არა, დღეს თუ არა, — ხვალე! საქარველო დაინყება, დაინყება მალე. და რაკილა დაინყება და მოიკრებს ძალებს, წარსულს აღარ მიუხედავს, აღარ ივალალებს, წინ მიაპყრობს, მომავლისკენ, არწივივით თვალეზს, საქართველო დაინყება, დაინყება მალე!

ტაში შინაურებმა დაჰკრეს. — ეეო, იფიქრა ოპოზიციამ. შეკრა წარბი და პირი გააჩერა. მაგრამ ჯერ ერთმა თქვა რალაც, მერე მეორემ და აიძრა აგრესია, სასმლიანი მუცლები თავში ეცათ ცოფივით. აზრიადდნენ, აირივნენ... მთელი სუფრა ერთ კაცსა და ერთ აზრს დაესხა. უსმინ-უყურა პაპამ, უსმინ-უყურა, მიხვდა, ეგრე რომ არ გაჩერდებოდნენ და გამწარებულმა დაათხლიშა ხელადა მაგდას. გაჩუმდნენ მართლაც, გაისუსნენ, ჩაცვივდნენ ისევე მუცლებში...

— ტყუილად დამიზოგიხართო — პაპამ. — ის კი არ უნდა მეთქვა, ეს უნდა წამეკითხაო და გულის ჯიბიდან ამოიღო კარგი ანდერძივით სათუთად დაკეცილი ფურცელი. აღეღებულ პაპას წრედ შემოეველენ თვალში საცემად ტანმოსული შვილ-შვილიშვილები. მარტო ვაჟა იჯდა ფერდაკარგული და პირგამშრალი...

— მომიტანეთ ჩემი სათვალეო, ტყუილად მეგონა არ დამჭირდებო... და ნაიკითხა.

ქვა და კოხივით წამოვიდა ისტყვები, ყველას თავშესაფარი მოუწდა...

თქვე სოდომელებო, თქვე გომორელებო!
არა ამერებო, არა იმერებო,
არ აქაურებო, არაქართველებო,
ყველა გაღმელებო და გაღმომღმელებო...
ყველა გამქცევებო და გაღმლეტებლებო,
თქვე სოდომელებო, თქვე გომორელებო!
მკვდარს რომ დასევისხართ, — ძუძუ გვანოვო!
ერთმანეთს ხელს რომ ჰკრავთ, — არა, მარტო მეო!
ნახევარ მოყვარე, ნახევარ მტერი ხართ,
ჩვენთვის ლაპარაკობთ და თქვენთვის მღერისხართ,
ყველა გაღმელებო და გაღმომღმელებო,
არა ამერებო, არა იმერებო,
არ აქაურებო, არაქართველებო...
თქვე სოდომელებო, თქვე გომორელებო!
მოუშვით ამ მიწას, თქვე მუცელგველებო!
მკვდარდაუმარხავნო, შურუძიებელნო,
სხვის ხელის შემყურნე, ლუკმათმკრეფელებო,
ბორკილთდასადებად განვდილო ხელებო,
მუცლის მომღერალნო და ქარის მწვერებო,
პრანჭია, ძუნწებო, თან ღვინის მსმელებო!
მოხანით? დათესეთ? ოფლით ასველეთო?
მოკვდით და გაცოცხლდით? შინ მოგასვენეთო?
მითხარით, უღელში გამოუქნელებო,
თქვე ხორცში ჩამრჩალნო და ჩანასველებო,
სულ-აუხდენელნო, სულ-აუნთებლებო,
თქვე სოდომელებო, თქვე გომორელებო!

პირდაფჩენილი და დუმილს შეფარებული ადგილობრივები, პაპას განიცდიდნენ, როგორც თავის ფალავანს, ფეხის წვერიდან შუბლის ბოლო ნაოჭამდე დოლივით იყვნენ დაჭიმულები. სულშეძრულებს სტუმრებისკენ

ვერ გაეხედათ სიბრაღულით...
— ეეჰო! — დაამთავრა თუ არა სიტყვა, აიქნია ხელი პაპამ, ვითომ, რატომ მაიძულეთო, წესზე რატომ არ ისტუმრიანეთო...

ახლა კი გააპარეს თვალი მასპინძლებმა სტუმრებისკენ, სადაც ვინ ელაგნენ...

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე!
ერთიც არა ჩანდა, თითქოს არც ყოფილიყვნენ, თითქოს არც ესვათ, არც ხინკალი ეხვრიპათ, არც — იფ-იფ ეძახათ...

წამოხტნენ მასპინძლები, ადგილობრივები, გაცვივდგამოცვივდნენ, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, ჩავიდნენ სოფლის ბოლომდე და ამოვიდნენ ისევ გაკვირვებულები, ავიდნენ ყველაზე მაღალი კაკლის ხის წვერზე, უყურეს გზას, სადამდისაც თვალი მიუწვდათ, ანუ იქამდე, სადამდეც სტუმრები მანქანებით ჯერ ვერ მივიდოდნენ.

დაელალათ თვალი. ჩამოვიდნენ ხიდან. მოახსენეს ვაჟას და გამგებელს საქმის ვითარება მხრების აჩეჩვით. ვილაცხას ცა გაახსენდა და ხმამაღლა გამოაცხადა — გახედეთ ცასაო!

პატარ-პატარა ღრუბლებს ქარი დასავლეთისკენ მიასრიალებდა. გულის დასამშვიდებლად, მაინც დაითვალეს: ოცდაჩვიდმეტი ფთილისხელა ღრუბელი იყო.

17. სიფრთხილის ნიშანსვეტი

მინდა ვამცნო კაცობრიობას, წინასწარ და არა მაშინ, აღსასრული როცა ენვევა:

ერთხელაც, XX საუკუნის დასაწყისში, სოფლის ღატაკები დაიძრნენ ქალაქისკენ და ძალით დაიწყეს სახლების შენება, ქალაქის ვაგზლის ზემოთ, ცარიელ, დაუსახლებელ მდამოებში. მიწაზე, რომელიც არავისი იყო. ეს ერთი სახლი ააშენა ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა, სწრაფად, ნაჩქარევად, ლამის დღე-ღამეში, თუმცა საძირკველში ხურდა ფულის ჩაყრა არ დავინწყებიათ, — ცრუ რწმენისთვის ადამიანს დრო არ ეზოგება...

სიყვარული იმ დროშიც ძალიან ძნელი იყო. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს უყვარდა ერთმანეთი, რაც შურდა ხალხსაც და ბუნებასაც, მით უმეტეს, რომ სახლიც ლამაზი იყო.

1914 წლის გაზაფხულს, როცა საბოლოოდ მოენერა ხელი ნაძალადევად აშენებული სახლის დანგრევის საბუთს და მუშებსა და ტექნიკასლა ელოდნენ კანტორაში, უცებ დაიწყო ომი, რომელსაც შემდგომში „I მსოფლიო ომი“ ეწოდა.

ასე გადარჩა სახლი 3 ი რ ვ ე ლ ა დ.
1941 წელს ისევ შეადგინეს ოქმი სახლის დანგრევაზე — დააკვირდით, როგორ იჩენენ თავსატეხს ქვეყნები, როცა 4 და 1 ადგილს შეიცვლიან, ანუ, როგორც კი ძალას ოდნავ მოიკრებენ: ისევ დაიწყო ომი. და სახლიც მ ე ო რ ე დ გადაურჩა დანგრევას.

იკითხავთ, სახლს უხარია, რომ ასეთი საიდუმლო ნიშანსვეტია? არა! მხოლოდ ეშინია, რომ არ დაუსამონ. მეც მიხარია სახლი რომ ფეხზე დგას. მიხარია კაცობრიობისთვის.

ხანდახან ხომ ძალიან ბევრი საბუთი ქვეყნდება დედამიწის აღსასრულზე, გეგონება ღორის ჭირი ახლოვდებოდეს.

ამიტომაცაა, რომ მიხარია, ეს უბანი ჯერჯერობით პრესტიჟულად რომ არ ითვლება.

კაცობრიობაც, გეხვენები, მართალია, წერას ჰყავხარ მაგრა ატანილი, ნუ დაანგრევ იმ სახლს მ ე ს ა მ ე დ მე რომ გეხვენები...

სანამ იარაღი არსებობს, რომ მოიკლას კაცი და დაინგრეს ქალაქები, სანამ იარაღი არსებობს... კაცობრიობა ძველმოდური იქნება, რადგან აჰა, შენ, რიყის ქვა — რითი არ ვარგა კაცის მოსაკლავად.

სანამ იარაღი იქნება, კაცობრიობა ძველმოდური იქნება.

რაც უფრო დახვეწს იარაღს, მით უფრო ძველმოდური იქნება ადამიანი, რადგან, როცა ქვას ურტყამ, იცი, ვინცაა და დაღირებული რომ გქავს, ისე, შეიძლება მოგიღბეს გულიც, და, ამიტომაც კარგი ქვის მსროლელი თვალეში არ შეხედავს,

ვისაც რომ ესვრის... მაგრამ როცა არც კაცს ხედავ და არც ხალხს ქალაქში, იოლია ასეთი საქმე, როგორც სხვაც ბევრი რამეა იოლი, როცა არ იცი.

როცა ახლო შორი ხდება, მაშინ ცოდეა ზეცას აღარ უწევს.

ასევე, ადამიანი იგივეა არა თავის თავთან, არამედ საქმესთან,

აკეთებს და ჰგონია თავი... გეუბნებით, ჩამონვება დიდი უკუნი, ადამიანი თავის თავის აჩრდილი გახდება, ანუ ხელი, ფეხი, სხვა ორგანოები გაუათმადდება... ექნება საქმე, ექნება სახელი, არქიტექტურა ექნება, ექნება მუსიკა, მაგრამ მელიაც აჯობებს და ჩიტიც და ბავშვიც...

თხრის მელია სოროს, შედის თავის თავში, არც ერთი ჩიტი მიწაზე არ გალობს, ბავშვიც, მაღალ ხეს რომ თვალს ააყოლებს, უკვე ზეცაშია.

— კაცობრიობაც!
სანამ დროა, ილტოლვე ჩემთან, რომ გაჩვენო სახლი იგი და არ დაანგრიო.

გაზაფხული გადაეს ეტიუდავს

დათბა და მორჩა მზის კანტიკუნტები, ხეებქვეშ აყვავილდნენ კატის კნუტები... ჭიანველებმა გადამიჭრეს გრძელი რიგით ბილიკი, მიდიოდნენ საქმიანად, სრული ეკიპირებით, წამზომივით ზუსტნი იყვნენ, ვერ გავედე ქილიკი, გეგონება საბრძოლველად მიდიოდნენ გმირები...

1. პური და ყვავილი

გაზაფხულია, გამოჩნდა ჩითები, აბრეშუმები, გზას დასდგომია მოხუცი, ნაცხოვრებ-ნახმალ-შუბები, უჭირავს პურთან ყვავილი, სჩანს, კაცი იგი ბრძენია, რომ პურის გარდა ქუჩაში ყვავილიც შეუძენია... და მიდის კაცი სახლისკე და რაღაც ახალისებსკე, გრძნობს, რომ რაღაცით მეტია სხვა გამვლელ გამომვლელელებზე, ვინც რომ არც პურზე იციან, არც აყვავებულ ველებზე...

2. ლაბირინთის ოცნება

ნერვიულობა გაქცევის გზაა,
 გადაუნყვეტელ განზრახვაში მომწყვედვის სურვილი.
 ლაბირინთის ოცნება შემდგომში იშვა.
 მაშინ ხომ ოცნება გემბივით შენდებოდა,
 მომავლის იმედით.
 იყო ბევრი ზღვა და ბევრი სივრცე,
 ბევრი სამიში და მიმზიდველი
 იყო გარშემო
 და კაცის ოცნება-არქიტექტურა და
 ახლადშობილი წარმოსახვა
 ბუნებას უკვე საგნებად ითვლიდა.
 ოცნება კენტავრზე, ოცნება მინოტავრზე,
 ოცნება ლაბირინთზე...
 კაცი რომ იშვა, ღორები უკვე ჩიქინდნენ მინას.

3. წერა

წერას მოაქვს ჩემთვის სიცოცხლე,
 წერას მოქვს ჰაერი, პური და ღვინო
 და ვიცი მეც რა უნდა შევწერო —
 სიცოცხლე, ჰაერი, პური და ღვინო.
 სუყველაფერს წყენა აქვს, სუყველაფერს — ტკენა,
 მარტო წერა-ა, რომელიც იმის თანახმაა, რაც შეგიძლია.
 სიყვარულს ამრავლებს, გულმონყალებას...
 და წარსულს აყუჩებს,
 თორემ ტოტივით ამოხტება ყველასგან — ტკენა.

4. დარდის ამბავი

ამდენი ფარდაგი, აბა, რამ მოქსოვა,
 აბა, რამ დაქარგა, ამდენი სუდარა,
 დამწყდარი ძაფივით დარდმა გადაბმულმა
 რად არ იკმარა გული საბუდარად,
 რად აღარ დაქროლა ქარმა სალხინომა,
 რად გულზე საოხმა არ გადაუარა,
 რად არ წაგლიჯა ხელიდან ჩხირები
 და წყალს ჩამდინარეს არ გადაუყარა,
 ნაღვლის საღებავი რად არ გადაუღვარა,
 არ მისცა ცხოვრება, რასაც ამუდარა.
 არ მიიღო ღმერთმა ჩემი სიცილი და სიხარული,
 როგორც ცოდვა ჩამითვალა,
 როგორც გადაცდომა სულის,
 ვით ღალატი ჩემივთ თავის, კრთომა საგანთ სამყაროსი,
 ჩამომკიდა ისევ სევდა, ჩემი ძველი ავგარობი.

5. კენტავრი

ცოცხალ ოთხფეხ არსებებს შორის,
 ვისაც კი მე ამ სიცხეში ჰამაკიდან თვალი ვადევნე,
 სუყველაზე სიცოცხლისმოყვარე აღმოჩნდა — ღორი.
 ლომი მასთან შედარებით მბუჟუტავი ლამპაა.
 დადის, დაეძებს...
 თან ვქანაობ, თან ვფიქრობ და თან ვიყურები:
 სუყველაზე სიცოცხლისმოყვარე აღმოჩნდა — ღორი.
 ლომი მასთან შედარებით მბუჟუტავი ლამპაა.
 ხოლო ყველა ცოცხალ არსებას შორის, —
 თან ვქანაობ და თან ვოცნებობ, —

კენტავრია უმშვენიერესი,
 ვისაც ცალცალკე გააჩნია ზენა და ქვენა
 და ადამიანისგანაც და
 ცხოველისგანაც ამორჩეული აქვს უკეთესები:
 ზენა ქვენაზე მწვერვალივით აღმართული აქვს
 და ქვენასაც არ სდევს სირცხვილი.

და მომინდა ვიყო კენტავრი: —
 თან ვქანაობ და თან ვოცნებობ...
 ოთხი ფეხით ვიდგე მინაზე
 და შემეძლოს ორი ხელის ზეცად აღმართვა
 და ხურაობაშიც არ მიშლიდეს ხელს სხვისი თვალები
 და ისევ მე ვიყო.

არ გაიყო ადამიანი ზენად და ქვენად.
 ოცნებობს ახლაც,
 რომ სარტყელს ზემოთ ლექსი იყოს,
 სარტყელს ქვემოთ იყოს ნესტარი...

არ გაიყო ადამიანი სულად და სხეულად.
 მოდი, ისევა ვცდი, ჰამაკში ვარ, თან ვქანაობ და
 თან ვოცნებობ:

მოდი, კაცის სხეული შუაზე მოვხაროთ,
 დაე, ხელებითაც მინას ეყრდნობოდეს,
 როგორც ფეხებით,
 დაე, თავი მაღლა აღმართოს...

6. ანდე ადამიანს?

ღმერთო, ნუთუ ყველაფერი, რაც ძნელია,
 ანდე ადამიანს?
 ღმერთო, როგორ დაინახავს თანახმობა
 აბგაში დამალულს?
 თუ არ გაუხსენი შენი სიტყვა, როგორ დაინახავს?
 ნუთუ ყველაფერი წესრიგისაა?
 საუკუნეებში ისე გაიტაცა პოეზია პასუხის მიგებამ,
 რომ თამაში გადაავიწყდა,
 როგორც ფეხისადგმა.
 მოხვეტავს თივას და ერთ სარზე აგებს,
 ერთ წრეზე ტრიალებს, ერთ ჰანგს ეჭიდება,
 ერთი აქვს მიზეზი.

7. ნუთუ არ შეგიძლია გამოუსხლტე მანდაურობას

ნუთუ არ შეგიძლია გამოუსხლტე მანდაურობას. შენ ხომ
 სიცოცხლეში ყველაფერი შეგეძლო ჩემთვის, ნუთუ
 არაფერი შეგიძლია მითხრა მანდაურობისა. ძილში
 მაინც რომ მითხრა... არ გინდა თუ არ შეგიძლია?.. ნუთუ
 მანდ ისე შეიცვალე, იმდენი რამ ნახე ახალი, იმდენი
 გაიგე, რომ არ გინდა რაიმე მითხრა,
 შენი საკუთარი ხმით, რომელიც სადაცაა, დამავიწყდება...
 შენ ყოველთვის იქ იყავი, სადაც რამე გამიჭირდებოდა,
 ის სიტყვა იყავი, სიტბო, პური, ყველაფერი, რაც გამი-
 ჭირდებოდა.
 ახალა რატომ არ მიზიარებ შენს ახალ ცოდნას,
 ღმერთისგან ხომ არ ვითხოვ, შენგან მინდა რომ გავიგო,
 ნუთუ მხოლოდ სიკვდილის გზა უნდა მასწავლო, ნუთუ
 მუნჯი უნდა დავრჩე შთამომავლობას, ნუთუ უნდა თქ-
 ვან, ცოცხალი არ ყოფილა და ამბავს ყვებოდარი.

8. კაცის ასო კაცზე ჭკვიანია

ერთმა ქალმა, რომელსაც არც ქ მ არ ი უყვარს და არც
 ს ხ ვ ა ეჯავრება, ერთ კაცთან ერთად ერთ ტყეზე გაი-
 არა ერთი მანქანით.

იმ ტყეში კი ქვენა იმპულსების აღმძვრელი სული ცხოვრობდა და დაუბერა მათი მანქანისკენ. ქალი ქარს აჰყვამ და აღედრა ქვენა იმპულსი, ტვინი ისე გაუთხელდა, რომ გაბედნიერდა. ტყე რომ დამთავრდა, დაიწყო საშინელი გამოფხიზლება.

მახინჯი აღმოჩნდა ქვენა იმპულსი.

მოშორებით იმის ქმარს ასო დაუფარდა. კაცზე ადრე იგრძნო ლალატი...

არც ქმარი უყვარს, არც სხვა ეჯავრება.

9. ქვას გაყოლილი ქვასავით

ერთი დღე მომცა, გამათბო, გამაძლო, დამასვენაო, ერთი დღე მომცა, არ მომწვედეს ამათ თვალი და ენაო.

ქვას გაყოლილი ქვასავით გავდევნებოვარ გზასაო, მე სხვა კაცობა მენადა, ცხოვრებამ დამიმსგავსაო,


განა ბებერი ვიყავი, მეც ბიჭად დავიბადეო, რაც გინდა თევზმა იცუროს, მაინც დაიჭერს ბადეო.

სხვა ბილიკები არა მაქვს, ამათგან დასახსნელები, ან იმით გავისენები, რაც ამათა სჭირთ სენები, ან ამათ ბრძოლა დამადნობს, სამარეს ჩავესვენები...

ჩემში არ არის არც ერთი — ჩემი, ამასა ვფიცავარ, სუყველამ ერთად გამჭედა, ასეთი, როგორიცა ვარ,

დედამ, ხალხმა და ცხოვრებამ, იმათ დაყრილმა ისარმა, რაც დაიტია გონებამ, გაუძლო გულის ფიცარმა,

რალა ჩემი, ნეტავი, ველარა გამოვიცანრა, ვერც კაცმა შემასმენინა, ვერც მიმკითხავა მისანმა, ვიცი, მაცნობებს სიკვდილი, ვინც არა ვარ და ვინცა ვარ.



10. გაზაფხულის პირზე

გაზაფხულის პირზე, ბურუსიან დღეში, ეტყობა, რალაც გემო აქვს მინას ღორებისთვის და ექსკავატორებისთვის:

ფანჯრიდან რომ გადავიხედე, მიმდგარიყო ცოტადლა დარჩენილ მინას პანანინა ექსკავატორი და წყნარად ჩიქნიდა.

პატრონი არ ჰყავდა, ექსკავატორი თვითონ იყო შემოჭრილი და ჟინს იკლავდა, სასურველ დროს და სასურველ ადგილას.

11. პაემანი სუფთა დროში

რაზეც ოცნებობს ჩემი ადამიანი, ეს არის: როგორ შევახვედრო ჩემი 14-15 წლის თავი შენს 14-15 წლის თავს, მით უმეტეს, რომ შენ საერთოდ არ იყავი დაბადებული, როცა მე 14-15ისა ვიყავი, მაგრამ ახლა, ამ ორი 14-15 წლის გოგო-ბიჭის ფოტოებს რომ ვუყურებ, ვგრძნობ, როგორ მიინევენ ერთმანეთისკენ უცხო დროები, როგორ უნდათ მანძილის დაფარვა და ერთმანეთთან მიახლოვება, როგორ უნდათ, რომ ორ ფოტოზე გამოხატული სხვადასხვა დროის 14-15 წლისანი ერთმანეთს შეხვდნენ, რადგან მათ სიყვარულს მხოლოდ ეს აკლია. შესაძლებელია ეს დღეს? თუ ეს არის სევდის უდროობა ან დროთა სევდა ურთიერთისთვის?.. იმას ის პალტო აცვია, იმას ის ქუდი ახურავს, ის მარტოა, ის ამხანაგებთან... და სხვადასხვა დროს უპყროა ორივე და ერთმანეთს ვერ შეხვდებიან. დღეს ერთად არიან, მაგრამ მაშინ ერთად არ იყვნენ, ეს არ იყო დაბადებული, ის კი დიდი ხნის 14-15ისა იყო და უყვარდა ვილაც-ვილაცეები, როცა ის ჯერ დაბადებული არ იყო. და მაინც, ორივე სურათზე უმანკობია. მაგრამ დღე, რომელიც იმ ფოტოების გადაღების დროს გარემო და ფონი იყო, აღარა ჩანს — ორივეგან ფონი ერთნაირია, ორივეს ფონი წუთისოფლის ბორბალი არის, შემეცნების ჭუჭყ-ფრთებიანი... ამ სურათებზე კი უმანკობია, რომელთა გამოც რალაც გინდა შეთხზა, რომ არ იყვნენ დროს დამორჩილებულნი. უმანკობა — სიმართლეა, რომლის გამოც გინდა იბრძოლო და ზღაპარი — უმანკობაა — შენიც, სხვისიც — რაზეც ოცნებობს ადამიანი თავის ყოველ დროში და აღმოაჩენს რომელიღაც სურათზე. უმანკობათა დიდი ურთიერთლტოლვაა საუკუნეებში...

ცეცხლგამძლე სტრიქონები

ანუ

რაც ქლიავებთან დამწვარ ხელნაწერებში გადარჩა

*

იმან, ვინც არ იგემა გამწარება სიყვარულისა, იმის გემო ვერ გაუგია.

*

ძლომის მერე სინანული, ავხორცობის მერე სევდა, გავურბოლი მაგრამ მაინც განუწყვეტლივ უკან მღევდა.

*

დავუბრუნდეთ ისევ, შენ შენს ცხოვრებას, მე ჩემს არცხოვრებას.

*

როცა ჩვეულებრივნი, როცა საშუალონი, სხვის იდეას ხარშავენ დაუნერულ კანონით...

*

სხვისი ჯიბრით ლექსის წერა არ გამოდის, იცოდე, იგივეა, სხვისი ჯიბრით რომ გინდოდეს სიცოცხლე.

*
ბროლის კოშკი შეიძლება ბნელ სოროშიც მოიხსოვოს.

*
ვისთვისაც მზე აღარ მზეობს, აღარც საათობს...

*
უცებ კაცი ქალს შეხვდება გაზაფხულის დილით და ეს არის საჩუქარი, მათთვის გამოწვევით.

*
ჰეი, თქვენ, ვინც ნიღბებს იკეთებთ, გახსოვდეთ, რომ სწორედ იმ წამს ძალიან მიშვლდებით.

12. ცოლი და პოეზია

შენ ამბობ, რომ პოეზიას არა ჰყავს მკითხველი, შენ ამბობ, რომ შენს ცოლს არა ჰყავს საყვარელი, ცრუობ, რადგან პოეზიას შენ არ მიჰყვები და არც შენს ცოლს უდგები. პოეზიას არ სჭირდება მკითხველი და ცოლსაც არ სჭირდება საყვარელი, პოეზია და ცოლი იმასა სჭირდება, ვინც მათ მიუდგება.

13. მთას აბრუნებული კაცის ამბავი

გაზაფხული რად მახსენებს სიყვითლეს შემოდგომისას, რომ ასანთლდება ალვის ხე დილისას, მზემოდგომისას, ეს ჭკნობა, ეს ყვავილობა, ბუნების ყველა მოდგმისა, მაგრამ დღეს შენ გამახსენდი უპირველესად ყოვლისა, რადგან მთაში რომ ნახვედი, დღე იყო შემოდგომისა...

პირს დაიდებდი კლიტესა, გუნებას დაიმძიმებდი, არც დღე გინდოდა, არც ღამე, დასწვოდი, დაიძინოდი, არც პურის გემო მოგწონდა, არც წყალი, თუნდ კლდის ნაჭური, აშურდი ძმა-მეგობართა, მთელ ქვეყანასაც აშურდი, ნეტა სიკვდილს რად ჩქარობდი, იქით რა გქონდა საშური, დაგკიდეს ხმალი მხარზეთ, დაჭრელებული აშურმით?

14. მერცხალი და ბელურა

ერთმა იხარა, იფრთოსანა, როგორც პეპელამ და მალე წავიდა ამ დედამიწიდან. მეორე არცა ხარობს და არცა ფრთოსნობს და მიწას აკვრია. ეს შუა დღისას ძლივს გაიღვიძებს, ეზარება ფეხის გადადგმა. ის დილასა და გარიჟრაჟს აბა, როგორ გამოტოვებდა! ფრთოსანობდა და იხარებდა, შუა დღისთვის უკვე სავსე ჭურჭელი იყო, მზით, ჰაერით, — სიხარულით სავსე ჭურჭელი. დედამიწა კი ამისია, ტყლაპვივით რომ ზედ აკვრია და არ შორდება.

— ნრიპ-ნრიპ-ნრიპ... ნრიპინება ბელურა მერცხლების ბუდის წინ. ისე გულისგამანვრილებლად, ისე თავმოსაბებრებლად, რომ ძნელი იყო მოთმინება არ დაგეკარგა. ვგრძნობდი, რა სატიკივარიც სჭირდა ბელურას, მაგრამ იმედი მქონდა მერცხლებისა, რომლებმაც იმისთვის როდი გადმოსერეს მთები და ზღვები, იმიტომ კი არ ვეძახდი კალატოზებს, ბუდეს რომ იშენებდნენ, რომ ახლა ამ გაქუცული ბელურისათვის დაეთმოთ ბუდეცა და ღირსებაც. ბელურა კი, თითქოს საკუთარმა სურვილმა გააქვავაო, ფეხს არ იცვლიდა შერჩეული ადგილიდან, არც ჭამა ახსოვდა და არც დასვენება, ნრიპ-ნრიპ, მოსთქვამდა, კვნესოდა, სამყაროს, ღმერთს შესჩიოდა, სამართალს ეძებდა... სხვა დროს გაანჩხლებოდა: აღარც ღმერთია და აღარც სამართალი!.. და ბუდეში მიუხტებოდა მერცხლებს. მე ვფიქრობდი, ამ ბელურას

ან სისხლი ჩაექცევა ან ჭკუაზე შეიშლება-მეთქი, ან ქარი დაავინყებს სურვილს ან წვიმა-მეთქი, ან მუცელში სკინტლი გაუქვავდება... მაგრამ ნურასუკაცრავად!

რამდენჯერმე მეგონა, რომ მეჩვენებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მერცხლებს მიეტოვებინათ ბუდე და წასულიყვნენ.

ახალი სატიკივარი გაუჩნდა ბელურას: ქონებას ხომ მოხმარება უნდა!.. გაიჩენა, გაიჩენა და ბურტყულს დაემსგავსა, გამურდლა ბუდე, კედლებზე ჭურჭრუტანები დააჩინა, გიჟს დაემსგავსა, აღარ ახსოვდა სურვილი რომ შეისრულა, ოცნება რომ აიხდინა, მაინც უბედური იყო და მაინც მოთქვამდა, ერთხელაც არ უზიმიდა. მე ვიცი, რომ ყველას უნდა პატრონის სახლიდან გაგდება და ათასში ერთი ახერხებს კიდევაც, მაგრამ ეს ბელურა რატომ იყო მაინც უბედური, ვერ ამეხსნა. იქნებ ეგონა, გამოიცვლებოდა? ნრიპ-ნრიპ... ეგონა, ბელურა აღარ იქნებოდა, ნრიპ-ნრიპ... რაკი სურვილს შეისრულებდა. — ისევ ის ბელურა ვარ? ნრიპ-ნრიპ, არ შევიცვალე?! შეცვლა მინდა, შეცვლა მინდა, ნრიპ-ნრიპ, ნრიპ-ნრიპ... ვერც შეიცვლები და ვერც მოიხმარ!.. სხვას რომ აქვს, გშურს და შენ რომ მოგეცემა, დაკარგავ, ამიტომაც გიჯობს დარჩე შენს შურთან, რაკი ის ყოფილა შენი ნიჭი და შენი ქონება.

— აჰა, შენ, ჩემი თავი, თუ მოიხმარ!..
— აჰა, შენ, სახლი და სასახლე, თუ შეიცვლები!..

15. ნვიმა

როცა ტაშს გიკრავენ, გგონია, რომ ტაშს გიკრავს სიკვდილი. ნვიმს. ვისაც კარგა არა აქვს საქმე ანგელოზებთან, შუუძლია, თავი ძილს შეაფაროს. მე ჯერ არსად მინახავს ქოლგინი ანგელოზი, სწრაფი ნაბიჯით რომ მიეშურებოდეს ცოდვილისკენ. რომ იყოს, მხატვრებს არ გამოეპარებოდათ და ჩაიხატავდნენ. მით უმეტეს, რომ არც ღმერთი გამორჩათ, არც წმინდანები. ყველას ხორცი შეასხეს, თითქოს გაიხსენეს ოდესლაც ნანახი... გაძვალტყავებული დონ კიხოტიც... გინდა დაინახო ტექსტიდან და, სიტყვების ნაცვლად, თვალეში შემოგეჩხირება კარიკატურა. თითქოს სერვანტესი პოეტი კი არ იყო, არამედ თოჯინების ოსტატი... და სანჩო პანსაც, ვისმა რწმენამაც შეინახა დონ კიხოტიც და იმის ნიგნიც, რადგან სანჩო პანსა რომ არა, დონ კიხოტი ქარის წისქვილებამდე ვერ მიაღწევდა, რადგან, რწმენა თუ არა, რაზე დაეჭვდები და რა მიგიყვანს ქარის წისქვილამდე. იმ მხატვარმა კი ისე დაგვიხატა, თითქოს ვიღაც თავზეხელაღებული, ისეთი სისწრაფით მიაქროლებდა მანქანას და მეორე ისე ფრთხილად ეუბნებოდა — ნელაო, რომ ორივენი კედელს შეასკდნენ, მაგრამ გადარჩნენ, რადგან სხვა სცენები იყო კიდევ დასახატი... დროა, ძალღი დავაბათ სიტყვასთან, რომ მხატვრები ვერ მიეკარონ. სიტყვა რწმენა და ეჭვია. მხატვრებმა ყველა სიტყვა დახატეს. ბოლო შედეგრი პიკასოს დონ კიხოტი და სანჩო პანსაა...

მხატვარი ცდილობს მკრეხელობას გაეცეს და ურწმუნოება მნახველს შეატოვოს. იცის, თვალების გარდა აღარაფერს ენდობა ხალხი, ადამიანს ცულისხელა სული აღარ დარჩა, არ მიიღტვის იმის იქით, რასაც ვერ ხედავს...

რაც თვალთა ჩანს, როგორ შეიძლება ის სულში იყოს.

წვიმს. ბავშვის ტიტინი სახლში პრობლემებს არ წყვეტს. როგორც წელს, შარშანაც უგაზაფხულო გაზაფხული იყო და უზაფხულო ზაფხული, შემოდგომა კი მაინც შედგა. მზე და მინა ადამიანების გარეშე გაურიგდნენ ერთმანეთს. ზამთარს ისევ ძველი სახელი ერქმევა, იტყვის ვილაც — წელი გადავაგორეთო. თვითონ გორაობდა. ხშირ-ხშირად ამონებდა ტელეფონს, გული უტყდებოდა რომ მუშაობდა, თვითონ კი წელს მიაგორებდა და ყველას დაავინყდა. გაიხსენა. ტელეფონი გუშინაც მუშაობდა? მუშაობდა. ძველმა ქალწულმა დაურეკა, გაახსენა, რომ ტაშს უკრავდნენ... ძალიან ძველი ამბავი უთხრა თავიდან. ყურძნის ქვეყნის ქალები ძალიან ერიდებიან ზოგიერთ ცვლილებას, ვაზივით ჯიუტებია, სანამ მწიფე მტევანი ჰკიდიათ, ძუნ-ნებია, არ გაგასინჯებენ, შენ კიდევ არ გიყვარს ჩამიჩი, ლეღვი გიყვარს, ლეღვის ჩირი არა. ოქრომჭედელი ნახელავზე აჭყეტს თვალებს და არა ოქროზე...

წვიმს. ჩემი საკუთარი თავი მაქვს პირში და უგემურია. ეს ისეთი ნუნკალი საქმეა, როცა ტაშს გიკრავს სიკვდილი. და როცა წიგნის მხატვრობა არ არის მის ფურცლებზე დასმული სიტყვები.

წვიმს. წვიმაში ყველაზე უაზროა სიტყვები. იმიტომ, რომ წვიმს. სიტყვა არ არის ბუნების სტიქია, მწერლობას შეუძლია დაიკვეხოს, რომ მან თვითონ შექმნა თავისი თავი. სხვა ვერავინ ვერ დაიკვეხნის, რადგან წრიპინი ყოველთვის იყო და ხესაც მუდამ ება ფოთოლი...

მდუმარეა სიტყვა სამყაროში. ბუნებაში წვიმს. ზოგიერთი წვიმა შენამდის ნამდვილად მოაღწევს, თუნდაც ტაშის მსგავსი.

16. მოთხრობა ცარიელი სახლის ბინადართვის

ამ სახლში ცხოვრობდა კაცი. წავიდა, გაცურა, გაფრინდა, არავინ იცის... მისი ბინის კარს რომ გაუვლიან, ფიქრობენ — დაბრუნდა, ნეტა?.. ასე გადის დრო. სახლი სავსეა ნივთებით — ზომიერად, ეტყობა რომ ცხოვრებით უკმაყოფილო კაცს არ უცხოვრია, არც ღარიბი ყოფილა და არც მდიდარი და თუ კედლებზე დაკიდულ სურათებს და სხვა ხელოვნების ნიმუშებს გავითვალისწინებთ, თუ გავითვალისწინებთ კარადაში და თაროებზე გაყინულ წიგნებს, მოზრდილ ოთახში ეულ საწოლსა და საწერ მაგიდას, შეიძლება ზოგადად დავასკვნათ, რომ კაცს ამ ბინაში დროის იმ ზღვრამდე უცხოვრია, როცა მაგიდაზე წერდნენ და არც წიგნებს აკლდათ სიცოცხლე.

17. ორნი სხვადასხვანი

ორნი სხვდან სკამზე. ნელ-ნელა მხეცებოვით ერთმანეთისკენ შტერიალდებიან. უწყინან, რომ ერთმანეთის ენა არ იციან. გრძობენ, რომ ღმერთი ჩასჩურჩულებთ — ილაპარაკეთო. ინყებენ საუბარს. ადამიანები ერთმანეთის სისუსტეებს სცემენ პატივს — ალბათ ამის იმედით ჩასჩინებდათ ღმერთი, — ილაპარაკეთო!

თითქოს ორი სავსე ქვევრი ერთმანეთის გვერდით იცლებო. ცხოვრება იციან (ამას ვერც ერთს ვერ დაუყარგავ), ამბები და თავგადასავლებიც ხომ ყველას თითქმის ერთნაირი აქვს... ყველა მდიდრისა ჰგავს ერთმანეთს, ყველა ღარიბისა განსხვავებულია...

იქვე დგას თუჯისფერი მამაკაცი — ცოლს ელოდება. ესეც, ვინც აქაურია და არ სჭირდება აქეთ-იქით კატასავით ყურება, ცოლს ელოდება. იმის ცოლიც და თუჯისფერი ქანდაკებისაც ვეშაპოვით დიდ სავაჭრო ცენტრშია ჩაყლაპული. შენობას რალაც ანერია ამყად... აქ ყველა შენობა ყვირის თავის სახელს, კაცი კი მალავს.

თავგადასავლის მოსმენა, თუკი ენა იცის, ყველას შეუძლია. მაგრამ რატომ უნდა აიკიდოს სხვამ სხვისი ბარგი? ერთმანეთის ენის უმეცარ ხალხს კი ერთმანეთის გულის სმენა შეუძლია. შეუძლია მელოდიას ისმინოს მეორის საუბარში და იმით შეიცნოს, რადგან, ჩემი წყალობით მთელ აღმოსავლეთ-დასავლეთში კარგად იციან: ადამიანში მეტია სიტყვები, ვიდრე სათქმელი.

როცა მთელი არსებით ისმენ მელოდიას, შემქმნელსაც იხილავ. დაინახავ, რომ ავტორი, მელოდიას რომ ქმნიდა, თან ათას სისულელეებს ფიქრობდა და შიგადაშიგ ისეთ უხამს სიტყვებსაც კი წამოისროდა, რომ გაგიკვირდება, შენ, თაყვანისმცემელს, რადგან გამოთაყვანებული ხარ შენი თავით, ის კი თავს ებრძოდა, უღრენდა ახლობელსაც და შორეულსაც. პირით ბრაზს იცოხნიდა და ნერდა ტკბილ მელოდიას და ბოლოს თავიც შეჯავრდა, რომ ტკბილი დანერა და შენ გაგახარა, მაგრამ იმ წუთებში, აცტებულნი რომ იყო, ყველა უყვარდა და თან ეჯავრებოდა, რომ სხვისთვის ნერდა ასე ტკბილ მელოდიას...

განათლებული კაცი იტყოდა, რომ დისკურსში მეტი სიტყვებია, ვიდრე სათქმელი. მე კი გეტყვით, რომ მელოდიამ იმდენი სიტყვაა, რამდენიც იმ წუთებში გესაჭიროება. განათლებულმა არ იცის, რომ როცა შენთვის უცხო ენა ისმენ, შენი გული ისმენს უმთავრესს, ანუ იმდენ სიტყვას, რამდენიც კაცში არის სათქმელი... თანაც იქ, იმ ენაზე მუდამ რალაცა ხდება, რასაც ვერ ეღირობები მშობლიურ ენაზე.

გაგებაც მეტია, როცა ერთმანეთის ენა არ ესმით და ადამიანობით დაცურავენ ერთმანეთისკენ. როგორც ჩანს, ყველა ენა ბაზარში იშვა...

დაუფრამენტებლად რომ ჩადო სინამდვილე ადამიანში, დაიღრწობა, ვერ გადაყლაპავს. ამიტომაც ფრამენტდება, ერთად არ ეძლევა. ყველაზე გრძელი ფრამენტი იყო ტროას გალავნის კედელი, მერე „ილიადა“, რომელსაც ხარის ტყავის ჭაპანი ჰქონდა შემოკრული, რომ არ დაშლილიყო, რადგანაც ბევრს დაატარებდნენ ხმელზე თუ ზღვაზე... მაშინ ადამიანი მხეცს ემსახურებოდა, ანუ გმირობას, ამიტომაცაა რომ ამბობენ, თითქოს „ილიადა“ და „ოდისეა“ ერთი ვენახის ღვინო არაა... ახლა „ოდისეას“ უფრო სვამენ, ვიდრე „ილიადას“. დღეს ადამიანი აშენებს თვალგაუმტარ გალავანს, რომ შიგ თავისი ჩაღის კოშკი დადგას და ტყუილს უმღეროს.

ერთი ეპროსაქანელაზა

— ფუი, ეს რა ქვეყანა ყოფილაა, რა ხალხი და რა ისტორია! მაინცადამაინც ავტობანზე მოგასკდება შავი ტალახივით, რომ გაუშვა საჭეს ხელი და გადაიჩეხო. უნდა დავითესო.

გინება გამოსვლისას მოსულა და არა შესვლისას,
„ამ ცხოვრების დედაცო“ — მოხუცს უფრო შეშვების,
ვიდრე ახალგაზრდას...
მაგრამ, რითი უნდა მოტყენოს?

ნეტა კატამ რა ენა იცის?
იცის სიყვარული, — დამტკიცებულია!
მაგრად აფიქსირებს სამივე განზომილებას
თვალთ და ყნოსვით
და ამ უნარით დაცუნცულებს ცხოვრების გზაზე.
მაგრამ თვითმფრინავში?
ფრენა რომ იცოდეს, ალბებიდან გასროლილი
თავისუფლად მიაღწევდა კავკასიამდე.
კატის ამ უნარს ეფუძნება არიადნეს ძაფის ლეგენდაც.

გულის ბაგაბუგი, ჩლიქების თქარათქური,
თვითმფრინავის გუგუნი.

ჰაერი საკუთარი მინის საზღვრების იქით.

გიგანტი რაგბისტები, დობილებივით ერთმანეთს
დაჰყვებიან მოსაფსმელადაც.

დედამინა არის ტატუირებული ადამიანი,
უსაზღვროა მისი გეოგრაფიული ცნობიერება.
ანუ, ადამიანი ტატუირებული დედამინაა.
იქ დავეშვებით.

ძუაგამონასკვული, ჩალისფერი სტიუარდესები.

ბავშვობამოუთავებელი ბებერი ბავშვები.

ჯერ ხატავენ მინას და მერე ცხოვრობენ.

— თქვენთან რა არის ეიფელის კოშკი?
— ჩვენთან ეიფელის კოშკი არის მთა-თუშეთი.
ბუნების ხელიცაა და ადამიანისაც.

ჩვენ არ შევყურებთ ბუნებას ხელებში.
ჩვენ ადამიანის ხელით შექმნილი გვაქვს გაბუნებრივებული.

პოეზიაშიც ხომ ორივეს ხელია, ბუნებისაც და ადამიანისაც.

ცივილიზაცია არაფერს არ უარყოფს, არც ხეს, არც მელიას.
ცივილიზაციისთვის შეურაცხყოფელია ადამიანი.

მრავლადაა თვითმფრინავები, როგორც ცაზე ჩიტები.

ყოველი საქმე სერიოზულობის შედეგია, პოეზიის გარდა.
ყოველი საქმე წარსულად იქცა, პოეზიის გარდა.
პოეზია, რომელიც სერიოზულ საქმეებში დაიკარგა.

სარეცხის თოკი გაქრა ფანჯრების წინ. ადამიანები მხოლოდ
იგულისხმებიან, როგორც წარსული.

ცხოვრება გახდა კატად და ძალად გადაცმულ პოეტ-
ზე შურისძიების ფორმა, უარყოფენ, რასაც ვერ აღწევენ.
ხალხის ჩამოვარდა ცისთვის შედგმულ კიბიდან,
ფუტკრის სკების თავზე დაფრინავენ თვითმფრინავები.
მომავალში იქნება მეტი სისუფთავე,
რადგან ხალხი თავის თავში ჩაიყრის ნაგავს.
თავის ფუყეში.

იგრძნობენ ხალხები: ზრუნვა არის
დაპყრობის საუკეთესო საშუალება.
გაიქცევა პოეტი, გაუჭკოვდება, გაკატავდება,
გაძალდება: — არ მინდა ზრუნვა!

ხალხი ჩაჰყოფს ხელს წარსულის საგანძურში და ამოი-
ლებს იქიდან აგრესიას. დამყარდება წესრიგი.
უზნეოდ გამოპრანჭული დედაბერი გულაღმა დაეცემა,
ძველი ნახიშტარია.

პოეტი კი ნაწვიმარია, გარბის, რომ არ იყოს რჩეული,
რადგან ხალხს ძალიან უყვარს რჩეულები მშობლიურ მიწაში.
პოეტს არა აქვს პური, მაგრამ აქვს ინსტინქტი, რომ არ
იყოს რჩეული,
რადგან, ერთხელ, რომ შეცდა და შეიქნა რჩეული,
ქალმა დააფსა, რომ იყო მძინარი.
პოეტს არ უყვარს წესიერება, რომ არ იყოს რჩეული და
ჯვარზე არ აცვან.
აქიდან გამომდინარე, ძალიან ეშმაკი ვინმეა,
აღრე თუმცა იყო ანგელოზი, როცა გამოაგდეს,
მაგრამ სთხოვეს ანგელოზებმა ღმერთს ეშმაკის თავი
და იმანაც დაუთმო,
რომ ჯვარს ეცვათ ანგელოზებს თავის მკლავებზე.

ვილაც ცხოვრების შიგნითაა, იქნევს ხელს, ფეხს, ყბებს.
ვილაც ცხოვრების გარეთაა,
ამჯობინებს უყუროს,
ვილაც როგორ მოხვედრილა უბედურებაში,
გაჭყლეთილა, სისხლი სდენია,
ვილაც გაქცეულა, დამალულა, დაუჭერიათ გამთენიისას.

ეს შაშვიც, რომ დაფრინავს, ნეტა რა ჰგონია. მოკვდება
და წიგნივით დაიკვცება. გადაუვლიან მანქანები,
გააბრტყელებენ, როგორც ქალამანს.
მარტო ნისკარტის წვეტივით იცნობ,
რომ აქ ოდესღაც შაშვი ყოფილა.
უფრენია, უმაკინტლია, უკრიფავს მარცვლები.

ხუთას-ექვსასი სახლია და ორიათასზე მეტი ფანჯარა.
არც სახე ჩანს, არც ჩრდილი კაცისა,
ფანჯარაზე მტრედი ზის, რუხი, ჭყუკის ხელა.

კუბოს, რა, ნაკლებ სათუთად აჭედებენ?
მკვდარს ნაკლებად სათუთად მალავენ?
ეტყობა ან მკვდრებია, ან დაზღვეულები.

გაკრთა ერთი მეზობლისთვის — ხეებს შორის —
მეორის ლანდი,
მაგრამ ვერ მოასწრეს ერთმანეთის თვალთ აღბეჭდვა,
როგორც თოვლის კაცის.

ასაკს ამხელს მოგონებები.

თითქოს ცხოვრება ბრძანა არქიტექტურამ,
თითქოს აღარავინ არის ცოდვიანი და
ცარიელია ეკლესიები,
თითქოს თვითონვე პატიობენ საკუთარ თავს,
რადგან დანარჩენ დანაშაულს დაჰყვება კანონი,
მე კალიასავით ვარ ერთთანაც და მეორესთანაც.

ინდიელები უკრავენ ჩასაბერ საკრავებზე,
შორს მიდის ხმა მგლების ყმილივით.

სიმარტოვე დადის გაღიმებულებში.
აგრესიას აფრენა უნდა და ელის აქშევას.

თითქოს სადღაც პარადი დაიშალა. ბევრია ხალხი.

შემართული მოხუცები სამკაულებს ასეირნებენ.

ქვა-ზვინივით მაგარი ტრაკი, ზარბაზნივით შემართულია,
— ბუჰ! თუ დაიძახა, ფუტკარივით წამოვა კოროხი,
ცა დაიფარება, დაცვივა ხალხი.



დროს, თუმც არავინ იკითხავდა, მაჯაზე ყველას ეკეთა საათი...

ზარი თქვეს მგლებმა.

მელია არ დაელოდა დარბეული ნაგვის ტომრის პატრონს. დგას პატრონი გვერდგამოჭმულ ტომარასთან და მაინც ელის.

მიდის მოხუცი. ჭმუჭნიან ჭიანჭველებივით უსახო ფიქრები, დასვეიან ნაწუნ კამფეტით. არ უნდა შვილიშვილებით დაქსელილ ჰაერში, ჰგონია, რომ ბაბილონის კედლებთან მიდის, ჰგონია, რომ ის გაიმარჯვებს, ვინც სამივე ფერი იქნება.

სხვა სიზიფე ინვალიდის ეტლს აწვება, აიყვანს ქუჩის თავში შიგ ჩამაგრებულ ცოლს და უკან ეშვება.

მთავრდებიან და ისევ იწყებიან, გეგონება მუნიციპალიტეტი უხდით ჯამაგირს. მხატვარმა გაყიდა სურათი და გარბის ფულის დასახურდავებლად, მუსიკოსი ინდიელები ეწყობიან ინდიელებად. პოლიციასთან კატა-თავგობანის თამაშის რიტმში ცხოვრობენ წვრილმანი ღამნაშავეები.

დილაა საქმეში: აღებს ქუთუთოებს კაცისას, ძაღლისას. ჩიტების ნისკატრებს მალა ეწევა.

კატა დასეირნობს ეზოებში, ლამის ყველასია, როგორც ჰაერი, კარს უღებენ, როგორც ჰაერს და გულწრფელებია. ვილაცისა რომ იყოს, ეჭვი გაუჩნდებოდათ, მაგრამ არავისია და მით ყველასია.

თუმც ამ მიწის კუნჭულზე იმიტომ ცხოვრობენ, რომ დაცულად იგრძნონ თავი, მაინც კი ყველას ამბავი

ერთი კორექტული კვნესით მთავრდება (კორექტული ნიშნავს, როცა არ გინდა რომ შენი ხმა სხვამ გაიგონოს).

— „კიდევ კარგი, ძალი მაინც მყავს.“ — ასეთია აქ ცოცხლების ეპიტაფია.

კატას ყელზე აქვს შებმული ჩამწერი და სტუმრობს მეზობლებს, რომლებსაც ერთმანეთისგან მთის მოსახლეებივით ქვის კედლები კი არ იცავს, არამედ პრობითი ნიშნები: რა შეიძლება და რა არ შეიძლება.

მაგ.: „არ შეიძლება აქ ძაღლის მოკუკვა!“

რაც არ არის „პრივატე ვეგ“, ის ყველასია. როგორც ჰაერი, როგორც ეს კატა, რომელსაც ყელზე ყელსაბამი ჰკიდია.

ყველა დილა ნულიდან იწყება, ანუ იგივედან. სამზარეულოში თავდაპირველი წესრიგი და სისუფთავეა, თითქოს გუშინ იქ არ ყოფილან. თითქოს კაცი თავის კვალის წამშლელი ცხოველია.

ყვაველებმა დაინყეს გულთა ცხოვრება. ზოგის ხმაზე ჭკნებიან. გააგდეთ დედამინის ძაღლი, გაჰყევით კუდში და სადაც მივა, იქნება — სამოთხე.

ეს ადგილი სამოთხე არ არის, ეს ადგილი სამოთხიდან არის ძალიან კარგად გადმოხატული. აქ ცხოვრობენ ძალიან ბევრი ადამი და ევები, რომლებსაც ხანდახან აკითხავენ აბელები და კაენები თავისი ნამრავლით.

— სამოთხეში რომ მაპატიმრებდნენ, უჩინარი მორბე-

ნალისგან გათელილი ლოკოკინა გამახსენდა.
კარგი იქნებოდა, თავგადასავლის ასე დაწყება.

— მე ვიყავი ტოკიოს პრეფექტი!
— მე ვიყავი პარიზის პოლიციის შეფი!
— მე საგარეო საქმეთა დეპარტამენტის უფროსი გახლდით.
ბევრ კარგ ადგილას შემეძლო ცხოვრება, მაგრამ ჩემი ცოლი პიანისტი და ამ ტყის პირას ამიტომ ვარჩიეთ.
სახიფათო ადგილი გგონიათ? მეღვინეები, ციყვები, მგლებიც კი, რადგან შვლები, ირმები... ასეთ სცენებს მიჩვეული ვარ სახელმწიფო დეპარტამენტში.

„ხომ არ გშინა?“ აქ სოფლური ჩვევა ჰგონიათ, უცხო სტუმარს რომ კარი გაუღონ და სუფრა გაუშალონ, გაუგებარია.
ეს კატა კი არც მშვიდია და არც ეტმასნებათ და მანძილსაც იცავს და ძალიან მოსწონთ. ოღონდ კი უკვირთ: — რა ჯიშიაო?

ადამიანებს კარგად ეხერხებათ, სულელური დღესასწაულების მაძღრისად აღნიშვნა.

ოცნება ბევრს გაახსენდება. იტყვიან — რა ერქვაო? გაჰკრავენ ხელს ჰაერში დაკიდულ ხის ცხენს, გააქანებენ. აიქნეს ცხენი ლამაზად მიკრულ ფრთებს და გაფრინდება, ნალებს გააბრჭყვიალებს... შეჰყურებენ ჭკუანაკულულებივით.

მიგდებული ქვეყნებიც არის, მიგდებული ხალხები, სადაც სჯერათ ოცნების, სადაც შოკოლადის კამფეტი უკონკურენტო გარემოში კი არ მოხვდება, არამედ სიმრავლეში.

რითი ზომავს ეს ქალი შიმშილს, ნეტა? ჯობით თუ სინდიყით? მთელი ოჯახი შრომაში ჰყავს, რომ არა ჭამონ.

ძნელია, როცა დედინაცვალი ხარ და გერი არა გყავს.

ავისმომასწავებელი წესრიგი და სილამაზეა. ღიმილი იკრიფება ეკლებში.

აგერა, კატა: გაღებულ კარში დგას.

აქ ცხოვრობენ ლაპარაკით გამოირიყულები და შეგონებებით გადამთვრალეები.

ქალებს ეშმაკის ბენზინი უსხიათ.

ხალხი: შავი — თეთრი — ყვითელი... ყველანაირი სისწორის და დაგრეხილობის, პატარა აღმართზეც გიდი მიუძღვებათ.

შვიდი ენა იცის და, წარმოგიდგენიათ, რამდენი ეზოგებათ ფირმის მეპატრონეებს?

შავი — თეთრი — ყვითელი... ერთმანეთის სარკეებია. ამათი ქალები დადიან და ვერ აურჩევიათ, უყურებენ, ატრიალებენ, აქეთ გადასწევენ, იქით გადასწევენ... ვერ აურჩევიათ.

ქუჩა ახალგაზრდებითაა მოფარდაგებული. რაც კი არის, ყველა ფერია: თეთრი, შავი, ყვითელი... ერთად უნდათ ყველას, ერთ ნახატზე... სჩანს, იქმნება ახალი ხალხი, ახალი რასა დედამინისა. სჩანს პირი-პირს მივლენ კონტინენტები.

კაიტანიმალაქერაკაბაკოსტუმრედიკიული...

იყავ ჰაერში ფოთოლ-ბალახთაებრ.

ვილაცა დაჰქრის ამ დილაუთენია, ნიავევით თავისუფალი, ვილაცა მღერის, ჩემთვის რგებულ მზეს ფეხქვეშ გავეგები, ვილაცა მღერის, რაც მე მინდა, ის ჩემს გარეთ არ იყიდება, ვილაცამ თურმე უთხრა ვილაცას, არავინ არ მინდა მე შენს მეტით...

ჰაერივით ვარ. სანამლავს არ ვმალავ, ნანერს არავინ მიეტანება. — ესეც ვიცოდი. — საიდან? — რაც ნატურას აღარ ხატავენ, რაც ამბობენ „მე ასე ვხედავ...“ რაც საიდუმლო აღარ გააჩნიათ...

— რაც ბარგს გისინჯავენ... — თუ გინდა, რომ შენი საიდუმლო არავინ გაიგოს, გულში კი ნუ გაიჩერებ, ნიგნში შეინახე. ნიგნი სეიფია, ძნელი არის მასთან შეჭიდება, გულს კი საიდუმლო ისე აწვალავს, როგორც ქათამს კვერცხი და საბუდარი თუ ვერ იპოვა, ჭინჭრებში დადებს. შენ საიდუმლო შენს ნიგნში დადე. შენც დაისვენებ და საიდუმლოც შეგენახება. დღეს, ისედაც, სიგარეტის მოწევა და პირდაპირ თქმა აკრძალულია, დღეს ადამიანში დისკურსი მეტია, ვიდრე სათქმელი, სურვილი მეტია, ვიდრე წელი ასი-ასოცი...

ერთგან სიმდიდრეა და ერთგან სიღარიბე. ეს ორივე საკმარისია, რომ იარო თვალდახუჭულმა. საშუალოობამ ჩვენს დროში პოზიტიური შინაარსი შეიძინა. უნდათ, პოეტი გამოჭრიან მაკრატლით, ან იატაკიდან ლურსმანივით ამოაძრონ, რადგან პოეტი სწორი არ უნდა იყოს, დაბრეცილი უნდა იყოს და ქარგზე მოჭრილი. რადგან ყველაფერი გონების ეშმაკური ტექნოლოგიის შედეგია, პოეზიაც მის ხეზე შებმული ნაყოფია, პოეზიაც ეპოქის შესაბამისია, პოეზიაც ტექნოლოგიაა, პოეტები იატაკიდან ამომძვრალი ლურსმნებია, გაზომილებია, აწონილებია, თავმოგრეხილები და დაჭეჭვილები, მაგრამ აუცილებლები საზოგადოებისათვის, რომ ცოტა მაინც ვინმემ გაატრაკოს და რომ თქვან — პოეტი!

როგორც კი ილვიძებს დედამინა, ბრჭყვიალებს მინები და ალუმინები, თითქოს იყოს ალპები ანდა კავკასია. სილამაზე დაკარგა ბუნებამ,

ბუნებამ არქიტექტურას დაუთმო ადგილი, ბუნება განთავისუფლდა მძიმე ტვირთისაგან. იმიტომ, რომ ვაკეა და არა მთები. ბოლოსდაბოლოს დაფიქრდა არქიტექტურაც: — დავლუპო ქვეყანა?.

პოეტები გაჰყვნიან ბუნებას, შეიმალენ მის ნაოჭებში, რადგან როცა წარღვნა კვლავ გადაივლის, გამოიშალონ: ჰომეროსიარქილოქედაშექსპირებირუსთაველიდანტეებიბარათაშვილი... მანამდე კი დისკურსებიწარატივები და სიტყვათწყობის ტექნოლოგიები, დაბრეცილები, მოფარფატეები, ზეთჩამომდინარნი, სივებით, პროექტებით, ზურგჩანთებითა და კურიკულუმებით, მოჭრიან თიხას და ადამებს გაატირაუებენ

და ევასაც, რაღა თქმა უნდა, შრომით დაქანცულნი.
 არ მიიღებს მათ პროდუქტს ჰომეროსი, არც არქილოქე,
 არც არავინ, მნკრივიდან გამობურცულები,
 ეტყვიან, გასწავლით:
 — თიხა თქვენი ნერწყვით მოზილეთ,
 გამოძერწეთ თქვენზე უფრო ჭკვიან თითებით
 და რომ დარწმუნდებით, რომ სრული ხატია,
 სული ჩაბერეთ.

ამის მერე წადით, ის კი მარტო დატოვეთ.

ყურს არ ათხოვებენ!
 ამოვლენ თავ-თავის ურნიდან სიტყვის მწერლები,
 დაჭმუჭნული ქალაღივით გაშლას ეცდებიან,
 ეცდებიან, გაიშალონ პოეტის ზომაზე,
 იქცნენ ფურცლად, რომელზეც წერდნენ პოეტები.

დღეს ბევრი დაუმწვარი ფურცლის სულია ჰაერში.
 დღეს ლექსი ცეცხლით აღარ გამოიცდება.
 უფსკრულის მაგივრად პოეტები ცვივიან ურნაში.

სამყაროს მეწე

— სამყაროს მეწევე, სჯობს ის გვიტხრა,
 იქ რა სიტყვა მიგაქვს.
 არა აქვს მნიშვნელობა,
 აქ ადამიანები დაგგლეჯენ თუ
 ადამიანის უფლებების დამცველნი.

— მე სამყაროს მსტოვარი კი არა,
 სამყაროს მეწევე კი არა, ს ა მ ყ ა რ ო ს ყ უ რ ი ვ არ,
 სამყაროს მეწევე კი არა, ს ა მ ყ ა რ ო ს ბ ა გ ე ვ არ!

შეხედეთ ხალხებს, ჩაიხედეთ მათ გართობაში,
 ნახეთ, თამაში ხალხს როგორ ამხელს...
 შედით მათში, სადაც მხოლოს ფასები წერია...
 გამობრუნდით.
 გინდ ეულად, გინდ ტურისტულად, იარეთ ქუჩებში,
 ბაზრობებზე, სტადიონებზე... თან იქონიეთ ღიმილი და
 აგრესია და ღრიანცელიც არ დაგრჩეთ სახლში. იარეთ,
 იარეთ, ნაუჭამეთ, ნაუნრუპეთ, ნააფსით, ნაცურცლეთ,
 და, მერწმუნეთ,
 ჯოჯოხეთი აღარასდროს წარმოგესახებათ...

აუყევით მონმარტრს,
 სოდომის ენასავით რომაა გადმოგდებული.
 იარეთ, იარეთ... კვლავ ნაუჭამეთ, ნაუნრუპეთ, ნააფსით,
 ნაცურცლეთ, ნაიკითხეთ,
 რაც მონმარტრზე ქვაფენილით არაკი წერია...
 და, მერწმუნეთ,
 ცუდი სიზმრის ახდენისა არ შეგეშინდებათ...



— შეხედეთ, შეხედეთ,
 რანაირად მიდის ქართველი შუა პარიზში,
 თუმცა თავიც და ჯიბეებიც ცარიელი აქვს,
 ისე მიაბიჯებს,
 თითქოს სავსე ჰქონდეს ერთიც და მეორეც.

მაგრამ ქართველს რას მოვერევი!

სანაცვლოდ, მინდა ატომი დავაჭკნო.
 მინდა, ყველა ქვეყანა
 თავის ცოდვა-მადლით დარჩეს თავის თავთან,
 მინდა, ყველა ხალხმა ჩაიხედოს თავის ფუყეში,
 მინდა, დამჭკნარი და ცარიელი ჭები ხელახლა აავსონ...

**მხიარული ბოლო
 ანუ
 კორესპონდენტი გოგონა
 გაზეთ „ეზოფსელიდან“**

რა კარგი დრო იყო,
 დილის ფოსტა იყო, სიტყვის ფოსტა — გადაძახილი,
 რძის ფოსტა იყო...
 მიგვყავდა ბოროლები და მივიმღეროდით:
 — ადრეკილა ეო, ქალებს შავუნთეო!
 არც სიტყვა ვიცოდით, არც აზრი ვიცოდით,
 მაგრამ მივიღოდით და
 მივიმღეროდით დაშუშულ ტურებით
 მინისა, ცისა, ჰაერის სიმღერას...

ეს იყო ჩვენი ჰომინი, იმაზე ვიღვიძებდით,
 ის უღერდა ბუნების საკუთარ შვილებში,
 დილას, შუადღისას, საღამოს, ძილის წინ,
 ყოველ ნახევარ საათში ისარივით გვმართავდა.

ადამიანები, როცა მართლებია, — ცალ-ცალკე არიან,
 როცა ტყუიან, — ერთად.

— მარი... მარი... მე არ ვწერ,
 მაგრამ მიყვარს ლექსები... ბატონო ბესო...

სახელია კიდევ ერთი, რითიც ადამიანებს
 ერთმანეთის არაფერი არ გაეგებათ...

კაიტანიმალაქერაკაბაკოსტუმრედიკიული...

სამი თუ ხუთი წლის წინ, მეტროს რომ ველოდი,
 ახალგაზრდა ქალი მომადგა კდემამოსილებით,
 რითაც თავის თავს უფრო იხატავდა,
 მე კი გარეგნობით უნდა მოვეხიბლე —
 ჩვენს დროში რაღა დროს ვინმეს პატივისცემა...
 მარი — კორესპონდენტი გაზეთ „ეზოფსელიდან...“
 რომელიც იკვლევდა სკაბრეზებსა და ვულგარიზმებს,
 იმ უამიდან მოაქვამამდე
 და რაკი პირით არ წარმოითქმოდა,
 ფურცელზე დამინერა ისეთი ორი სიტყვა,
 რითიც ახლა ჩემს ნაწერს ვერ გავაუნმინდურებ.
 — აი, რაებს წერენო!
 დავიბენი. ვუთხარი, რომ ასეთ რთულ თემაზე
 აქ ვერ ვისაუბრებდით და
 რაკი მატარებელიც მაშინვე ჩამოდგა,
 გახარებული დავთანხმდი სადმე შეხვედრახე.

სამი თუ ხუთი წელი რომ გავიდა,
 ეს ქალი მე სახლში მეწვია.
 კაიტანიმალაქერაკაბაკოსტუმრედიკიული...
 და კდემამოსილება.
 იმას არ მოვყვები, რომ აღარც მახსოვდა,

რომ თმაში აქა-იქ ჭაღარაც შეპარვოდა, მაგრამ სწორად იდგა, კარგად გამართული და ზაფხულის წესზე ბუნებრივად შიშველიც ეთქმოდა. რაც მთავარია, და, რისთვისაც იყო მოსული, ისევ სკაბრეზები და ვულგარიზმები... გადაშალა ბლოკნოტი და დამინერა ისევ ის სიტყვები, — აი, რაებს წერენო! „კი, მაგრამ აქამდე ვერ გამოსცადეთო?“ — მინდოდა მეთქვა.

— გახსოვთ, ჩვენი საძრახისი ზნეობის ქალები ბუჩქებზე რომ იდგნენ ხოლმე, ერთად თავმოყრილები, ჩაერია თურმე გამწვანების სამსახური და

ხეებით გადაანანილა ანუ დარგო ერთმანეთისგან გარკვეულ მანძილზე. ამათ კი ერთად შიში აბუჩქნარებდათ, არათუ წესრიგი, თავის დასაცავად ერთად ნახირობდნენ, თორემ ერთს ჩაისვამენ ხოლმე ბიჭები მანქანაში და ალლაბუცებენ,

ვითომ ევაჭრებიან და თავზე აფსამენ... ითმენს ის ერთიც, უხურს საფეთქლები, უსივდება გული და ღიმილს არ იშორებს და მანქანიდან რომ გამოაბუნძულებენ, ჭიტლაცსაც აიკრავს.

ამ დროს კი, კონტინენტზე გადაკიდებული ხურჯინის მეორე თვალში, მაღალი პროფესიონალიზმით აღჭურვილი მანდილოსნები,

რომლებსაც „ბოზს“ არავინ ჰკადრებს, თუ თავი არ გაუწირია, ტყვიანობით მინებს იქით, გალიებში მოძრაობენ ნართის ტარივით და ჭერს შესცქერიან, არა თუ მუშტარს...

ნაირფერი ქალებია, ზოგი კეთილი ცოლი ჩინოვნიკ ქმარს გალიების წინ დაატარებს — ასახურუშებლად.

ზნეობა ისეთი მუხანათი ცნებაა, რომ ვერ გაიგებ, ვითარდება თუ უკუდმართდება. — გახსოვთ, იყო მეძროხე, იყო მეხრე, იყო მეცხვარე და, მეღორეც, ხომ გახსოვთ, იყო და მექათმეც გაჩნდა შემდგომში... და ვინც კარგი — ეიყო, იმათ მსგავსი დღესაც იმეა მე-ძალის სახით, რადგან ქირაობენ ძაღლების მწყემსად. არ გამოგრჩებოდათ, თქვენ მე-გაზეთეთ...

ჩაუწყობენ საგზალს მეძალეს ცელოფნის პარკში, იმის მსგავსად, მეძროხეს რომ ჩაუდებდნენ პურს ტყავის გუდაში, და, ჰერი, პარკში... მეძალეებზედ ორივე სქესის ხალხები არიან, დაურევენ ხოლმე ერთად ძაღლების ნახირს, რომ ერთად იყონ. აქაც გზა მიდის დიდ-პატარათა გაერთიანებისკენ, ჯერ ინსტინქტით, რადგან პროფკავშირი არ გააჩნიათ...

ამიტომაც, ერთმა აეროსტატით გაბერილმა ძაღლმა მსერიანებელი ქალი გაიტაცა და დღესაც ეძებენ პატრონები ძაღლს (ქალს პატრონი არ გამოუჩნდა). მეორე, ხოჭოსხელა ძაღლის მსერიანებელი ქალი, რომელსაც ჯიბეებში აგურების ჩანყოფი დაავიწყდა, ამოვარდნილმა ქარმა წაიღო. ერთ ხვადს, ამძუნებელი ძუკნას სუნი მოუვიდა ქალაქის ბოლოდან და ისე ძალუმად გაიწია, რომ თოკიანად ხეს შემოახვია ხნიერი, მაგრამ მამაცი მეძალე.

ისიც დიდად საინტერესოა ადამიანის შემოქმედებითი წარსულის კვლევისთვის, რომ მეძალეებს შორის თავისით იბადება ხელოვნების დარგები (როგორც ქვის ხანაში).

ზოგი ხეებზე ხატავს, ზოგი მინაზე, ზოგი კი შაირობს, რაც იმას ამტკიცებს, რომ სიტყვა მუდამ იყო პირველი... ჯერ ერთმა გაბედა სიტყვათ-თქმანი, მერე მეორემ და ეხლა უკვე ერთმანეთს აკითხავენ.

მაგალითად, ერთ-ერთმა პირველმა მეძალე ბესომ, რომელიც ადრე მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობაში მუშაობდა, შეიძულა მეძალე ქალი — კუკა, რომელიც ადრე ქალთა კოლონიაში მუშაობდა ზედამხედველად და დედას ტირობდა პატიმარ ქალებს, რომ არ მიეცათ, რადგან თვითონ, კოლონიის უფროსი ვინც იყო ხოლმე, იმას აძლევდა.

„ჩვენს ქალბატონ კუკას, ტრაკი ქვირითს უგავს, მინისპირზე დააცურებს, ბალახებსა კუდავს.“
ან: „როცა კუკას ძალი კუკავს, ისეთ თვალთ უცქერს კუკა, გეგონება თვითანც კუკავს, რადგან კმაყოფილება, რომ წამოვლენ გზაზე უკან...“

იგივე ბესოს ეკუთვნის სტრიქონები, შესაჯვარებლად რომ დაჰყავთ პარკში ძაღლები, იმ ამბავზე:

“ლამაზები შემობრძანდნენ, ერთხელ, პარკში ჩეროკები, ძუ და ხვადი მოიძვანეს, გეგონება ჩემოდნები, ერთნაირი ოქროს ჯაჭვით ტურფად ყელზე შემოვლებით...”

ნაკუზვით ჰყვეს ტურფა ძუკნა, და, როს ხვადმა ძუკნას უქნა (ამას ფართოდ ვერ მოვყვები), ჩახხდნენ ისევ და ნავიღნენ, თავთავისი ჩეროკებით...

სხვა ძაღლებიც ბევრი არის, რომ არიან არავისი, ხვადი ვინმე სთხოვდა ძუკნას, რომ სამწურე სურდა მისი: — მარტო წვერ მაკიდებინე,

გემო ვიგრძნო სოტკობისი... შეეცოდა ძუკნასაც და მიუშვირა სამწურისი, მაგრამ ხვად ძაღლს ფეხი უსხლტა, დასვა ყუის ძირამდისი... შეიცხადა ძუკნამ, მაგრამ, იყო უკვე კლიტულისი...“

ბესოს ამ შაირებიდან დაიწყო მეძალეთა შორის ლექსთა თქმა და გაგონება და, პლაგიატმაც არ დააყოვნა, რომელიც, ვითომდა გამოეპასუხა პირველ ავტორ-მთქმელს და ძაღლების ამბავი ადამიანებზე გადაიტანა:

ქალმა გამოუცდელით დაისაჯა თავი თვისი, კაცმა კიდევ სიბოროტით ჯავრი ჭამა ქალიშვილისი, უთხრა: “ — წვერ მაკიდებინე, მქნელი არ ვარ სხვა რამისი, რა შუამდე, რა ბოლომდე, სიტყვა მითქვამს ვაჟკაცისი, როგორც ვეტყვი, ისე იქამს, იმედი მაქვს ჩუგლუგისი, მარტო წვერ მაკიდებინე, გავიხსენო გემო ისი, თუ არა და ნატვრა მომკლავს, როგორც კალამს მეღანისი...“

„ — აბა, კარგი, მოგენდობი, არ ვარ ქვა და რკინისი.“
სამწურე გამოუჩინა, აჰხსნა კუდი პამპერისი. მაგრამ, რა ვქნათ, შვილები ვართ, ყველა — გარემოების და ბედიც ერთნაირია ყოველგვარი ტყუილისი: უწყრა ღმერთი, უსხლტა ფეხი,

დასვა ყუის ძირამდისი, მინას დაუწყო ბრალემა: „ — ყოფილაო განაფისი!..“

ასე ძუკნას დაეკარგა ქალწულობა თავის თვისი,

იდგნენ გადაკლიტულები, აწუხებდათ სინიდისი, გამვლელ-გამომვლელთ მზერანი, ხმა კაც-დიაცთ გნისასი. თან იცოდნენ, დრო მოვალის, გაიხსნება კლიტე ისი...

ახლა უნდა მოგახსენოთ კომენტარი მორალისი: რად სინსილა არ განყდება მდედრების და მამრების!

დიახ, ასე იბადებოდა ხელოვნება კაცობრიობის გარეყრაჟზე: იმას წერდნენ და ხატავდნენ, რაც ყველაზე ახლობელი და ნამდვილი იყო. გამოგონება გვიან დაიწყეს, — როცა გაუხამსდნენ.

გამოთხოვებისას „ეზოფსელის“ კორესპონდენტმა თავისი ყველაზე წმინდათაწმინდა შეტყობინება დამიტოვა, რომელიც მეც მებებოდა, ცხოვრებასაც და სამყაროსაც: „მე არც ქმარი მყავს, არც შვილები, არც კაცი, მე-გობარი... მე ძალიან სუფთა ქალი ვარ!“ მართლაც, თხელი და ლამაზი სახის ნაკვეთები ჰქონდა. ყელ-კისერი და მკლავები უხორცოდ ჩამოქნილი... „მე ძალიან სუფთა ქალი ვარ...“ გული ამემღვრა, თითქოს უკან გადაიხვა ჩემი გრძნობები. დამანგრეველი ძალა ვინატრე, ამ ქალთან ხელჩაკიდებულს მომინდა სამყაროს სამსჯავროზე დგომა. მაგრამ გულს ყოველთვის აგვიანდება, ტყუილია არაკი... ის უკვე ლიფტს ელოდებოდა... მე გაღებულ კარში ვიდექი და ვითომ ვეთხოვებოდი და მეჩქარებოდა განშორება, რადგან, საერთოდ, ძნელია განზილება.

შეიძლება ყველანაირი გრძნობა გქონდეს, — საეჭვო და საძრახისიც კი, — მაგრამ თუ ვაჟკაცურად ატარებ, დაე, გქონდეს, ნუ შეგეშინდება. შეიძლება ყველა სურვილი გქონდეს, მაგრამ ისინი უნდა ატარო ვაჟკაცურად. შეიძლება არ მოგწონდეს საკუთარი თავი, მაგრამ უნდა

ატარო ვაჟკაცურად. — აი, რა არის მთავარი ცხოვრებაში და არა გრძნობები, სურვილები და საკუთარი თავი. ღმერთი რომ მანახა, გავიმართებოდი:

— აი, როგორი მშვენიერი ვარ, სარკვე!.. რადგან არ ვიცი, ჩემსავით კიდეც ვინ უნდა შეჰხაროდეს ღმერთს.

ყველაფერი მიქრის ჩემგან, ასანთისხელა ცოდვის გარდა არაფერი არ მებეჭდება, ასანთის ღერის კაცი მივდივარ.

თითქოს საიდანღაც დილაში აღმოვჩნდი. თითქოს დილა დამხვდა ბაქანზე. თითქოს ერთი ნახტომი მეყო. თითქოს მე დამეყრდნო... თითქოს სოფელი ადგილი კი არ იყოს, არამედ მცნება დილიდან დილამდე.

კაცი თავის თავში დაპატიმრდა და მოენონა ღამეში ყურყუტი და გაახსენდა, რომ გარეთაც ბევრი რამე იყო. ძილში ღვიძილი მოუწინა და ღვიძილში ძილი.

როცა ადამიანებმა დაიწყეს სოროების აგება, გამოიხედეს და ლობეზე შემომჯდარი ჩიტი ქული ეგონათ და წარმოესახათ დაპირისპირება. რაც შიგნითაა, გარეთაც ყველაფერი იმის სახეა.

ზღვარია ერთადერთი, რასაც ვერაფერი გამოიგონებს. ზღვარზე წყდება თოკი და ადამიანსაც ზღვარზე უნათდება.

რა დავინყება, რის დავინყება, ერთ ბანარზე მაქვს ასხმული მთელი ნაცხოვრები. რა წარსული, რისი წარსული...

ორი დღე იწვიმა. ცვლილებები ბევრია ეზოში. გათამამდნენ სარეველები. დაუბრუნდნენ შაშვები მინას. ძირხვენას ერთღეროიანი, მინის შუამდე ჩამწვდომი ფესვი აქვს.



ამოვადრე და არ გამწყდარა. ნეტა რას განიცდის ჰაერში მოხვედრილი?

ადამიანის ათასი საიდუმლო იციან ფრინველებმა და ცხოველებმა. სად წაიღებენ? ადამიანს ეშინია ადამიანის.

რომელმა გიჟმა დააბა ბატი აივანზე. შეფრთხილებულიყო და მოაჯირზე დაკიდებულიყო. სულს ლაფავდა, რომ მივუსწარი... ეს ორმოცი წლის წინანდელი შემთხვევაა. სხვა სიკეთე ჩემგან ქმნილი არ მახსენდება.

რითი შეიძლება დამეხმაროს ბატი საიქიოში. ადამიანი არ დამეხმარება.

როცა რაიმეს ივინყებ, მომავალს უტოვებ.

ბალის კიდეში ზის. შიგ რომ შევიდეს, ტვინი აერევა, იმდენი სახეებია, სიტყვებია, მოძრაობაა... ეკლესიაში კიდევ ჯვარცმული ქრისტია. ამიტომაც ზის ბალის კიდეში... თვალებს არწყულებს.

სიკვდილის ლოდინს ხშირად უფრო ადრე იწყებს ადამიანი, ვიდრე ჩამოდგება, დაბადებიდან დგას და ელოდება, რადგან შეყვარებული უნდა ჩამოჰყვეს.

პროზაიკოსი ტიპიურს ასახავს, პოეტი კი ინდივიდუალურს.

ბინი კი არ ამცირებს მშვენიერებას, არამედ მიუთითებს უსასრულო სრულყოფილებასა და იმ ცდომილებიდან, რომ ადამიანი არც ბინთან ერთად კვდება და არც მშვენიერებასთან, რომ სიცოცხლეში ადამიანს ორივე სჭირდება, რომ ერთზე არ იდგეს.

გარეთ რაც არის, არარეალურია, იმისთვის რაც შიგნით იმყოფება. გარეთ რაც არის, შიგნით ვერ შეიტან... მოიხსნება სპექტაკლი, შემსრულებლები გადაღრმავდებიან, თავისმართლებით ჩავლენ სამარეში — ვიტყუებოდი და არ სჯეროდათ...

წველ აგარაკზე გალაგების სანახავად, მიველ ტალახებით. ჭიშკართან გაჩერდი, ზარი ვერ დავრეკე. შიგნით შემეშინდა. ხალხო, დავიკარგეთ, ხალხო, აღარა ვართ, მალე დედამიწიდან გადავირეცხებით.

განა ჩვენ ხალხი ვართ, განა ადამიანები, ჩვენა ვართ ჰაერით გავსილი ბურთები... ყველას უნდა ცხოვრების თავიდან დაწყება, მაგრამ ამდენი ცხოვრება სად არის, ტყუილს უნდა სიმართლე, სიმართლეს — გაქრობა, სად იყო სიმართლე? განა ტყუილი ამ ცოდვილ მიწის უფრო ძველი მოსახლე არ არის? განა წინაპრების ადგილზე არა დგას? სიმართლე კი საიდანადაც მოთესლილი არის.

სინამდვილეს მხოლოდ საკუთარი თავით შეცდენილი ეგუება, ახარებს ფაშვი და გუნებაზეა. ვინც არა ხუმრობს ჩვენთან ნუ დადგება!



ყველაფერი ადამიანის ხუმტურებით იზომება და „ადამიანის უფლებები“ ჰქვია. ერთი პროექტი დავწერე ქვის ხანის დროინდელ ადამიანზე — მითხრეს, დემოკრატიული საწყისები წამოწიეს. დავწერე: „ადამიანის უფლებები ქვის ხანაში.“ — ბეჭედი დამირტყეს, რიყის ქვის მაგივრად. ავიღე ფული და აქ ჩამოვედი, რომ მენახა საოცნებო ქვეყანა, რომლისგანაც იმდენივე მანძილი მაშორებს, როგორც ქვის ხანისგან. კანონით შეკრული ქვეყანა დამიხვდა. უფრო სწორად, ჩემივე ნათქვამი დამიხვდა წინ, ქვისხანისეული: „დააბით ადამიანი, სანამ ნედლია, რომ გახმება, რაღას მოლუნავ.“ ისევ იქ დავბრუნდი და დავჯექი ბალის კიდეზე და ვინყე გალობა: არც იქ მინდა, სადაც უწესობა მოწესრიგებულია, მე იქ მირჩევნია, სადაც უწესობა სახეს არ მალავს. პირიქით, ჩქეფს და ნაპირებს აწყდება რომ ერთ დღესაც წალეკოს ქვეყანა.

მიგიძღვოდნენ წინ ღმერთები და გამირები და მოგაცივებდნენ ყოველ ნაბორძიკებაზე და ამბობდნენ დაცინვით „დაეცა.“

და აჰა, მე, ადამიანი,
 გვერდით მოგყვებით და გეუბნებით —
 ბალახზე მაღლა ნუ აიწვევით!
 იყოს ხე მაღალი,
 იყოს მთა მაღალი,
 თქვენ ბალახზე მაღლა ნუ აიწვევით.
 არ დაიჭიროთ არაფერი, რასაც წვეტი აქვს,
 არ აილოთ, რაც მუჭში ეტევა.
 შენი ხელი ცოლს შეეხოს — ერთი, მეორე.
 ნუ მიიწვევს ხალხი ისევ ერთმანეთისკენ
 და ერთი ქვეყნისკენ და ერთი ქალაქისკენ.
 დაე იყოს მრავალი ქვეყანა,
 მრავალი ქალაქი, მრავალი ენა.
 ოღონდ ერთხორც ნუ იქნებიან.
 კაცი და ქალიც ნუ იქნება ერთხორც, არამედ მხოლოდ...
 რომ თქვან:
 — აი, მოდგმა, მრავალფერი,
 რომ არ მართავთ ვალდებულება,
 არამედ სურვილი.

დარდისაგან მოგებული კაცი მე ჯერ არ მინახავს,
 დარდით ბოლომოდებული კაცი კი ბევრი მინახავს.

ფურცელზე მხოლოდ ერთი სტრიქონილა ეტევა,
 შევინახავ ყველაზე ბრძნულისთვის:

მაგრამ რომელს მივცე უპირატესობა, რადგან ასეთი
 სტრიქონები განუწყვეტლივ მოედინება ჩემი ფუყედან,
 და, მეც, დაცინვით ამიტომ ვამბობ ხოლმე ჩემს თავზე:
 — აი, ცოცხალი!..
 რომ სტრიქონია ჩემი მანძილი,
 კატისა — საბძელი,
 კუტისა — სარკმელი,
 მთვრალისა — ლოგინი,
 და, — გ ა მ ო ც ა ნ ა —
 დანარჩენი მკითხველი ხალხისთვის,
 რომ აირჩას ის ე რ თ ი სტრიქონი.

**განუწყვეტლივ იყავ შენს სხეულთან, —
 გაუფრინდი და მოუფრინდი.**

**ძალი დარაჯობს თავის შეცნობის წადილს,
 კაცი თავის პოზას.**

**აზრის სოლიდურად დამთავრებას, უაზრობა სჯობს.
 ადამიანში სიმღერა მაშინვე წყდება,
 როგორც კი მასში გაიღვიძებს ადამიანი.**

დამიძახე, გასწორდი!

**ღმერთი ისე მიუწვდომელია, რომ
 მორწმუნეც მართალია და ერეტიკოსიც.**

სიბრძნეც, გიჟის უნდა იყოს, რომ დაიჯერო.

მაქვს — ამაყი ვარ, არა მაქვს — ამაყი.

გაუშლელი ფრთები მანუხებს

**ყველა კარგი ადამიანი ჰგავს ერთმანეთს,
 ყველა ცუდი კი განსხვავებულია**

**დიდს ზრუნვა არ უნდა, იზრუნე მცირესთვის,
 მცირე კაცს არ აუბედურებს.**

**ზოგიერთი ნაკლი ნიჭის საწინდარია,
 ზოგიერთი მარცხი — გამარჯვებისა.**

თუ რამემ შექმნა საკუთარი თავი, — ლიტერატურაა.

**ცოდვია მდინარე,
 შიგ რომ ქალები ჩადგებიან და წუნაობენ.**

**ადამიანს თავის თავი არ ასვენებს
 და ჰგონია, რომ პირობებია.**

**ახლად ნასწავლ სიტყვას თუ იშვიათად იხმარ,
 არ იტყვიან, რომ ახლად ისწავლე.**

უზნეობა კაცს სახელსა სძენს.

თუ შენი თავი თან გახლავს, კარგად ვერ იქნები.

ატეხილობაა დიდი ქვეყანაზე.

პოეზია — უკონცერტოდ, არ შეიძლება!

